პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეათე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის (ბ)
ცენტრ. კომიტეტის
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
დღის 11 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6 საათიდან 11 საათამდე.
ტელეფ. რედაქტორის . . . 14—76
რედაქტორის მოადგ. 23—17
მდივნის . . . . . 10—58
მასიური განყოფილ. 22—44

მთავარი კანტორა თბილისი, რუსთაველის პრ., № 34 ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი
1 თვით 1 მანეთი
1 წლით — 12 მან.
უცხოეთში
1 თვით — 3 მანეთი
გაზეთის მიუღებლობის შემთხვევაში დარეკეთ ტელ. № 17—55

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—1 მ., ტექსტის შიგნით—2 მ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს, თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. სამგლოვიარო განცხადებები—20 და 25 მ. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68. ტელ. 5—43.

პარასკევი, 20 თებერვალი 1931 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 43 (2998)

დღიური

— არაჩვეულებრივი უმუშევრობა გერმანიაში.
— შეერთებულ შტატებში ვაჭრობა განუწყვეტლივ ეცემა.
— გაზ. „მილიეთ"-ი საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შესახებ.
— გლეხობის მასიური დაპატიმრება ბესარაბიაში.
— ჩინელი კომუნისტების დევნა იაპონიაში.
— საბჭოთა კავშირის შრომისა და თავდაცვის საკავშირო ესტაფეტა.

ა.-კ. საბჭოთა VI ყრილობას-მხურვალე სალამი

ამიერ-კავკასიის საბჭოთა ყრილობისათვის

საბჭოების რესპუბლიკანურმა ყრილობებმა დაამთავრეს თავიანთი მუშაობა. დღეს იხსნება ამიერ-კავკასიის საბჭოების მეექვსე ყრილობა. საბჭოების რესპუბლიკანურმა ყრილობებმა გვიჩვენეს ის უდიდესი მიღწევები, რომელნიც საბჭოთა ხელისუფლებამ მოიპოვა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის და მშრომელთა ფართო მასების მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონის ამაღლების მხრივ. ამ ყრილობებმა ცხადჰყვეს ის უდიდესი ეკონომიური და სოციალური ცვლილებანი, რომელნიც მოხდა ა.-კ. ცალკე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობაში გასული წლების განმავლობაში პარტიის გენერალური ხაზის სწორად გატარების ნიადაგზე.

ერთი წუთითაც არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ ცალკე რესპუბლიკათა გიგანტური სვლა სოციალისტური მშენებლობის გზაზე, მათი პოლიტიკური და ეკონომიური განმტკიცება შესაძლებელი გახდა ა.-კ. ფედერაციის მხრივ სათანადო ხელმძღვანელობის და დახმარების პირობებში. ა.-კ. ფედერაციამ, როგორც ა.-კ. მშრომელ ხალხთა პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული თანაცხოვრების ორგანიზაციამ, წინააღმდეგ კონტრ-რევოლიუციონური უკლონიზმისა, ბრწყინვალეთ გაამართლა თავისი თავი. ა.-კ. ფედერაციის პირობებში იქნა მიღწეული სრული ნაციონალური მშვიდობიანობა, ფედერაციამ მისცა ფართო გასაქანი ამიერ - კავკასიის არა მარტო ძირითადი ეროვნებების, არამედ მანამდე სრულიად მივიწყებულ, ბნელ და დაჩაგრულ მცირე ეროვნებათა პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ ამაღლებას, ყველა ამ ერთა მჭიდროდ დაკავშირებას ერთმანეთთან და მათში ინტერნაციონალიზმის გაძლიერებას. ა.-კ. ფედერაციამ, რომელიც არ სცნობს არც ერთი ერის პრივილეგიურ მდგომარეობას, ყოველგვარი პირობები შექმნა ერთა ნამდვილი თანასწორობისათვის და უზრუნველჰყო ამიერ - კავკასიის ტერიტორიაზე მოსახლე ეროვნებათა შინაარსით პროლეტარულ და ფორმით ნაციონალურ კულტურის განვითარება.

მეფის თვითმპყრობელობას ამიერ-კავკასია მიაჩნდა თავის აგრარულ კოლონიათ და იმპერიალისტური პოლიტიკის დასაყრდენად აღმოსავლეთსა და სამხრეთში. სომეხი, ქართველი, თურქი და სხვა ეროვნებათა მუშა და მშრომელი გლეხი ერთნაირად გმინავდა მეფის რუსეთის ჩაგვრის, დამცირების და უუფლებობის გამო. მეფის მემკვიდრეებმა — მენშევიკებმა, დაშნაკებმა და მუსავატელებმა ოდნავადაც ვერ გაუსწრეს წინ თვითმპყრობელობის პოლიტიკას. მათ ვერ წასწიეს ქვეყანა ეკონომიურად, კიდევ უფრო გააღვივეს ა.-კ. მოსახლე დიდ და პატარა ერებს შორის ნაციონალური შუღლი და გადააქციეს ეს მდიდარი მხარე ევროპის იმპერიალისტების საძარცვავ ასპარეზათ. პროლეტარულმა რევოლიუციამ გაანადგურა მენშევიკების, დაშნაკების და მუსავატელების მთავრობა, მან რკინის ცოცხით აღგავა ეს ბინძური ნაგავი და მით მოუპოვა ამიერ - კავკასიაში მოსახლე ყველა ერებს ეკონომიური ბედოვნებისა და ნაციონალურ - კულტურულ აყვავების რეალური საშუალება.

გასული ათი წლის განმავლობაში ამიერ - კავკასიის ერებმა არა მარტო მოიშუშეს ის ღრმა ჭრილობები, რომელნიც მათ მიაყენა ნაციონალური და უცხოეთის ბანდიტების ბატონობამ, არამედ ბუმბერაზული მიღწევები მოიპოვეს სახალხო მეურნეობის ყველა დარგებში. ბაქოს ნავთი, მსხვილი ინდუსტრიის ეს ყველაზე მნიშვნელოვანი დარგი ამიერ - კავკასიაში მუსავატელების ბატონობის მეოხებით სრულ განადგურებამდე იყო მისული. საბჭოთა ხელისუფლების დროს კი ნავთის მრეწველობა სწრაფად გაიზარდა. ის არა მარტო აღდგენილ იქნა, არამედ მოხდა მისი საფუძვლიანი რეკონსტრუქცია, რის გამოც გასულ სამეურნეო წელს ნავთის პროდუქციამ 40 პროც. გადააჭარბა ომამდე არსებულ დონეს. მარტო გასული წლის განმავლობაში ა.-კ. ს. მ. უ. საბჭოს მიერ დაგეგმილი მრეწველობის პროდუქცია გაიზარდა ხუთწლედის პირველ წელთან შედარებით 58 პროცენტით. კაპიტალური დაბანდებანი ა.-კ. მთელს მრეწველობაში გაიზარდა 60 პროც., ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტი 54 პროც.-ით.

საბჭოთა ხელისუფლების მეოხებით ამიერ - კავკასია ხდება საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინდუსტრიალურ მხარეთ. განსაკუთრებული ყურადღება ამიერ-კავკასიაში ექცევა ნავთის, ნახშირის და მეტალურგიული მრეწველობის განვითარებას, ხე-ტყის წარმოებას, სხვადასხვა მინერალურ სიმდიდრეთა გამოყენებას და ტექნიკურ და ძვირფას კულტურათა პროდუქციის ადგილობრივი გადამუშავებით მსუბუქ ინდუსტრიის ცალკე დარგების განვითარებას. საბჭოების მე-6 ყრილობამ მთელი თავისი ყურადღება უნდა მიაპყროს ამიერ - კავკასიის ინდუსტრიალიზაციის გადაუდებელ ამოცანებს და ინდუსტრიის დარგში მთავარ ამოცანად უნდა აღიარონ ბრძოლა ნავთის უფრო სწრაფი ტემპებით განვითარებისათვის, ნავთის მრეწველობის ხუთწლიანი გეგმის 2½ წელიწადში შესასრულებლად. ყრილობის არა ნაკლები ყურადღება უნდა მიექცეს ნახშირის და მეტალურგიული მრეწველობის გაფართოების საკითხს, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ტყვარჩელის საბადოების დაჩქარებული ექსპლოატაცია და დაშქესანის მეტალურგიული კომბინატის შექმნა.

ამიერ - კავკასიის საბჭოების მე-6 ყრილობის განსაკუთრებული მსჯელობის საგანი უნდა იყოს ამიერ-კავკასიის როგორც წყლის, ისე რკინის გზის ტრანსპორტის გაუმჯობესება. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დავკმაყოფილდეთ ამიერ-კავკასიის რკინის გზების ეხლანდელი მდგომარეობით. უნდა მოვახდინოთ მისი სათანადო ტექნიკური რეკონსტრუქცია და გავზარდოთ მისი ტვირთბრუნვა. უმოკლეს ვადაში უნდა განვახორციელოთ სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაცია, გავადიდოთ გზის მოძრავი შემადგენლობა, გავაუმჯობესოთ მასზე ხელმძღვანელობა, დროზე შევასრულოთ დაწყებული კაპიტალური სამუშაოები (ჯულფის, შავიზღვის და სხვ.) და ამგვარად რკინის გზის ტრანსპორტი გადავაქციოთ ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობის უძლიერეს დარგათ.

საბჭოთა ხელისუფლებამ ამიერ-კავკასიის ინდუსტრიალიზაციის მიზნით დიდი ყურადღება მიაქცია ამ მხარის უდიდეს ბუნებრივ სიმდიდრეს — თეთრი ნახშირის მაქსიმალურ გამოყენებას. ამის შედეგათ ფართოთ განვითარდა მთელს ფედერაციაში ელექტროფიკაცია. აგერ და იგება მძლავრი ელექტრო სადგურები, რომელნიც დააჩქარებენ ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის ტემპს.

გასულ წლებში თვალსაჩინოა საბჭოთა ხელისუფლების მიღწევები სოფლის მეურნეობის დარგში. 1930 წლის დასასრულისათვის კოლექტიურ მეურნეობებში გაერთიანებული იყო გლეხურ მეურნეობათა 17,6 პროც. ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობა მეტად ჭრელია სხვადასხვა კულტურების გავრცელების მხრივ. მთავარი ყურადღება ამიერ-კავკასიაში ექცეოდა და ექცევა ტექნიკურ კულტურათა გავრცელებას. მომავალში ტექნიკურ კულტურათა და პროდუქტიული მესაქონლეობის განვითარების მიზნით უნდა მოხდეს ამ.-კავკასიის სოფლის მეურნეობის სპეციალიზაცია. მარტო გასული წლის განმავლობაში ტექნიკურ კულტურათა ფართობი 30 პროც. გაიზარდა. მიმდინარე წელს ტექნიკური კულტურები უნდა დაითესოს 400 ათას ჰექტარზე. ყველა ტექნიკურ კულტურებიდან მთავარი ადგილი ბამბას უკავია, რომელიც მომავალ წელს 250 ათას ჰექტარზე უნდა დაითესოს. 250 ათასი ბამბის ნათესები მებრძოლი ბოლშევიკური დირექტივაა და საბჭოების მე-6 ყრილობამ თავისი დადგენილებებით უნდა უზრუნველჰყოს ამ დირექტივების განხორციელება ყოველგვარი დაბრკოლებების მიუხედავად. ბამბის კულტურის გავრცელებისათვის გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს წყლის საკითხს, ნათესების წყლით სათანადოთ რაოდენობით უზრუნველყოფას. ამიტომ წყლის მეურნეობის განვითარებისათვის მეტი ყურადღების მიქცევა, სარწყავი არხების სისტემის გაუმჯობესება და წყლის ხარჯვის რაციონალიზაცია ბამბის ნათესების დასახული გეგმის შესრულების უმთავრესი პირობაა.

ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციაში გასულ წელს მთელი რიგი „მემარცხენე" და მემარჯვენე შეცდომები იყო დაშვებული. ეს შეცდომები იქნა გამოსწორებული. მიუხედავად ამ შეცდომებისა, სათანადო პარტიული ხელმძღვანელობის მხრივ საშუალო გლეხობისადმი სწორად მიდგომის და „მემარცხენე" და მემარჯვენე გამრუდებების წინააღმდეგ შეუნელებელი ბრძოლის გამო, საკოლმეურნეო მშენებლობა მთელ ამიერ-კავკასიაში იზრდება. საბჭოთა მეურნეობების და საკოლმეურნეო მშენებლობის გაძლიერება ჩვენი უდიდესი ამოცანაა მომავალ საგაზაფხულო კამპანიაში ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკებში, რათა მოვამზადოთ სათანადო პირობები კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციისათვის მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე. ჩვენ უნდა შევძლოთ მომავალ გაზაფხულზე გლეხურ მეურნეობათა კოლექტივიზაციის 25 პროც.-მდე აყვანა, ხოლო მებამბეობის რაიონების კოლექტივიზაცია უნდა გაიზარდოს 50 პროც.-მდე. საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობების მშენებლობის გაძლიერება, ბრძოლის გამახვილება კულაკობის წინააღმდეგ, მეტი ყურადღების მიპყრობა სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისადმი, ტექნიკურ კულტურათა გადამჭრელი გავრცელება და პროდუქტიული მესაქონლეობის განვითარება — უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ამიერ-კავკასიის საბჭოების მე-6 ყრილობის დადგენილებით.

ამიერ-კავკასიის ფედერაცია საბოლოოთ განმტკიცდა პოლიტიკურად, ის მტკიცდება ეკონომიურადაც. ყოველ მხრივ ხელი უნდა შეეწყოს ფედერაციის შემდგომ სამეურნეო ზრდას, რადგან ამის გარეშე ის ვერ შესძლებს საჭირო ხელმძღვანელობა გაუწიოს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის სოციალისტურ რეკონსტრუქციას.

ამიერ-კავკასიის ფედერაციის განმტკიცება, სოციალისტური მშენებლობის ფართო გეგმის განხორციელება მოითხოვს, რათა დაუნდობელი ბრძოლა ვაწარმოოთ დიდმპყრობელური შოვინიზმის, როგორც ეხლანდელ საფეხურზე მთავარი საფრთხის და ადგილობრივი ნაციონალიზმის წინააღმდეგ, გავანადგუროთ მენშევიზმის, დაშნაკიზმის და მუსავატიზმის ნამსხვრევები, ბოლშევიკური რკინის ხელით აღვკვეთოთ მემარჯვენე და „მემარცხენე" ოპორტუნიზმი, სირცოვლომინაძის თვალთმაქცური ჯგუფის ნაშთები და მჭიდროთ დავრაზმოთ ამიერ-კავკასიის მშრომელი მასები პარტიის გენერალური ხაზის ირგვლივ, ლენინური ინტერნაციონალიზმის დროშის ქვეშ კაპიტალიზმის ნაშთებზე გადამწყვეტი შეტევისათვის.

საყოველთაო-სავალდებულო სწავლების შესახებ

განათლების სახალხო კომისრის ამხ. გ. დევდარიანის მოხსენება

სრულიად საქართველოს საბჭოთა მეექვსე ყრილობაზე

სოციალიზმის მშენებლობა და კულტურული რევოლიუცია

ამხანაგებო! შემთხვევითი არ არის, რომ საქართველოს საბჭოთა ყრილობაზე პირველად სდგას საკითხი საყოველთაო-სავალდებულო სწავლების შესახებ,—შემთხვევითი არ არის იმიტომ, რომ წელს როგორც არასოდეს, აშკარად გამოირკვა, რომ კულტურული ამოცანები ძალზე ჩამორჩება ჩვენს სამეურნეო ამოცანებს სოციალისტური შეტევის ფრონტზე, როგორც სოფლის მეურნეობაში, ისე მრეწველობაში. თუ დღემდე პარტია და ხელისუფლება იძულებული იყო მომჭირნეობა გამოეჩინა და, ზოგ შემთხვევაში, სკოლების ხარჯზე მრეწველობის და სოფლის მეურნეობის აღორძინებისათვის გადაედო თანხები—ამ ხანამ უკვე განვლო და ეხლა გადავედით ისეთ პერიოდში, როდესაც მომჭირნეობა კულტურის ხარჯზე, სკოლების ხარჯზე—ყოვლად დაუშვებელია. კულტურული მშენებლობის შეფერხება ჩვენი საერთო სოცმშენებლობის შეფერხება იქნებოდა. საკითხი იმის შესახებ, რომ კულტურული რევოლიუციის საკითხები ჩამორჩენილია სოცმშენებლობის საკითხებთან შედარებით, მე მგონია—ყველასათვის აშკარაა, და ამაზე დიდი ლაპარაკი არაა საჭირო. ეს იმას ნიშნავს, რომ ყურადღების ცენტრში დავაყენოთ ეს საკითხი.

მინდა თქვენი ყურადღება მივაქციოთ იმ მდგომარეობას, რომ ჩვენი მოწინააღმდეგეები, განსაკუთრებით მენშევიკები, რომლებიც ყოველთვის გვაკიჟინებენ, თითქოს ბოლშევიკებმა დაიწყეს უგუნური საქმე, მოახდინეს სოციალისტური რევოლიუცია მუშათა კლასის და გლეხკაცობის კულტურული დონის ჩამორჩენილობის პირობებში, მაშინ, როდესაც ჯერ კულტურა უნდა მოგვეპოვებია და შემდეგ რევოლიუცია დაგვეწყო,—ეს დებულება უკვე უარყოფილია ჩვენს საბჭოთა სინამდვილეში.

აი რას ამბობდა ლენინი ამის შესახებ:

„თუ სოციალიზმის გამარჯვებისათვის საჭიროა კულტურის განსაზღვრული დონე,—ამბობდა ლენინი,—(თუმცა ამას ვერავინ იტყვის—რა ზომის უნდა იყოს ეს „კულტურული დონე"), რატომ არ შეგვეძლია ჩვენ რევოლიუციონური გზით ჯერ მოგვეპოვებინა ამ განსაზღვრული დონის შესაქმნელად საჭირო პირობები, ხოლო შემდეგ, მუშურ-გლეხური ხელისუფლების და საბჭოთა წყობილების საფუძველზე, გავსწიოთ წინ სხვა ქვეყნების დასაწევად".

ჩვენ რომ მოგვეცადა სინამდვილეში მუშათა კლასისა და გლეხკაცობის კულტურულად გათანასწორებამდე გაბატონებულ კლასებთან, რევოლიუციას ვერასოდეს ვერ მოვესწრებოდით, რადგანაც მუშათა კლასი [illegible] და ამიტომ ვერ გაუთანასწორდებოდა გაბატონებულ კლასს. საბჭოთა კავშირის სინამდვილის განვლილმა პერიოდმა სავსებით დაგვიმტკიცა ის, რასაც ამხ. ლენინი ამბობდა ჯერ კიდევ მე-11 პარტყრილობის დროს: „უმთავრესი, რაც ჩვენ გვაკლია—ეს არის კულტუროსნობა და მმართველობის უნარი". „ნეპ"-ი ეკონომიურად და პოლიტიკურად სავსებით უზრუნველყოფს სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის ჩაყრის შესაძლებლობას. საქმე მხოლოდ კულტურულ ძალებზე და მის ავანგარდზეა".

დღეს კულტურის საკითხები ყველაზე მწვავედ სდგას. ჩვენ ეხლა არ შეგვიძლია დავაყენოთ ეს საკითხი, როგორც ვაყენებდით მას 24-28 წელში. მაშინ კულტურულ ფრონტს „მესამე ფრონტათ" ვთვლიდით. არიან დღესაც ამხანაგები, რომლებიც ასე უყურებენ ამ საკითხს, მაგრამ ეს შეცდარი აზრია, ვინაიდან კულტურული დონე ყველაზე უფრო ვიწრო ადგილია. სოციალისტური მეურნეობის განვითარებაში დღეს კულტურული რევოლიუციის საკითხი არის არა მესამე ხარისხოვანი არამედ შემადგენელი ნაწილი ჩვენი საერთო შეტევისა კაპიტალისტური ეკონომიკის წინააღმდეგ. ჯერ კიდევ 1920 წელში ამხ. ლენინი ლაპარაკობდა: „სრულებით საკმარისია ეკონომიური და პოლიტიკური საშუალებები საძირკვლიანი სოციალისტური საზოგადოების ასაშენებლად. გვაკლია კულტუროსნობა, უნარი"...

„უმთავრესია: შეუსაბამობა დასახული და დაწყებული მსოფლიო ამოცანათა სიდიადისა და მატერიალურ-კულტურულ სიღატაკის შორის".

„გამარჯვება უზრუნველყოფილია, უკეთუ გაგვწვდა! რა? კულტუროსნობა!! (იხ. ლენინის კრებულის მე-13 ტომი ც. კ.-ის პოლიტანგარიშის გეგმა რკპ (ბ) მე-11 ყრილობაზე—მე-12-14 გვ.).

მაშასადამე, ამხ. ლენინს უდაოდ მიაჩნდა, რომ ეკონომიურ ფრონტზე გამარჯვება შეუძლებელია, თუ წინ გავიწევთ კულტურულ ფრონტზე. ამიტომ არავითარ შემთხვევაში არ არიან მართალი ის ამხანაგები, რომელნიც ამბობენ, რომ კულტურული ფრონტი მე-3 ფრონტია, მესამე ხარისხოვანი ფრონტი საბჭოთა რესპუბლიკის სინამდვილეში; არ არიან მართალი აგრეთვე ის ამხანაგებიც, რომელნიც ამტკიცებენ, თითქოს კულტურული ჩამორჩენილობა, რაც ჩვენ ასე მძიმეთ გვაწევს, იყოს ბუნებრივი რამ, თითქოს ეს ასეც უნდა ყოფილიყო იმიტომ, რომ უპირველესად საჭიროა არის მრეწველობის განვითარება, საჭიროა სოფლის მეურნეობის განვითარება და მხოლოდ შემდეგ შევძლებთ კულტურული რევოლიუციის საკითხის გადაჭრა. ასეთნაირად საკითხის დაყენება ყოვლად შეუძლებელია. პრაქტიკულად ეს ნიშნავს კულტურული რევოლიუციის და, განსაკუთრებით, მისი ძირითადი საკითხის საყოველთაო სწავლების გადაჭრის შეფერხებას. ამხ. ლენინი თავის წერილში კოოპერაციის შესახებ, ამბობდა, იმათ წინააღმდეგ, ვინც კულტურული რევოლიუციის მნიშვნელობას ვერ აფასებს, შემდეგს:

„ჩვენთვის ჩვენს მტრებს არაერთხელ უთქვამთ, რომ ჩვენ დავიწყეთ უგუნური საქმე სოციალიზმის დამყარებისა არა საკმაოდ კულტურულ ქვეყანაში. მაგრამ ისინი შეცდნენ იმაში, რომ ჩვენ დავიწყეთ არა იმ ბოლოდან, რაც საჭირო იყო ყველა პედანტების თეორიის მიხედვით და რომ ჩვენში პოლიტიკური და ეკონომიური გადატრიალება შეიქმნა წინამორბედათ იმ კულტურული გადატრიალებისა, იმ კულტურული რევოლიუციისა, რომლის წინაშე ჩვენ ეხლა მაინც ვდგევართ, ჩვენთვის ეხლა საკმარისია ეს კულტურული რევოლიუცია იმისათვის, რომ გავხდეთ სავსებით სოციალისტური ქვეყანა, მაგრამ ჩვენთვის ეს კულტურული რევოლიუცია წარმოადგენს უდიდეს სიძნელეს, როგორც წმინდა კულტურულ თვისებისა (ვინაიდან უცოდინარნი ვართ), ისე მატერიალური თვისების, (ვინაიდან რომ იყო კულტურული, საჭიროა მატერიალურ-საწარმოო საშუალებათა ერთგვარი განვითარება, საჭიროა ერთგვარი მატერიალური საფუძველი)".

მაშასადამე, აქ ამხ. ლენინი ლაპარაკობს, რომ ეს არის უდიდესი სიძნელე და არა ისე, როგორც ზოგიერთ ამხანაგს ესმის, თითქოს კულტურულ ფრონტზე ჩამორჩენილობა იყოს კანონიერი და პირველ რიგში ჩვენს წინაშე იდგეს საკითხი მრეწველობის და სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ. საკითხი კულტურული რევოლიუციის შესახებ კი იყოს მეორე ხარისხოვანი. არა, ჩვენს პარტიას და ამხანაგ ლენინს ეს ასე არ ესმოდა; ამხ. ლენინი პირდაპირ ლაპარაკობს, რომ ამ საკითხების ერთი მეორესთან დაუკავშირებლად სოციალიზმის მშენებლობის საკითხის გადაჭრა შეუძლებელია. ის ლაპარაკობს: „ჩვენს წინაშე სდგას ამოცანა მთელი ქვეყნის აღორძინების, რეორგანიზაციის, მიწადმოქმედების და მრეწველობის აღდგენისა იმ თანამედროვე ტექნიკურ საფუძველზე, რომელიც დამყარებულია თანამედროვე მეცნიერებაზე, ტექნიკასა და ელექტრობაზე". თქვენ მშვენივრად გესმით, რომ ელექტროფიკაციას წერა-კითხვის უცოდინარი ხალხი არ გამოადგება და ამისათვის საკმაო არ არის უბრალო წერა-კითხვის ცოდნა. აქ საკმარისი არ არის შემეცნება იმისა, თუ რა არის ელექტრობა, საჭიროა ცოდნა, როგორ გამოვიყენოთ ის ტექნიკურად მრეწველობაშიც, მიწადმოქმედებაშიც, მრეწველობისა და მიწადმოქმედების ცალკე დარგებშიც. იგი თვითონ ჩვენ უნდა შევისწავლოთ და შევასწავლოთ აგრეთვე მომავალ თაობას მშრომელ მოსახლეობას.

მაშასადამე, სავსებით ნათლად, გარკვევით არის ნათქვამი, რომ მრეწველობის აღმშენებლობა, სოციალისტურად გარდაქმნა სოფლის მეურნეობისა გადაიჭრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის მჭიდროთ იქნება დაკავშირებული ხალხის აღზრდასთან, კულტურულ რევოლიუციის საკითხის მოგვარებასთან. მაგრამ კულტურული რევოლიუციის საკითხის გადაჭრა თხოულობს მომზადებულ კადრებს, თხოულობს კომუნისტურ აღზრდას. დადებითი გადაჭრა ამ საკითხისა შეუძლებელია, თუ ჩვენ არ შემოვიღებთ საყოველთაო სავალდებულო დაწყებით სწავლებას. ამხ. სტალინი პარტიის მე-16 ყრილობაზე ლაპარაკობდა: „ახლა უმთავრესია გადავიდეთ სავალდებულო პირველდაწყებით სწავლებაზე. მე ვამბობ „უმთავრესია", რადგანაც ასეთი გადასვლა ნიშნავს გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმას კულტურული რევოლიუციის საქმეში. ამ საქმეს კი დიდი ხანია, რაც უნდა შევდგომოდით, ვინაიდან ამჟამად ჩვენ გვაქვს საყოველთაო დაწყებითი სწავლებისათვის საჭირო ყველა ორგანიზაციები ს.ს.რ. კავშირის რაიონების უმეტეს ნაწილში".

ჩვენი საბრძოლო ამოცანა

ასეთი არის, ამხანაგებო, პარტიისა და მისი ბელადის ამხ. სტალინის დირექტივა, რომელიც მან წამოაყენა მე-16 ყრილობაზე. ჩვენ, ამ წელში უკვე შევუდექით საყოველთაო სავალდებულო სწავლის შემოღებას და, მაშასადამე, სავსებით ვატარებთ პარტიის პროგრამას; მე ნებას მივცემ ჩემს თავს გავახსენოთ პარტიის პროგრამა საყოველთაო სავალდებულო სწავლის შესახებ: „ჩატარება უფასო სავალდებულო ზოგადი და პოლიტექნიკური განათლებისა ორივე სქესის ყველა ბავშვისათვის 17 წლის ასაკამდე (რომლის შემწეობითაც შეიქმნება გაეცნონ თეორიასა და პრაქტიკაში წარმოების ყველა უმთავრეს დარგს)". მხოლოდ ამ წელს შეუდექით ჩვენ პარტიის პროგრამის ცხოვრებაში გატარებას. სხვათა შორის საკითხი საყოველთაო სავალდებულო სწავლის შესახებ დასმული იყო ჯერ კიდევ 1923 წ. ხოლო 25 წ. გამოცემულ იქნა შესაფერი კანონი სავალდებულო სწავლის შესახებ. ამ კანონის მიხედვით საყოველთაო სავალდებულო სწავლა უნდა შემოგვეღო 1934 წ., მაგრამ მეურნეობის სწრაფი ტემპებით განვითარებამ ჩვენს წინაშე მკაცრად დააყენა საკითხი—რაც შეიძლება დაჩქარებით შემოგვეღო საყოველთაო სავალდებულო სწავლა. ამით აიხსნება პარტიის მე-16 ყრილობის დადგენილება ამ საქმეში მაქსიმალურად განვითარებული ტემპების შესახებ. სხვათა შორის, სავალდებულო სწავლაზე, ჯერ კიდევ პარტიის მე-15 ყრილობამ ჰქონდა შესაფერი დადგენილება გამოტანილი, მაგრამ ჩვენ ვერ შევძელით მისი გატარება, ვერ შევძელით იმიტომ, რომ არც მატერიალური შესაძლებლობა, არც ორგანიზაციული მოგვარების საშუალება არ ყოფილა და ამიტომ მე-16 ყრილობამდე ვერ შევსძელით ამ საკითხის რეალური დაყენება. ამით აიხსნება, რომ ამხ. სტალინმა პარტიის მე-16 ყრილობაზე კატეგორიულად მოითხოვა, რომ ყრილობას გამოეტანა დადგენილება სავალდებულო სწავლის შესახებ.

მე-16 ყრილობის დადგენილებაში, სხვათა შორის, ნათქვამია: „მე-15 ყრილობამ—სრულიად სამართლიანად წამოაყენა სარეკონსტრუქციო პერიოდის ერთი უმთავრესი პრობლემათაგანი — კულტურული რევოლიუციის პრობლემა. მაგრამ კულტურული მშენებლობის ტემპების გაშლა ჩვენს ქვეყანაში ჯერ სრულებით საკმარისი არ არის. ყრილობა ყურადღებას მიაქცევს მათი გაძლიერების საჭიროებას. საყოველთაო-სავალდებულო დაწყებითი სწავლების და წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ჩატარება უნდა ჩაითვალოს პარტიის საბრძოლო ამოცანად მახლობელ პერიოდში".

ამხ. გ. დევდარიანი

ამგვარად, საკითხი საყოველთაო-სავალდებულო სწავლების ჩატარებისა და წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოფხვრის შესახებ მე-16 პარტყრილობის მიერ აღიარებულია, როგორც პარტიის და ხელისუფლების საბრძოლველი საკითხი. სინამდვილეში ამას ვერ ვხედავდით, სახელდობრ საქართველოში საყოველთაო-სავალდებულო სწავლებისათვის მოსამზადებელი მუშაობა ძალიან გვიან დაიწყო. მართალია, საქ. მთავრობას გამოცემული ჰქონდა სათანადო კანონი 1930 წ. ივნისში საყოველთაო-სავ. სწავლების შემოღების შესახებ, რომლის მიხედვით მთელი სასკოლო ასაკის ბავშვები ჩაბმული უნდა ყოფილიყვნენ სასწავლებლებში და გატარებული ყოფილიყო საყოველთაო-სავალდებულო სწავლება 1934 წლისათვის, მაგრამ ასეთი ტემპი აღარ აკმაყოფილებდა ჩვენს მოთხოვნილებას და საჭირო შეიქნა, რომ საქართველოს მთავრობას შეეცვალა თავისი ივნისის დადგენილება. მე აღვნიშნე, რომ დაგვიანებით იყო ჩატარებული მოსამზადებელი მუშაობა, და მხოლოდ ოქტომბერში იქნა გამოცემული კანონი საქ. სახკომსაბჭოს მიერ, რომლის მიხედვით ამავე თვეში დაიწყო საყ. სავ. სწავლების შემოღება, მხოლოდ არა მთელი რესპუბლიკის ტერიტორიაზე. მხედველობაში მიღებულია ის მდგომარეობა, რომ არის რაიონები, სადაც არც კულტურული დონე, არც მოსამზადებელი ორგანიზაციული მუშაობა, არც ყოფა-ცხოვრების თავისებურებანი არ გვაძლევენ საშუალებას, წელს მთელს რესპუბლიკაში შემოგვეღო საყ. სავ. სწავლება. იგი ტარდება მხოლოდ 35 რაიონში. დანარჩენ რაიონებში საყ. სავ. სწავლება უნდა იქნეს შემოღებული ორი წლის განმავლობაში. სხვათა შორის ჩვენ მხედველობაში უნდა მივიღოთ ის მდგომარეობა, რომ ორი წლის განმავლობაში ყველა საჭირო მოსამზადებელი მუშაობა უნდა ჩავატაროთ, რომ შესაძლებელი გახდეს საყოველთაო - სავალდებულო სწავლების უმტკივნეულოდ ჩატარება, მაგალითად, თურქულ რაიონებში, ანდა აჭარისტანში, რომ აქ შეიძლებოდეს ახალ გაზრდობა, რომელიც უნდა იქნას ჩაბმული სასწავლებლებში, იმთავითვე მოხვდეს ყოველმხრივად კეთილმოწყობილ და უზრუნველყოფილ სასწავლო საალმზრდელო დაწესებულებებში.

მდგომარეობა 1930 წლამდე და დღეს

მე ნებას მივცემ ჩემს თავს, სანამ გადავიდოდე იმ საკითხზე, თუ როგორ შესრულდა მთავრობის დადგენილებები, რამდენიმე ცნობა მომეყვანა იმის შესახებ, თუ როგორი მდგომარეობა იყო ამ მხრივ 1930 წლამდე, ე. ი. საყ. სავალდებულო სწავლების შემოღებამდე. 27-28 წელში ჩვენ გვქონდა 2370 სასწავლებელი, 29 წ.—2428, 29-30 წ.—2539. მიღება პირველ წელიწადს უდრიდა 41,717, მეორე წელიწადს 43135, მე-3 წელს 48,041, მაშასადამე სასკოლო ასაკის ბავშვთა მიღება ყოველ წლიურად მატულობდა, მაგრამ არა იმდენი ტემპით, როგორც ეს საჭირო იყო. სხვათა შორის ეს იქიდან ჩანს, რომ კონტინგენტი 4 წლიდის ბავშვებისა საგრძნობლად არ გაიზარდა. მაგალითად, 1927-28 წ. უდრიდა 232,864, 1929-30 წ. 266,282. მასწავლებელთა რიცხვი იყო პირველ წელიწადში 6.279, მეორე წელიწადში 6485, მესამე 7,016. ამის გარდა, რაც საყურადღებოა, მატულობს ხარისხობრივი მაჩვენებლებიც. თუ 27-28 წელში თითეულ ჯგუფში იყო 24,4 მოსწავლე, 28-29 წელში 27,2 მოსწავლე. რაც შეეხება მასწავლებელთა დატვირთვას, თვითეულ მათგანზე წინა წლებში იყო 1,2 ჯგუფი. ეხლაც ასე დარჩა. მართალია, ეს ცოტა მეტია, მაგრამ არც ისე დიდი დატვირთვაა. რაც შეეხება ასაკ გადაცილებულთა სკოლაში ჩაბმას, თუ წარსულში იყო 35,4 პროც. სკოლის გარეთ, ეხლა არის 32 პროც., ასე რომ, ასაკ გადაცილებულთა ჩაბმა სკოლებში იზრდება. 1927-28 წ. 8-9-11 წ. ბავშვთა რაოდენობა სკოლაში უდრიდა 58,7 პრ., ხოლო 1929-30 წ.—61 პროც. როგორ შევძლით ჩვენი მთავრობის დადგენილებების და დავალებების შესრულება? ჩვენ საყოველთაო სწავლება უნდა გაგვეტარებია 35 რაიონში 4 წლიდის ფარგლებში და აგრეთვე 20 დასახლებულ ადგილებში, როგორიცაა, მაგალითად, თბილისი, ბათუმი და სხვ.—შვიდწლედის ფარგლებში [illegible] და ჩავატაროთ საყოველთაო სწავლება 10 რაიონში. შემდეგ უკანასკნელ 33 წლისათვის დაგვრჩება მხოლოდ 8 რაიონი, ეს თურქული რაიონებია და აჭარისტანი, სადაც წელს ვერ შევძლებდით საყოველთაო სწავლების ჩატარებას, — ჯერ ერთი, რომ მასწავლებელთა კადრი არ გვყავს, და შემდეგ ხელს გვიშლის ყოფა - ცხოვრების თავისებურობა. გეგმის მიხედვით გათვალისწინებული იყო 50 რაიონში გაეხსნათ 628 ჯგუფი. გავხსენით 1164 ჯგუფი. ამრიგად გეგმა გადაჭარბებულია. უნდა ყოფილიყო ჩაბმული 126,117 მოწაფე მთლიანად, ეხლა კი გვყავს ჩაბმული მხოლოდ 50 რაიონში — 96.711. ასე რომ შესრულებული გვაქვს 102,1 პროც.-სა.

4 წლედში გეგმით უნდა გვყოლოდა 329.605 მოწაფე. ფაქტიურად გვყავდა 15 იანვრისათვის 50 რაიონში 289.106. გეგმა შესრულებულია 89,4 პროც. როგორც ხედავთ, ამხანაგებო, გეგმა თითქმის შესრულებულია საყოველთაო-სავალდებულო სწავლების დარგში, მაგრამ არის საკითხი, რომელსაც აუცილებლად უნდა მიექცეს დიდი ყურადღება. ეს არის ასაკ-გადაცილებ. ჩაბმა სასწავლებლებში. გეგმით სასწავლებლებში უნდა ჩაგვება 50 ათასი მოწაფე, სინამდვილეში 26 რაიონის ცნობით, ჩავაბით სკოლებში 12.941 ასაკგადაცილებული. ამ რაიონების მიხედვით გეგმა შესრულებულია 49 პროც. რაც, რასაკვირველია, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად. პირიქით, ჩვენ გვაქვს აქ საბუთი ვთქვათ, რომ არის ერთგვარი გარღვევა. რასაც უნდა მიექცეს დიდი ყურადღება მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის მხრივ.

პედაგოგიური კადრები და მათი მდგომარეობა

როგორი არის ჩვენი სასწავლებლების პედაგოგიური კადრით მომარაგება? გეგმით გათვალისწინებული იყო ჩავება მუშაობაში 2037 ახალი მასწავლებელი, ფაქტიურად ჩავაბით 1969. მაშასადამე, გეგმა არ არის შესრულებული. ეს უმთავრესად იმიტომ, რომ არ გვყავს ნაციონალურ უმცირესობათა კადრები, განსაკუთრებით თურქული, ბერძნული და ქურთული. რაც შეეხება ქართულ და სომხურ სკოლებს, აქ პედაგოგიური პერსონალით სკოლები სავსებით დაკმაყოფილებულია. თავის თავად ცხადია, ამხანაგებო, ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის პედაგოგები, რომლებიც წელს მივაწოდეთ სასწავლებლებს, თვისებით აკმაყოფილებენ მოთხოვნილებას, ვინაიდან ჩვენ არ გვყავდა მასწავლებელთა საჭირო კადრი, იძულებული ვიყავით პედაგოგიური ტექნიკუმებიდან ნაადრევად გამოგვეშვა 1920 კაცი, რადგან საჭირო იყო საყოველთაო-სავალდებულო სწავლის გატარება. რა საკვირველია, მათ ვერ მოასწრეს საჭირო პედაგოგიური კვალიფიკაციის მიღება. შემდეგში ივინი დაგვჭირდება მათი გადამზადება კურსების საშუალებით, რათა შესძლონ წარმატებით შეასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობა. ვიწრო ადგილი პედაგოგიური კადრების საკითხში არის, როგორც ვთქვი, თურქული მასწავლებლობა. არსებული თურქული ტექნიკუმები ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოგვცემენ საჭირო კადრებს. მაშასადამე, საჭიროა მთელი რიგი ახალი ღონისძიებანი. მე არ ჩამოვთვლი, თუ რა ღონისძიება არის მიღებული ჩვენს მიერ. ვიტყვი მხოლოდ, რომ მიღებულია განსაკუთრებული ზომები, რომ ასეთი კადრი მომავალ წლისათვის შევქმნათ, რომ სახკომსაბჭოს მიერ დასახული გეგმები სავსებით იყოს შესრულებული, რა საკვირველია, ცოტა გამოკლებით, რადგანაც თურქული კადრების საკითხის მოგვარება არც ისე ადვილია. არის შემთხვევები, რომ თურქ მასწავლებლებს, როდესაც მათ ვგზავნით რაიონებში—სულ სხვა მიზნით იყენებენ, მაგრამ ამაზე შემდეგ ვილაპარაკებ. ასევე არადამაკმაყოფილებლად სდგას საკითხი ქურთული და ბერძნული კადრების. მაშასადამე, რიცხობრივი მასალები, რომელიც თქვენ წარმოგიდგინეთ, გვიჩვენებენ, რომ 8, 9, 10 წლის ბავშვებზე საყოველთაო-სავალდებულო სწავლის განხორციელებით ჩვენ დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა გვაქვს.

მეორეს მხრივ სავსებით არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ასაკგადაცილებულთა სწავლაში ჩაბმის მხრივ, ამ მხრივ ჩვენ გეგმა შესრულებული გვაქვს მხოლოდ 50 პროც. და ამის შესახებ საჭიროა განგაშის ატეხა. თუ კი წარმოებაში განგაშს სტეხენ, როდესაც საწარმოო-საფინანსო გეგმა არ არის შესრულებული, ჩვენ ასევე უნდა მოვიქცეთ ამ დარგში, რადგან გეგმა 50 პროც. დარღვეულია.

არის, ამხანაგებო, საყოველთაო-სავალდებულო სწავლის დარგში მთელი რიგი დამაბრკოლებელი მიზეზები და მათ შორის მასწავლებელთა მატერიალური უზრუნველყოფა. ამ დარგში ჩვენ დიდი დაბრკოლებები გვაქვს. არის ისეთი მოვლენები, რომლებსაც საბჭოთა ხელისუფლების დროს ადგილი არ უნდა ჰქონდეს, მით უმეტეს, როდესაც გვაქვს ამხ. ლენინის დირექტივა, რომელიც თვითეულ ჩვენგანს უნდა ჰქონდეს გაზეპირებული მის განსახორციელებლად. ლენინი ამბობდა:

„სახალხო მასწავლებელი ჩვენ უნდა დავაყენოთ ისეთ სიმაღლეზე, რომელზედაც ის არასოდეს არ მდგარა, არ სდგა და არც შეიძლება იდგეს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. ეს ჭეშმარიტებაა და დამტკიცებას არ თხოულობს. საქმის ამ ვითარებისაკენ ჩვენ უნდა ვისწრაფოდეთ სისტემატიური, გადაუხვევლი, დაჟინებითი მუშაობით მის სულიერ ამაღლებაზეც, მის ყოველმხრივ მოსამზადებლადაც მის მართლა უდიდეს მოწოდებისათვის და რაც მთავარი და მთავარია, მისი მატერიალური მდგომარეობის ასაწევად".

ასე ლაპარაკობდა ამხ. ლენინი მასწავლებლებზე და მათი მდგომარეობის ყოველმხრივ გაუმჯობესების შესახებ. სინამდვილეში, ჩვენ, ჯერ კიდევ ეს შესრულებული არ გვაქვს. პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას მიღებული აქვს მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებმაც საშუალება მოგვცა საგრძნობ გარდატეხა მოგვეხდინა, მაგ., თუ შარშან სახალხო მასწავლებელი ღებულობდა დაახლოვებით 50 მან., წელს ღებულობს 70 მან. ეს არის უდიდესი მიღწევა, რომელიც ახასიათებს ჩვენს ხელისუფლებას და თავის თავად ცხადია, მომავალში ამ დარგში უფრო მეტი იქნება გაკეთებული. გარდა ამისა, არის მთელი რიგი ღონისძიება მიღებული: გამოცემულია მთავრობის კანონი, რომ განათლების მუშაკი სოფლად დაკმაყოფილებული იქნეს საწარმოო მუშების ნორმით; სოფლის მასწავლებლები დაკმაყოფილებულნი იქნენ უფასოთ კომუნალური მომსახურებით, დაწესებულია ხელფასის პერიოდიული მომატება იმის მიხედვით, თუ რამდენი წელი იმსახურა სახალხო მასწავლებლად; უზრუნველყოფილი არის მასწავლებლობა კვალიფიკაციის ამაღლებით სხვადასხვა კურსების და ინსტიტუტების საშუალებით. აი, მოკლეთ ის ღონისძიებანი, რომლებიც მიღებულია მთავრობის და პარტიის მიერ, მაგრამ როგორც მოგახსენეთ, ჩვენ გვაქვს მთელი რიგი ისეთი დეფექტები, რომელიც უნდა აღმოვფხვრათ რათაც არ უნდა დაგვიჯდეს.

ამას წინად განათლების მუშაკთა ცენტრ. გამგეობამ ჩაატარა მასწავლებელთა მატერიალურ - უფლებრივი მდგომარეობის გამოკვლევა და გამოირკვა, რომ ხშირად არ არის შესრულებული მთავრობის მიერ გამოცემული კანონი, ბევრგან არ არის მიღებული საჭირო ღონისძიებანი, რომ მასწავლებლებს შეუმსუბუქონ მდგომარეობა. მაგ., ყველა რაიონებში თითქმის „ჩვეულებად" გადაიქცა მასწავლებელთათვის ხელფასის გვიანება. იყო შემთხვევა, — თუმცა ეს გამონაკლისია, მაგრამ დამახასიათებელი,—როდესაც მასწავლებელს არ მიუღია ჯამაგირი 5 თვის განმავლობაში. უკანასკნელ ხანებში იყო შემთხვევა, რომ სამი თვის განმავლობაში არ მიუღია მასწავლებელს ჯამაგირი. აღმაშფოთებელი ის არის, რომ ამ მიზნისათვის განზრახული თანხები იხარჯებოდა სულ სხვა რამეზე. ალბად, ზოგიერთ ამხანაგს ჰგონია, რომ მასწავლებელს შეუძლიან მოიცადოს, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ასეთ მდგომარეობაში მასწავლებელი ვერაფერს ვერ ასწავლის მოწაფეებს და ვერ შეასრულებს იმ უდიდეს მოვალეობას, რომელიც აწევს მას სოფლად. შემდეგ არ არის შესრულებული კანონი, რომელიც ლაპარაკობს მასწავლებელთა უზრუნველყოფის შესახებ უფასო ბინებით, განათებით და გათბობით. ხშირად მილიციელის საშუალებით მასწავლებელს აწყვეტინებენ მუშაობას და აგზავნიან ფულის ასაკრეფად. არის მთავრობის განკარგულება, რომ დაუშვებელია მასწავლებელთა მოწყვეტა თავისი უშუალო მოვალეობისაგან და მთელი კვირაობით მისი გაგზავნა სოფლად რამე სხვა სამუშაოებზე. თუ ადგილობრივ ამხანაგებს სურთ, რომ მასწავლებლებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ მუშაობაში, მაშინ მთელი სკოლა უნდა იქნას ჩაბმული ამ მუშაობაში. არის შემთხვევა, როდესაც საბჭოს თავმჯდომარე უძახის მასწავლებელს, აწყვეტინებს მეცადინეობას და უბრალო ტექნიკურ სამუშაოს შესასრულებლად იბარებს სოფლის საბჭოში. არის კიდევ ერთი დაუშვებელი მდგომარეობა. ჩვენ დიდი ვაი-ვაგლახით გავგზავნეთ მასწავლებლები თურქები და ამ თურქ მასწავლებლებს კომკავშირის ორგანიზაცია ხსნის სამუშაოდან და აგზავნის კომკავშირულ სხვა რომელიმე სამუშაოზე. ამას წინად ჩვენ წავიკითხეთ რამდენიმე ახალგაზრდა მასწავლებელი ქალის წერილი. თუმცა ამ წერილში არ არის ჩივილი სამუშაოდან მოწყვეტის შესახებ, მაგრამ იქ სწერია: მე „დამაწინაურეს", ეხლა რაიონში ვარ საქმეთა მმართველად. იმ დროს, როდესაც ჩვენ მასწავლებელთა ნაკლებობას განვიცდით ისინი საკანცელარიო სამუშაოებზე იყენებენ მათ.

ამხანაგებო, მე აღვნიშნე, რომ მასწავლებლები ცუდ მდგომარეობაში არიან მატერიალურად. სამხრეთ - ოსეთის მომარაგების კომისრის რწმუნებული, მასწავლებელთა თხოვნაზე, რომ საჭიროა მთავრობის დადგენილების თანახმად მოგვეცეს სხვადასხვა საჭირონი, ასე უპასუხებს: მასწავლებლები მიჩვეული არიან შიმშილს და ეხლაც მოითმინეთ.

ან და ასეთი შემთხვევა: ველისციხეში მასწავლებელი ქალი მივიდა თხოვნით საბ-

(გაგრძელება იხ. მე-2 გვერდზე)

საქ. ცაკის ახალი შემადგენლობა

წევრები

არაქელოვი აიკანუშ, ანდრიაძე ლიზა, არუთინოვი ბაგრატ, არუთინოვი გრიგოლ, ასრიბეკოვი ერვანდ, აზიზოვი აზიზ, აბუაშვილი, ავლოხაშვილი, ალავერდოვი სტეფანე, არეშიძე ვასო, ბასტაძე სერგო, ბერია ლავრენტი, ბოლქვაძე ვანო, ბაბაიანი ვ., ბუჯიაშვილი კოტე, ბელლაძე გიორგი, ბუაჩიძე ანდრო, ბურჯანაძე დიმიტრი, ბუაჩიძე სოსო, ვაშაკიძე ვალერიანი, დარიბჩევი ვართანი, გორდელაძე კოტე, გრიგორიანი მშაკ, გოდაბრელიძე სიმონი, გიორგაძე არჩილ, გოგია ბესარიონ, გუგუშვილი პიპიკო, გელაშვილი იოსებ, გოლუბოვსკი, გიორგაძე ნესტორ, გოცირიძე ნიკო, ჯანველოვი მოსეს, ჯაფარიძე ვარო, ჯაფარიძე ალექსანდრე, დევდარიანი გაიოზ, დევდარიანი გოგი, ინჟ. დიასამიძე, დოლიძე ანდრო, დოლიძე თედორე, დვალი ივანე, ეგიქია ათანასე, ძაგანია მიხეილ, ეჯიაშვილი თებრო, ენუქიძე ლევან, ერაძე ალექსანდრე, ულენტი თინგიზ, პროფესორი ზავრიევი, იტრიევი ვასილ, იმედაძე პიპიკო, იტრიევი ოჰანეზ, ქართველიშვილი ლავრენტი, კაპარავა ალექსანდრე, ყურულაშვილი გიორგი, ქურდაძე ვასო, კუპრაძე გრიგოლ, კიკნაძე ნიკო, კვირაცხელია მიხე, კიკელია ამბერკი, კორსაველი თედო, კუხალეიშვილი სევა, კვანტალიანი ეპიფანე, კობახიძე ოტია, კლევცოვი ანდრია, ქაცარავა კორნელი, ქორიძე სოფიო, ინჟ. კორინთელი, ქართველიშვილი კოტე, კირაკოზოვი ს., კალანდაძე ალ., ყამარაული ალექსი, კვირიკაძე არჩილ, ლომიძე ლუკა, ლორთქიფანიძე ტიტე, ლეჟავა ნოე, ლეჟავა შამში, მამალაძე გიორგი, მდივანი ალექსანდრე, პროფესორი მაჭავარიანი, მამულია სამსონ, მახარაძე ფილიპე, მაწყვეტიძე მიხა, მაჩაიძე ბაგრატ, მგალობლიშვილი გერმანე, მელიქაძე ბესარიონ, მელაძე პავლე, მზარეულიშვილი ვასო, მეგრელიშვილი სერგო, მორჩილაძე ლავრენტი, მათიკაშვილი შალვა, მოლდიბაძე კარაპეტ, მახარაძე ნინო, მეტკო, მამანაშვილი ეთერი, მირზაბეკოვი ბაგრატ, მატინიანი ანა, მეზვრიშვილი ს., მთიულიშვილი, მელიქოვი გრ., მამულია ილიკო, ნიორაძე, ნასყიდაშვილი მარო, ოკუჯავა შალიკო, ორახელაშვილი მამია, ორახელაშვილი მარიამი, ორჯონიკიძე პაპულია, ოდილავაძე კირილე, ფანცულაია დავით, აკადემიკოსი პისარჟევსკი, ფურცელაძე ზაქარია, ფანცულაია აკაკი, ფირცხალავა ანდრო, ჟუჟანოვი ს., პაიჭაძე, როსტომაშვილი, რთველაძე გიორგი, საკიანი გარიკ, სვანიძე ნიკოლოზ, ხუციშვილი ლადო, სიამაშვილი ანდრო, სოყვარელიძე პავლე, სტურუა ვანო, სტურუა გიორგი, ხოხაშვილი ილიკო, სულავა კირილე, სირაძე იოსებ, სარქისოვი მანუკ, სმოლენსკი, თაუშავაძე იოსებ, ტარუტინსკი, ტერ-ვართანოვი ასატურ, ტოროშელიძე მალაქია, თოდრია სილიბისტრო, თაქთაქიშვილი დიმიტრი, ტრდატიან ს., ურუშაძე ამბერკი, უბირია ალექსანდრე, ფედოროვი პეტრე, ფილია მელიტონ, ფრანგულიანი ივანე, ხურშუდიანი ალასა, ცხაკაია მიხა, ცხომელიძე ლიუბა, წულუკიძე პარმენ, ცხოვრებაშვილი სერგო, ცქიტიშვილი, ცაგარელი კ., ცხოვრებაშვილი ვლადიმერ, ჩუბინიძე, ჭაჭინაძე ბესარიონ, ჭკვიანოვა ა., ჩხეიძე ელენე, შენგელია მარიამ, ჩაბანოვი გუსეინ, ელერდაშვილი ვასო, ელიავა მარიამ, ეიუბოვა კატიკ, ჭელიძე სიმონ, ბაგიროვი ალი, ატოევი ნიკოლოზ, მესხი ვრალამ, წოდია მიხეილ, ლაკობა ნესტორ, ლადარია ვლადიმერ, აბზიანიძე ლეონიდ, ჭოლოყუა ხაჯგა, პეტროსიანი მიხეილ, ისაენკო, კამბა გეგი, უჩანეიშვილი, კოზბა ზიზა, მარკოზია, პარატიძე, ლაბაძე რეზო, ლორთქიფანიძე ზექარია, ქავთარაძე აკაკი, ჩახვაძე მუსტაფა, გიორგაძე იოსებ, რაფავა აქვსენტი, ბერიძე ზექარია, პაპუნაშვილი ხასან, ბოლქვაძე ახმედ, გვარელ-ოღლი მამედ, ფალავა დურსუნ, კეკელიძე სევერიან, ბუჭრიკიძე ტატო, გელაშვილი ს., მაკოიანი აკოპ, მამედ ალი ალიევი, ეიუბოვი აბდულ, მანჯგალაძე ვლადიმერ, იორდანიშვილი ივანე, ადიკაშვილი შაქრო, აბრამიშვილი გიორგი, ჩიტალაძე გიორგი, ბერიძე ვარლამ, გვასალია თუხტინე, თამარაშვილი ისაკი, თხილავა, დომენტი, ბატარაია ნიკიფორე, ჩხეიძე ვანო, ელიაშვილი ნიკოლოზ, ცქვიტინიძე შალვა, მუსტაფა ზადე იახია, ველიკაშვილი სიკო, ხომერიკი კონსტანტინე, ცაავა კონსტანტინე, ლობჟანიძე ივანე, შავლაძე სამსონ, ლომთათიძე გიგო, შენგელია არჩილ, თარგამაძე ბაგრატ, მხეიძე იასონ, წიკლაური სოფიო, ცხოვრებაშვილი ალექსანდრე, ქიმერიძე ალექსანდრე, კოკაია ლაზარე, ბუცხრიკიძე საბა, გვენეტაძე ეზეკია, ჩიქოვანი არჩილ, ქურციკაშვილი გიგო, ნადარეიშვილი ვლადიმერ, გაზარია რაჟდენ, ჯალიაშვილი ალექსანდრე, აფაქიძე ბაგრატ, ფრუიძე საბა, კოსტოევი, ჩხიკვაძე კაპ., ბერია ბეგი, კაპანაძე ილიკო, ნეფარიძე ივანე, ბურდული ალექსანდრე, აბაევი ალექსანდრე, ჯატიევი კოსტა, სანაკოევი სერგო, კასაევი მელიქ, ხარებავა ბარბალე, გაბლოევი გიორგი.

კანდიდატები

ბედია მაკარი, ბუაჩიძე ბენიტო, ბრეგვაძე პავლე, ვართანიანი ალაი, ვარინი, გრიგორიანი, გვარამია ბიქტორ, ძამაშვილი მიხეილ, ჟორჟოლაძე სიმონ, ზეინალოვი, კობალაძე ალექსანდრე, ჩიხლაძე შილა, ტატანაშვილი პ., დალაქიშვილი, ინაშვილი ალექსანდრე, მაისურაძე ალექსი, მოსტინი, ნაზაროვი გაიოზ, ორჯონიკიძე საბა, რამიშვილი ამბროსი, მელიქაძე კაპიტონ, ლაზარევი კონსტანტინე, ფანჩულიძე ვანო, შენგელია გრიგოლ, ჯიბუტი ნატალია, გიგოშვილი არჩილ, ჟიტოფსკაია მარიამ, დემეტრაშვილი მარიამ, მარტიროსოვა როზა, კეიდერ გოლფრიდ, მარდანაშვილი ეუსტაფი, თავდიშვილი ალექსი, ავსაჯანიშვილი, რობაქიძე ვასო, ქებაძე, დაცკო მათე, ქურდოვანიძე, შუანდრე, ადამიძე ივანე, იაზოვსკი, ტელიატნიკოვი, ბუაძე გიორგი, სიხარულიძე გერმანე, ზედგინიძე, ბაბუციძე, ტაბიძე გალაქტიონი, კორძაია, დაშენკო, ბადალოვი, ვაშაკიძე ოლღა, სუკიასიან არშაკ, ბაშილ ჩოჩო ოღლი, ჯიმუხაძე ალექსი, ბეშკენაძე არსენ, ლაფერაძე გრიგოლ, კაკაბაძე ნინა, თხელიძე იაკინთე, ორაგველიძე ბაბინე, ვადაჭკორია პლატონ, ზეინამ მამად კიზი, მუსაევა საკინა, სალამაკინა ფრიდა, ბატურინი თედორე, გურასპიშვილი თთარ, ქარცივაძე თებრო, დარჩია ევგენია, კვეჟაძე მიხეილ, მაჩიტაძე ზაქარია, ურუშაძე კიზო, კტოიანი მარიამ, კრიხელი ესთერი, ბურაევი სიმონ, ამაღლობელი ოლღა, გიორგობიანი გიორგი, იაშვილი ანნა, ჭაპუკიძე დიმიტრი, გურჩიანი რაჟდენ, ადამაშვილი ამბროსი, მახათაძე კირილე, სულხანიშვილი იოსებ, გოგიაშვილი ბაგრატ, პაჭკაშვილი გიორგი, მურუსიძე, კალანდაძე კაპიტონ, ხასია ძევე, ხირსელი, ბუღაშვილი გიორგი, ბურდუსყულაძე მარიამ, მათიაშვილი ევგენი, ხვედელიძე არჩილ, ხოხარულიძე ისიდორე, კადარაძე თადო, ბიწოლავა პავლე, ჩაგანავა იაკინთე, ლაჩუჩულიანი კოსტა, თოფურია საშა, უჯინაძე მიხეილ, გეორგაძე ნიკოლოზ, მოგამედ გუსეინ კიაზიმ, თორია კაპიტონ, პიოტ, ამხაცავა, შამბა, კაპბა ხარიტონ, შენაძე, კონსტანტინე, ხარბილაძე მარიამ, თაბაგარი ნიკიფორე, ანიფა, ურუშოვ იშხან, კალანდაძე მირიან, ბერიძე ფადიმე, კიკნაძე ალექსანდრე, ჯაში კვირიკე, ჯაჯანიშვილი ლევან, საფარიძე ჯემალ.

დელეგატები ეროვნებათა საბჭოში

საქართველოდან

დევდარიანი გაიოზ, მელაძე პავლე, მაჩაიძე ბაგრატ, მგალობლიშვილი გერმან, ბუჯიაშვილი მარიამ.

კანდიდატები:

თოდრია სილიბისტრო, ვაშაკაშვილი მიხეილ.

აჭარისტანიდან

გოზერია მიხეილ, ქავთარაძე აკაკი, სურმანიძე მოლდინ, ჯიჯავაძე მაირ, სტურუა ვანო.

კანდიდატები:

შამილაძე ზაქირე, ხვანიძე ნიკოლოზ.

აფხაზეთიდან

ლადარია ვლადიმერ, ანტია, პანცულაია დავით, დაუროვა, მამულია იასონ.

კანდიდატები:

ჩალმაზ, ზანდარია.

სამხრეთ-ოსეთიდან

აკოპოვი სტეფანე.

კანდიდატი:

მუზაევი.

დელეგატები საბჭოთა საკავშირო ყრილობაზე

ორჯონიკიძე სერგო, ორახელაშვილი მამია, მგალობლიშვილი გერმანე, ელიავა შალვა, ფედკო, ყურულაშვილი გიორგი, მამულია იასონ, რაგიმოვი, იაკოვლევი ალექს., ქართველიშვილი ლავრენტი, მახარაძე ფილიპე, ხუციშვილი ლადო, მამულია სამსონ, დევდარიანი გაიოზ, ცხაკაია მიხა, მაჩაიძე ბაგრატ, მელაძე პავლე, ტერ-ვართანოვი ასატურ, ლომიძე ლუკა, ფანცულაია დავით, ბერია ლავრენტი, მეჩიტოვი აგაფონ, დემეტრაშვილი მარიამ, მზარეულიშვილი ვასილ, ცაგარელი კირილე, შენგელია მარო, დიხუაშვილი, ნაკაიძე აკაკი, თევდორაშვილი თამარ.

კანდიდატები:

თოდრია სილიბისტრო, ჭელიძე სიმონ, ბურცხალავა ანდრო, ქუთათელაძე გ.

თებერვლის 20-ს, დილის 10 საათზე
სახალხო წითელ დარბაზში
შესდგება
მეექვსე მოწვევის
ცაკის კომფრაქციის სხდომა
ხოლო 12 საათზე შესდგება
იმ ვე ცაკის პირველი სესიის სხდომა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭოში და მას აძლევენ შემდეგი სიტყვებით: სიდანაც მოეთრიე, ისევ იქ წაეთრიე. იმის მაგივრად, რომ მთავრობის დადგენილება შეასრულოს სასოფლო საბჭომ, მასწავლებელი მიდის, თხოულობს იმას, რაც მთავრობის დადგენილებით, კანონით არის გათვალისწინებული და მას ასეთი სიტყვებით ისტუმრებენ.

ოზურგეთის რაიონში სოციალურ-კულტურულ გამგ. წარმომადგენელმა ჩამოიარა სკოლა, ნახა რომ დახურული იყო, შემდეგ გამოირკვა — მილიციელს მოეხსნა მასწავლებელი და გაეგზავნა სადღაც სამუშაოდ.

შუა ქვიტირში სოფლის საბჭოში განუცხადეს მასწავლებელს: რაღა გინდათ მეტი, მთავრობის დადგენილების ქაღალდი მასწავლებლების მომარაგების შესახებ ხომ ჯიბეში გაქვთ, თქვენთვის ესეც საკმარისი არის. მივიდა მასწავლებელი თელავის კოოპერატივში 12 მანეთად ღირებული ფართალის წამოსაღებათ; მას წინადადება მისცეს: ამ ფართალს წაიღებ მაშინ, თუ 50 მან. ღირებულ ბლუზას წაიღებო. რა არის, ამხანაგებო ეს? ეს არის დაცინვა და მეტი არაფერი. ფშავეთის კოოპერატივის გამგემ, როცა მას მასწავლებლებმა მიმართეს კუთვნილი საგნების წასაღებათ, ალბათ ის მხიარული გუნებაზე იყო და უთხრა მათ: ჯერ „ჯან ტიკოტიკო“ იმღერეთ და მერე მიიღებთ საქონელს.

ასეთ შეურაცხყოფას აყენებენ ჩვენ მასწავლებლებს, რაც ყოვლად დაუშვებელია, აღმაშფოთებელია, არა კომუნისტურია, არა ადამიანური მოპყრობა იმ ადამიანებისადმი, რომლებიც მიდიან სოფლად, რომ დაეხმარონ ხელისუფლებას, ხელი შეუწყონ იმ მიზნების ცხოვრებაში გატარებას, რომელიც მმართველ პარტიას აქვს დასახული. ასეთი მოპყრობა მასწავლებლებისადმი არის ანტისაბჭოთა მოვლენა, მავნებლობა. ვერ იქცევიან სათანადოთ ზოგიერთი ხელმძღვანელი ორგანიზაციებიც, მაგალითად, აჭარისთის განათლების მუშაკთა კავშირის გამგეობამ გამოირკვა, რომ აჭარისთის კოოპერაციის ცენტრს თურმე არც კი გაუგზავნია მთავრობის განკარგულება მასწავლებელთა მომარაგების შესახებ სხვადასხვა საქონლით. რაღა ითქმის ამის შემდეგ მარტვილზე, სადაც თურმე ერთმა მასწავლებელმა გააგულისა კოოპერატივის თანამშრომელი, რომელიც ისე გაგულისებულა, რომ განუცხადებია: სანამ მასწავლებელი ჯალამძე არ მოვა ჩემთან და მიწაზე მუხლებზე დაჩოქილი არ მთხოვს, მანამ ვერც ერთი თქვენთაგანი საქონელს ვერ მიიღებსო. თუ ჯალამძემ მიაყენა შეურაცხყოფა, მას, ვთქვათ ნუ მისცემ საქონელს— თუმცა არც ეს იქნება სწორი, მაგრამ დანარჩენმა მასწავლებლებმა რა დააშავეს? ასეთ „მოღვაწეებს“ **არ უნდა ჰქონდეს ჩვენს კოოპერატივებში ადგილი.** არის აგრეთვე მთელი რიგი კოოპერატივებისა: ქვიტირის, მარტვილის და სხვ., სადაც კოოპერატივი ღებულობს სამრეწველო საქონელს განათლების მუშაკებისათვის და ურიგებს სულ სხვა ხალხს. მე მგონია, ამხანაგებო, საკმარისია ამ ფაქტების გადმოშლა აქ. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ასეთი მოვლენებისათვის **პარტიამ და ხელისუფლებამ სასტიკი პასუხი უნდა აგებინოს მათ, ვინც ამ დანაშაულებრივ საქმეს სჩადის.**

მოწაფეების მდგომარეობა

გადავდივარ მეორე საკითხზე. ეს არის მოწაფეების მომარაგების საკითხი, უპირველეს ყოვლისა—სასწავლო ნივთებით, რაც მჭიდროთ არის დაკავშირებული საყოველთაო-სავალდებულო სწავლის საკითხთან. საყოველთაო-სავ. სწავლის გატარებისათვის საჭიროა აუარებელი სასწავლო ნივთები, წიგნები და სხვ., მაგრამ ჩვენმა დამამზადებელმა ორგანოებმა ვერ შესძლეს სასწავლებლების და მოწაფეების თავის დროზე მომარაგება. ჩვენმა სახელგამმა, რომელსაც ვალად ედვა სწავლის დაწყებისთანავე საჭირო რაოდენობის წიგნების გამოცემა, ეს ვერ შეასრულა. არა მარტო წიგნები, არამედ რვეულებიც ვერ გაუგზავნა სკოლებს. მე საწყენად არ მომიტანია, რომ დელეგატებისათვის მეჩვენებინა ისეთი ფერადი დამახასიათებელი მასალა, გამომიგზავნეს სოფლიდან დაფა, უბრალო ფიცარი, ისიც ცუდად გამოლაშქრებული, რომელზედაც მოწაფეები წერას სწავლობდნენ. თანაც მასწავლებლის მიერ მოწერილი წერილი: „რვეულის მაგიერ ხის დაფაზე ვასწავლით ბავშვებს წერა-კითხვას“. ასეთი იყო სწავლის დაწყებისთანავე მდგომარეობა სასწავლო ნივთებით მომარაგების დარგში. მაშასადამე პირველი—სახელგამმა ეს ვერ შესძლო, უკეთ რომ ვთქვათ, არ შესძლო, რადგან მის მიერ იყო გამოცემული მთელი რიგი წიგნებისა, რომლის გამოცემის გადადება შეიძლებოდა ერთი ან ნახევარი წლით. პირველ რიგში სახელგამს უნდა დაებეჭდა სახელმძღვანელოები და რვეულები. მაგრამ სახელგამმა ასე არ მოიქცა. ამრიგად, ამხანაგებო, წიგნებისა და სასწავლო ნივთების მომარაგების მხრივ წელს დიდი გარღვევა გვქონდა. ამან, რასაკვირველია, თავის გავლენა იქონია სწავლის ნორმალურ მიმდინარეობაზე. და გასაკვირი არ იქნება, რომ ზოგიერთ სასწავლებლებში უკვე ნახევარი წელი გადის და ბავშვებმა შეიძლება წერა-კითხვაც არ იცოდნენ და ეს იმიტომ, რომ ხელში არ ჰქონდათ სასწავლო ნივთები. გარდა ამისა, დროზედაც რომ გაეგზავნა სახელგამს საჭირო წიგნები ადგილებზე, საუბედუროდ, ჩვენი სამომხმარებლო კოოპერაცია და თვით სახელგამის სავაჭრო წერტილები დროზე ვერ აწვდიან ჩვენს სკოლებს გაგზავნილ მასალას. იყო შემთხვევა, როდესაც ბაშკირეთის რაიონისათვის გაგზავნილი სასწავლო ნივთები ეგდო ხამი თვე ლიუქსემბურგის კოოპერატიულ საწყობში. გარდა ამისა, ვინაიდან წელს საწარმოო საქონლის სიმცირეა, ჩვენ წინასწარ მივიღეთ ზომები, რომ სათანადო ორგანიზაციებს მოემარაგებინათ მოწაფეები ფეხსაცმლებით და ტანსაცმლით, ვინაიდან უამისოთ მოწაფეები ვერ შესძლებდნენ სკოლაში სიარულს და მაშასადამე გააცდენდნენ სწავლას. პირველად ყოვლისა ეს ეხება ღარიბებს მოწაფეებს. სამწუხაროდ, მოთხოვნილება, რომელიც წარუდგინეთ სათანადო ორგანოებს, მხოლოდ 5 პროცენტით არის შესრულებული. მართალია—იგზავნება სოფლებში როგორც მანუფაქტურა, ისე ფეხსაცმელი, მაგრამ როგორც მოგახსენეთ, ეს აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებას მხოლოდ 5 პროცენტით. აქაც საბჭოთა მე-6 ყრილობამ უნდა მიიღოს გადამწყვეტი ზომები, რომ მოწაფეები იქნენ მომარაგებული, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ნორმალურად ვერ იწარმოებს მეცადინეობა. სათანადო ორგანოებმა ვერ მოამარაგეს სასწავლებლები სათბობი მასალითაც. ადგილობრივმა ამხანაგებმა უნდა იცოდნენ, რომ არ შეიძლება მარტო ცენტრალური ორგანოებზე დამყარება, არ უნდა უცადონ იმას, როდის მისცემენ ცენტრალური ორგანოები რამეს.

არის ადგილობრივ შესაძლებლობა, რომ მომარაგების საკითხი მოგვარებულ იქნეს. მაგ. სტალინისში შესძლეს დამზადებინათ რამოდენიმე ასეული ფეხსაცმელი და ასეული ტანსაცმელი, რომელიც დაურიგეს ღარიბ ბავშვებს. ასეთივე მოვლენას ჰქონდა ადგილი სხვა რაიონებშიაც. ამბროლაურში, ლიუქსემბურგში, სადაც საკუთარი ინიციატივით შესძლეს სავსებით თუ არა, ყოველ შემთხვევაში, ცოტად თუ ბევრად დაეკმაყოფილებიათ ღარიბი მოწაფეების მოთხოვნილება. არის ამასთან ერთად მთელი რიგი რაიონები, რომლებსაც საშუალება აქვთ დაამზადონ მარაგი, მაგრამ შესაფერ ზომებს არ ღებულობენ; მაგალითად: მარტვილის გლეხკომის სახელოსნოში ეყარა 80 მ. ტყავი და ადგილობრივმა ამხანაგებმა ვერ შესძლეს დამზადებინათ რაიმე და მიეწოდებინათ ბავშვებისათვის. აი ამხანაგებო, მოკლედ მოწაფეების მომარაგების შესახებ.

მეტი სკოლები

რაც შეეხება სასწავლებლების აღჭურვილობის საქმეს, აქაც სავალალო მდგომარეობა არის. მთელ რიგ რაიონებში წელს მეცადინეობა დაიწყეს გვიან, არა მარტო იმიტომ, რომ საჭირო სასწავლო ნივთები არ იყო, არამედ იმიტომ, რომ სასწავლებლების შეკეთება დაიწყეს სექტემბერში ან ოქტომბერში. გაცდენა უდრიდა 2-3 კვირას და თითქმის 1 თვესაც მაშინ, როდესაც საჭირო იყო სასწავლებლების შეკეთება ამ დროს, როცა მოწაფეები არ სწავლობდნენ. თუ იტყვიან, რომ თანხები არ იყოვო ეს არ არის მართალი, ცნობილია ფაქტი, როდესაც თვით ბავშვების მშობლებს შეტანილი ჰქონდათ თანხები სასწავლებლის შესაკეთებლად, მაგრამ ადგილობრივმა ორგანოებმა ვერ გამოიჩინეს ინიციატივა, რომ ეს სასწავლებელი დროზე შეკეთებინათ. მაგალითისათვის მოვიყვან ფაქტს, რომელიც გამოქვეყნებული იყო პრესაში. სტალინისის რაიონში ადგილობრივმა ამხანაგებმა წამოიყვანეს ერთ-ერთ სოფელში. გლეხებს ორი წლის წინეთ მოემზადებინათ სააღმშენებლო მასალა, მაგრამ სასოფლო საბჭომ ვერ შესძლო, სასწავლებელი აეშენებინა. ამ ორი წლის განმავლობაში სააღმშენებლო მასალა გაფუჭდა. ერთ სოფელში ბავშვები სამეცადინოთ დადიან ერთ პატარა ეკლესიაში, სიგრძით 7 ნაბიჯი, სიგანით 4 ნაბიჯი. შეიძლება ეს სოფელი და ასეთი სასწავლებელი განა შეიძლება? აქ დამნაშავეა ადგილობრივი სასოფლო საბჭო.

გასული წლის მდგომარეობა რომ არ განმეორდეს, საჭიროა ზაფხულში, რაც არ უნდა დაგვიჯდეს, შევაკეთოთ ყველა სასწავლებლები. გარდა ამისა, ყურადღება უნდა მივაქციოთ ახალი სასკოლო შენობების აგებას. მოწაფეებს სასწავლებლებში რიგ-რიგად უხდებათ სიარული. არის დილის და საღამოს წყება. ეს იმას ნიშნავს, რომ სასწავლებლები არ ყოფნით, მაშინ როდესაც შესაძლებელია ჩვენი სასწავლებლების ქსელის გაფართოება. არ არის გატარებული ცხოვრებაში მთავრობის დადგენილება იმის შესახებ, რომ კულაკებისაგან ჩამორთმეული შენობები გადასცემოდა სასწავლებლებს. პირიქით, არის შემთხვევა, როდესაც სასწავლებლის შენობას იკავებენ დაწესებულებანი, მაგალითად ქიათურაში და სხვ. რაიონებში (ბაკო—აღმასკომი) ლიან, ქიათურის აღმასკომი. თუ თვით აღმასკომი არღვევს მთავრობის დადგენილებას, რა უნდა მოვთხოვოთ სხვა ორგანიზაციებს? მომავალ წელში გეგმით გათვალისწინებულია 120 ახალი შენობის აგება 4 წლედებისათვის, 80 შენობის შეკეთება. 35 დასრულება. ამისათვის სულ ნავარაუდევია 2 მილ. მანეთზე მეტი. 7 წლედებისათვის ნავარაუდევია ათი შენობის აგება და 15 დაუმთავრებელი შენობის დამთავრება. გათვალისწინებულია 7 ახალი პედტექნიკუმის აშენება. ასეთია მოკლედ ჩვენი მომავალი აღმშენებლობის გეგმა.

რასაკვირველია, ამხანაგებო, საყოველთაო სწავლების გატარება ადვილი არ არის, ჩვენ დიდი სიძნელეები გვეღობება, არსებულის უკლებლად გამოყენება, მაგრამ ყოველივე ეს უნდა შევძლოთ და შევძლებთ კიდეცა.

მაგრამ მე თქვენი ყურადღება უნდა მივაქციო იმ გარემოებას, რომ სააღმშენებლო მასალის დიდი ნაკლოვანებაა. ყველა სააღმშენებლო მასალის მიცემა ცენტრიდან რაიონებისათვის შეუძლებელია, ზოგიერთი ორგანიზაცია და სახელმწიფო საგეგმო კომისიაც ვერ ითვალისწინებენ არსებულ მდგომარეობას სასწავლებლის შენობების შესახებ და ჩვენი მოთხოვნილებანი შეკვეცილი იყო 10-ჯერ და 20-ჯერ. მაგალითად, ცემენტი მოთხოვნილი იყო 1720 კასრი და გვაძლევენ 1000 კასრს. ხის მასალა მოთხოვნილი იყო 15,980 კუბ. მეტრი, გვაძლევენ მხოლოდ—5.000, სახურავი რკინა მოთხოვნილი იყო—350 ტონა, გვაძლევენ 48 ტონას, მოთხოვნილი იყო 80 მილიონი აგური, გვაძლევენ 1 მილიონს, მოთხოვნილი იყო 6.740 ფუთი ლურსმანი, გვაძლევენ მხოლოდ 1600. სხვათა შორის აქედან ფაქტიურად თითქმის არაფერი არ არის მიღებული, თუ არ მივიღებთ მხედველობაში აგურს, რომელიც გაცემულია პედაგოგიური ინსტიტუტის საერთო საცხოვრებლის ასაგებათ. ასეთია მდგომარეობა სააღმშენებლო მასალის მხრივ. ამაზე იმიტომ მივუთითებთ, რომ ადგილობრივმა ამხანაგებმა გაიგონ ეს და შეეცადონ ამ მასალის მომარაგებას ადგილებზე.

სახალხო განათლების ბიუჯეტი წინედ და ეხლა

მე მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება მატერიალურ ბაზაზე. თავისთავად ცხადია, რომ არავითარი შედარება არ შეიძლება ჩვენ მიერ დახარჯული თანხებისა იმ თანხებთან, რომლებიც მენშევიკების დროს განათლების საქმისათვის იხარჯებოდა. მენშევიკების სახელმწიფო ბიუჯეტში სახალხო განათლების ხვედრითი წონა უდრიდა 4 პროცენტს, საერობო ბიუჯეტში (ადგილობრივი) კი 18 პროც., სულ რაღაც 3 მილიონამდე იხარჯებოდა სახალხო განათლებაზე. ეხლა კი სახელმწიფო ბიუჯეტიდან სახალხო განათლებაზე — 11,367,000 მან., ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან კი 16,500,000 მან. იხარჯება. ეს ხარჯი წელს კიდევ გაიზარდა. გარდა ამისა საყოველთაო სწავლებისათვის ნავარაუდევია დაიხარჯოს 21 ნახევარი მილიონი მანეთი. გარდა ამისა, მე არ დამისახელებია ის თანხები, რომლებსაც ხარჯავს სახელმწიფო ამ საქმისათვის არა სახალხო განათლების კომისარიატის ხარჯებიდან. არის კიდევ საგრძნობი თანხები, რომლებიც უნდა გაიღონ სამეურნეო და კოოპერატიულ ორგანოების თანხებიდან. მაგრამ აქ გადაჭრით უნდა განვაცხადოთ, რომ ამ ორგანიზაციებს არ ესმით, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საყოველთაო სწავლებას და ამიტომ ზოგიერთი მათგანი აცხადებენ, რომ არ შეგვიძლია მოგცეთ, არ ვიცით საიდან მოგცეთ, მოგცემთ თუ მთავრობა მოგვცემს ფასების მომატების უფლებასო და სხვ. მათ უნდათ ფასები მოუმატონ და შემდეგ განაცხადონ, რომ საყოველთაო სწავლის საჭიროებისათვის გავძვირეთ საქონელიო. ეს განცხადება, რასაკვირველია, მისაღები არ არის და ჩვენ უნდა ვაიძულოთ ეს ორგანიზაციები როგორც კოოპერატიული, ისე სამეურნეო, რომ თანხები გამოიღონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ საფრთხეში ჩავაგდებთ საყოველთაო სწავლების განხორციელების გეგმას.

სკოლების პოლიტექნიზაცია

უკანასკნელი საკითხი სკოლების პოლიტექნიზაციაა, რაც კადრების საკითხთანაა დაკავშირებული, მაგრამ არა მარტო მათი რიცხვის მხრივ, არამედ თვისების მხრივაც. იქ ყველაფერი რიგზე არ გვაქვს. მაგალითად, სახელმწიფო საგეგმო კომისიის გეგმის მიხედვით, 5 წლის განმავლობაში საქართველოს მეურნეობა საჭიროებს ინჟინრებს უმაღლესი კვალიფიკაციის 1.757, საშუალო—3.982, აგრონომებს უმაღლესი კვალიფიკაციის—1.845, საშუალო 6.688, ექიმები უმაღლესი კვალიფიკაციის—2.496, საშუალო ცოდნის—3.753, პედაგოგიური პერსონალი უმაღლესი ცოდნის—3.865, საშუალო—10.908, ხოლო თუ გადავხედავთ ჩვენ დღევანდელ სასწავლებლებს, დავინახავთ, რომ ისინი აკმაყოფილებენ ჩვენს მოთხოვნილებას დაახლოებით 35-40 პროც. რა კავშირი აქვს, ამხანაგებო, კადრებს სკოლების პოლიტექნიზაციასთან? უსათუოთ უშუალო კავშირი აქვს. დღემდე ჩვენი საშუალო სასწავლებლები ისეთ ხალხს უშვებდენ, რომელთაც წარმოების სრულებით არაფერი გაეგებოდათ, ჰქონდათ ეგრეთწოდებული ჰუმანიტარული სწავლა, რომლის გამოყენება არსად არ შეიძლებოდა, ასეთივე ხასიათის იყო უმაღლესი სასწავლებლების [illegible]. მაგ. უშვებდნენ ასეთ თეორეტიკოსებს, რომელთაც წარმოება სრულებით არ ესმათ. რასაკვირველია, ეს უნდა აღმოვფხვრათ და ჩვენი სასწავლებლები უნდა გავაპოლიტექნიკუროთ, უნდა შევიტანოთ შიგ სწავლის ისეთი პრინციპები, რომლის საშუალებით მოსწავლე უშუალოთ გაეცნობა წარმოების პროცესებს და, რაც უფრო სასურველია, თვით მიიღებს მონაწილეობას წარმოებაში. მაგრამ ეს კიდევ ვერ ამოსწურავს საკითხს პოლიტექნიზაციის შესახებ. საჭიროა მთელი რიგი ღონისძიებანი, რაც საშუალებას მოგვცემს მივაწოდოთ წარმოებას და სოფლის მეურნეობას ისეთი მომზადებული კადრები, რომლებიც შესძლებენ მათზე დაკისრებულ ამოცანების შესრულებას.

საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებში და, კერძოდ, საქართველოში გვაქვს მრავალი ახალი წარმოება, აშენებული ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. თავის თავად ცხადია, რომ ჩვენი მუშები ამ წარმოებასთან გაცნობილი არ არიან. საჭიროა ამ კადრების მომზადება. მე არ მაქვს ცნობები საბჭოთა კავშირის სინამდვილიდან. გამოკვლევები არც ყოფილა წარმოებული საბჭოთა კავშირში. მაგრამ მე მაქვს ცნობები, თუ რამდენი ეკარგება წარმოებას—ვთქვათ ამერიკაში იმის გამო, რომ არასაკმაოდ მომზადებული მუშები ებმებიან ახალ წარმოებაში. 1919 წელს მუშაობდა გუვერის კომისია, რომელიც სწავლობდა წარმოებაში არაწარმოებითი (НЕПРОИЗВОДИТЕЛЬНЫЕ РАСХОДЫ) ხარჯების საკითხს: კომისიამ გამოარკვია, თუ წარმოებაში ჩაბმულია მუშა, ცოტად თუ ბევრად დახელოვნებული, წარმოებას უჯდება ერთი კაცი 50 დოლარი, იმ შემთხვევაში, თუ ცოტა რამ იცის, არ არის კარგად დახელოვნებული—უჯდება 150 დოლ. ეს არის, არა საწარმოო ხარჯები, ეს არის ზედმეტი ხარჯები, რომელიც აწევს წარმოებას საჭირო კადრების უქონლობის გამო. მარტო ლითონის წარმოებაში ამერიკაში, იმის გამო, რომ საჭირო დახელოვნებული მუშები არ არის, ყოველწლიურად იღუპება 200 მილიონი დოლარი, ე. ი. 400 მილიონი მანეთი.

რომ ავიღოთ საბჭოთა რესპუბლიკების წარმოება, იქაც იქ დაინახავთ ალბად, რომ ზედმეტი ხარჯები, რომლებიც გამოწვეულია არ კვალიფიციურობით, ალბათ მიაღწევს ყოველ შემთხვევაში ერთ მილიარდ მანეთს. აქედან გამომდინარეობს ჩვენი სასწავლებლების პოლიტექნიზაციის აუცილებლობა, რათა მივცეთ წარმოებას ისეთი კადრი, რომელიც შესძენს წარმოებას უფრო მეტ სარგებლობას, ვინემ ის მოუტანდა იმ შემთხვევაში, თუ საერთო ცოდნას მიიღებდა. ზოგიერთ ამხანაგებს ჰგონიათ, რომ საკითხი პოლიტექნიზაციის შესახებ ახალი საკითხია, მაგრამ ცდებიან. მე მოგიყვან ამხ. ლენინის ნაწერებიდან ერთ-ერთ ადგილს. **ლენინი**, ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის მიწურულში სწერდა:

„მომავალი საზოგადოების იდეალი წარმოუდგენელია მოზარდი თაობის სწავლების საწარმოო შრომასთან შეუერთებლივ.

ვერც სწავლება, ვერც განათლება საწარმოო შრომის გარეშე, ვერც საწარმოო შრომა პარალელური სწავლებისა და განათლების გარეშე, ვერ შესძლებენ იმ სიმაღლეზე დაყენებას, რომელსაც მოითხოვს თანამედროვე ტეხნიკის დონე და მეცნიერული ცოდნის მდგომარეობა“.

ასე ლაპარაკობს ამხ. ლენინი. მით უმეტეს ეს მნიშვნელოვანია დღეს, როდესაც ჩვენთვის უფრო ნათელი არის, რომ საჭიროა ჩვენი მრეწველობისათვის, ჩვენი სოფლის მეურნეობისათვის გათვითცნობიერებული უმაღლესი კვალიფიკაციის მუშაკები. ეხლა შეუძლებელი არის ლაპარაკი იმაზე, რომ სასწავლებლებმა მოგვცენ „საერთო განათლების“ ადამიანები. ეხლა საჭიროა, საერთო საგნებთან ერთად, ისწავლებოდეს წარმოების პროცესების შემსწავლელი საგნები. სკოლამ თეორიისა და პრაქტიკის მთლიანობის პრინციპი უნდა განახორციელოს მარქსისტულ-ლენინური გაგებით. უამისოდ, ჩვენ ვერ მივცემთ ქვეყანას და მრეწველობას სპეციალისტების საჭირო კადრებს. მართალია, პოლიტექნიზაცია ჩვენში აქამდეც წარმოებდა ნაწილობრივ, მაგრამ ეს იყო არა ისეთი პოლიტექნიზაცია, როგორიც ჩვენ გვესმის. რა მიმართულებით ვფიქრობთ ამ პოლიტექნიზაციის გატარებას? პირველად ყოვლისა ეს არის კავშირი წარმოებასთან, ეს არის საწარმოო შრომა თვით მოწაფეებისა და სასწავლებლის სოციალისტურ წარმოებაში. ახლა მოკლედ ის გზები, რომლებშიაც უნდა მოგვეყვანოს სკოლის პოლიტექნიზაციამდე. გასულ შემოდგომაზე დავიწყეთ კამპანია პოლიტექნიზაციის მიზნით სასწავლებლების მიმაგრების შესახებ საწარმოებზე, მაგრამ, სამწუხაროდ ეს მიმაგრება ქაღალდზე დარჩა. არ არის, გამოჩენილი სამეურნეო მუშაკების მხრივ იმის გაგება, რომ სკოლის პოლიტექნიზაცია მათ ამოცანას შეადგენს, მათ ჰგონიათ, თითქო სკოლის პოლიტექნიზაცია ეს იყოს მარტო განათლების ორგანოების ამოცანა და რომ სამეურნეო ორგანოებს აქ არაფერი ეხებათ. ეს დიდი შეცდომაა. უპირველესი როლი სკოლის გაპოლიტექნიურებაში უნდა ითამაშონ ჩვენმა სამეურნეო ორგანოებმა. ჩვენ გვაქვს ისეთი ფაქტები, როდესაც ისინი არა თუ ხელს უწყობენ პოლიტექნიზაციას, არამედ ზოგჯერ ხელს უშლიან კიდეც. გვაქვს დოკუმენტი, გამოსული აბრეშუმის ტრესტის წიაღიდან, რომელიც აშკარად ამტკიცებს, რომ ისინი ხელს არ უწყობენ პოლიტექნიზაციას. ეს დოკუმენტი მოკლეა და მე თქვენ წაგიკითხავთ მას, საიდანაც დაინახავთ, თუ როგორ უყურებს აბრეშუმის ტრესტი სკოლის პოლიტექნიზაციას. ამ წერილს აბრეშუმის ტრესტი უგზავნის სამტრედიის ძაფ-ხვევის ქარხნის დირექციას:

სამტრედიის ძაფ-ხვევის ფაბრიკის დირექტორს: თქვენს ამა წლის 15 იანვრის შ-მ მოწერილზე თქვენ ფაბრიკაში ადგილობრივ პედაგოგიური ტეხნიკუმის მოსწავლეთა საწარმოო პრაქტიკაზე ყოველდღიურად 50 კაცის გაშვების შესახებ გაცნობებთ, რომ თქვენ მოვალე არა ხართ დააკმაყოფილოთ ზემოაღნიშნულების თხოვნა და ასეთი დაუშვებელიცაა, ვინაიდან ყოველგვარი საწარმოო პრაქტიკა, რა საკითხსაც არ ეხება იგი, შეთანხმებულ უნდა იყოს ზემდგომ ორგანიზაციების კადრების განყოფილებებთან. დაშვება პრაქტიკაზე 40 კაცის აუცილებლათ გამოიწვევს შრომის ნაყოფიერების დაცემას და შექმნის წარმოებაში არანორმალურ მდგომარეობას.

რაც შეეხება იმას, რომ ვითომც პრაქტიკანტები იმეცადინებენ უფასოთ, ასეთი დაუშვებელია, თანახმად არსებული კანონისა. მმართველის მოადგილე ლუნდლა. (ხელს აწერს) შრომის ნკ. განყ. ინსტრუქტორი—კომახიძე (ხელს აწერს).

მე მგონია, კაცი, ვინც ამას ხელს აწერს, სავსებით უცოდინარია იმისი, რომ მას არ ესმის სასწავლებლის პოლიტექნიზაცია, იგი ჯერ უნდა წავიდეს პირველდაწყებით სასწავლებელში, გაიგოს რა არის პოლიტექნიზაცია, როგორ უნდა მოეწყოს საბჭოთა სკოლა და შემდეგ გახდეს კადრების ხელმძღვანელი. გარდა ამისა, იყო შემთხვევა, რომ გორის აღმასკომმა თითო სკოლის პოლიტექნიზაციისათვის ბიუჯეტში შეიტანა ათი ათასი მანეთი, აქ არის ამხ. [illegible] დოლიძე და მისგან გაიგონებთ: ფინანსთა სახალხო კომისარიატს ჰყავს ისეთი სპეცები, რომლებსაც ჰგონიათ, რომ სკოლის პოლიტექნიზაცია ზედმეტი ბარგია და ათი ათასს უკანასკნელი სამი ნოლი ჩამოაცილეს და დარჩა 10 მანეთი. ვეკითხები მათ — აქვთ თუ არა წარმოდგენა სკოლის პოლიტექნიზაციაზე? რა არის ეს—შეცდომა, უვიცობა, თუ დანაშაული? ყოველ შემთხვევაში — დიდი დაცინვა.

კიდევ ერთი მაგალითი სამტრედიის სინამდვილიდან: იგი ეხება რკ. გზის დეპოს. დეპოს უფროსმა უარი უთხრა მოწაფეებს დეპოში პრაქტიკაზე დაშვების შესახებ იმ მოსაზრებით, რომ ისინი ხელს შეუშლიან წარმოებას: თქვენთვის არ გვცალია, მე სათანადო გეგმა მაქვს მოცემული, ის უნდა შევასრულოო და დეპოში ვერ დაგიშვებთო. ვერც მან გაუგია სკოლის პოლიტექნიზაციის საქმე. მოწაფეთა პრაქტიკაზე დაშვება პირიქით, ხელს შეუწყობს წარმოებას და მისი გეგმის განხორციელებას.

კიდევ მაგალითი, — ეს არის საფეიქრო ფაბრიკა, რომელსაც [illegible] სკოლისათვის უჩუქებია ასი მანეთი და ამაში გამოიხატება მისი მონაწილეობა და მოვალეობა სკოლის პოლიტექნიზაციის საქმეში. ვფიქრობ — ეს ფაქტები საკმარისია.

ახლა უკანასკნელი საკითხი: ამ ამოცანათა შესრულება საყოველთაო - სავალდებულო სწავლების გატარება, სკოლების გაპოლიტეხნიკურება, მასწავლებელთა მდგომარეობის გაუმჯობესება, მოწაფეთა მომარაგების საკითხის მოგვარება და სხვ. შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მობილიზაციას გაუკეთებთ მშრომელთა ფართო მასებს ამ საკითხების ირგვლივ მე-16 პარტყრილობის საყ.-სავ. სწავლება და წ-კ. უცოდინარობის მოსპობა ძირითად საბრძოლველ ამოცანად მიაჩნია. ჩვენი პარტიის და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები ვერ ამტკიცებენ თავიანთი მუშაობით, რომ მათ ეს ამოცანები ისევე ესმით, როგორც მე-16 პარტყრილობას. ის ფაქტი, რომ [illegible] ჩაბმა სკოლაში ჩვენ მოვახერხეთ მხოლოდ 50 პროც., ისიც უკეთეს შემთხვევაში, მოწმობს იმას, რომ აქ არის ოპორტუნისტული მიდგომა საკითხისადმი. საერთოდ საყოველთაო სწავლის საკითხისადმი ასეთი მიდგომა არის ჩვენი მუშაობის გარღვევა— კულტურულ ფრონტზე, ეს არის მთელი ჩვენი მუშაობის გარღვევა. მაშასადამე მასების მობილიზაცია კულტურული რევოლუციის ამოცანების გარშემო, ამ საკითხის შეუფასებლობის წინააღმდეგ ენერგიული ბრძოლა— აი ეს არის, რაც მოგვცემს ჩვენ გამარჯვებას ამ ფრონტზე. შემდეგ, მომავალი წლისათვის, ჩვენ უნდა დავისახოთ შემდეგი პერსპექტივები. საყოველთაო სწავლება ჩვენ უნდა გადავიტანოთ 7 წლედის ფარგლებში; ინდუსტრიულ რაიონებში—ჩვენ უნდა დავაჩქაროთ საყოველთაო სწავლების განხორციელება. ამხანაგებო, როდესაც ჩვენი მე-6 ყრილობა დამთავრდება და დაბრუნდებით ადგილებზე, საჭიროა ყოველი თქვენთაგანი ენერგიულად შეუდგეს ამ დიდ მუშაობას. რასაც უდიდესი გავლენა ექნება ჩვენი მშენებლობის წარმატებაზე. კულტურული მშენებლობა სოციალისტური მეურნეობის შენების უძლიერეს იარაღად უნდა ვაქციოთ (ტაში).

18 თებერვლის დილის სხდომა

კამათი ამხ. შ. მათიკაშვილის მოხსენების გარშემო

18 თებერვლის დილის სხდომაზე ყრილობამ მოისმინა რამდენიმე მისალმება ადგილობრივ ორგანიზაციებისაგან და შემდეგ ამხ. შ. მათიკაშვილის მოხსენება სავაზაფხულო სასოფლო - სამეურნეო კამპანიის და საკოლმეურნეო მშენებლობის შესახებ. მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, სიტყვა მისალმებისათვის მიეცა ამხ. დობორჯგინიძეს.

ამხ. დობორჯგინიძე
(გურიანთა)

ამხანაგებო, ოზურგეთის რაიონის გურიანთის კოლმეურნეობებში დარაზმულ 6139 კომლის სახელით მხურვალედ მივესალმები საქართველოს საბჭოთა მე-6 ყრილობას.

გურიანთის ღარიბი და საშუალო გლეხობა დიდი ხანია დარწმუნდა, რომ სოფლის წინ სვლა შესაძლებელია მხოლოდ კოლექტივიზაციის გზით. ჩვენ, შეუნელებელი ენერგიით ვიბრძოლებთ სოფლის სოციალისტური გარდაქმნისათვის. ჩვენი არტელის წევრებმა დაავალა გაგიცხადოთ თქვენ, რომ გურიანთის ღარიბი და საშუალო გლეხკაცობა სხვებთან ერთად აღფრთოვანებით ჩაება ახალი ქვეყნის აღმშენებლობის საერთო ფერხულში.

ჩვენს რაიონში სულ არსებობს 20 სასოფლო - სამეურნეო არტელი, გლეხკაცობის 78 პროცენტი გაერთიანებულია კოლექტივებში, განსაზოგადოებული გვაქვს 81 პროცენტი საქონელი, ასევე სახნავ-სათესი მიწა.

ჩვენ კლასიურად მტკიცედ განვაგრძობთ ბრძოლას მთლიანი კოლექტივიზაციისათვის, რომლის საფუძველზედაც მოვსპობთ კულაკობას, როგორც კლასს.

ამხ. ნინო მჟედლიშვილი
(ყვარელი)

ამხ. ფილიპე მახარაძის სახელობის ფიქალის საწარმოების მუშების სახელით ძმურ სალამს უძღვნი საქართველოს საბჭოთა ყრილობას. ჩვენი საწარმოების მუშებმა გამომატანეს ყრილობის საჩუქრად ფიქალით დახურული სახლის მოდელი და ფიქალისაგან გაკეთებული საბჭოთა ღერბი. (ამხ. მჟედლიშვილმა გადასცა ყრილობის პრეზიდიუმს ფიქალით დახურული სახლის მოდელი და ფიქალის ღერბი, რამაც დელეგატებში დიდი ინტერესი გამოიწვია).

გაუმარჯოს მუშათა კლასს და მის ხელმძღვანელს — საკავშირო კომუნისტურ პარტიას.

ამხ. ნ. დოლიძე
(ჩოხატაურის რაიონი)

ამხანაგებო! სიმინდი ჩოხატაურის რაიონში ნაკლებად მოდის, ამიტომ ჩვენი გლეხობა იძულებულნი არიან წავიდნენ სიმინდის მოსაყვანად ხიდისთავის რაიონში და სამგორელოსაკენ. ფართო ნიადაგი აქვს ჩოხატაურის რაიონში ჩაის კულტურას, მებაღეობას, მეხილეობას, მეფუტკრეობას და სხვ. მაგრამ ჩვენს დიდ ნაკლს წარმოადგენს ის, რომ რაიონი მოკლებულია აგრო-კულტურულ დახმარებას. მთელ ჩოხატაურის რაიონში ერთი აგრონომიც არა გვყავს.

კოლმეურნეობათა მშენებლობა ჩვენს რაიონშიაც ფართოდ არის გაშლილი, მაგრამ საქმეს აბრკოლებს ის, რომ კოლექტიურ მეურნეობებს არა ჰყავთ მუშა - საქონელი და აგრეთვე პროდუქტიული საქონელიც, საჭიროა ამ მხრივ კოლმეურნეობებს შესაფერი დახმარება გაუწიოთ. ჩოხატაურის რაიონს ამ ზამთარში აკლია სიმინდი, ამ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება.

ამხ. ხარბელაშვილი
(გორი)

მესაქონლეობის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საგრილებელი პუნქტების მოწყობას, ამასთანავე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კოლექტიურ მეურნეობებში ტეხნიკურ კულტურების განვითარებას, მაგრამ ამისათვის საჭიროა წინასწარ შესწავლილი იქნას, რომელ მიწაზე რა კულტურა უფრო იხეირებს. იყო შემთხვევა, რომ ჩვენ კოლექტიურ მეურნეობაში დავთესეთ 20 ჰექტარზე ტეხნიკური კულტურა, მაგრამ არ ივარგა. როდესაც გლეხი ამას უყურებს, მას გული უცრუვდება ტეხნიკურ კულტურების მოშენებაზე და კოლექტიურ მეურნეობების მშენებლობაზე საერთოდ.

გორის რაიონში გვაქვს სამანქანო - სატრაქტორო სადგური, მაგრამ გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ის ჯერ-ჯერობით სასოფლო - სამეურნეო კამპანიას ვერ უწევს ხელმძღვანელობას. ამ მხრივ მიღებულ უნდა იქნას ენერგიული ზომები. სამანქანო - სატრაქტორო სადგურები უნდა გადაიქცნენ სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის მძლავრ იარაღად.

კულაკები აქტიურად ებრძვიან ახალი სოფლის მშენებლობას და ზოგჯერ ჩვენი შეცდომებით თვითონ ვაძლევთ მათ პროვოკაციის მასალას. კოლექტივში გაერთიანება მოზარდ მუშა - საქონელს არ შეეხება, კულაკებმა ამით ისარგებლეს და დაარწმუნეს გლეხობის შეუგნებელი ნაწილი, რომ მათ გაეზოგადოებინათ მოზარდი მუშა - საქონელი. კულაკები ეუბნებოდნენ გლეხებს, რომ სულ ერთია გაიზრდება თუ არა შენი მოზვერი, მას კოლექტივი „წაგართმევსო“.

ჩვენს სოფელში იყო აგრეთვე შემთხვევა, როდესაც ყოფილმა დიაკვანმა ღარიბი გლეხი გაიბრიყვა და კოლმეურნეობიდან გამოიყვანა, ჩვენ ამის საპასუხოდ გადამჭრელი ზომები მივიღეთ კოლექტიურ მეურნეობებში დავარაზმეთ რამდენიმე ათეული ახალი ღარიბი გლეხი.

ამხ. ნადირაძე
(გარე-კახეთი)

ჩვენი რაიონის მტკივნეულ ადგილს წარმოადგენს ის, რომ ჩვენ არა გვყავს აგრონომი, მეტად ცუდად არის აგრეთვე კოლმეურნეობებში საანგარიშო საქმე, როდესაც შრომის აღრიცხვა და მოსავლის განაწილება წესიერად ვერ ხდება იმის გამო, რომ მოუწესრიგებელია ანგარიში - წარმოება, ეს კოლმეურნე გლეხებს გულს უტეხს.

გარდა ამისა გარე - კახეთში, კერძოდ საგარეჯოში მხოლოდ ერთი სახელოსნოა სასოფლო - სამეურნეო იარაღ - მანქანების შესაკეთებლად. რა თქმა უნდა ის ვერ აუდის მოთხოვნილებას. საჭიროა მას სხვა სახელოსნოც დაემატოს, ან გაძლიერდეს ბრიგადები, რომლებიც აწარმოებენ სასოფლო-სამეურნეო იარაღების შეკეთებას.

ცუდად მიმდინარეობს აგრეთვე კონტრაქტაცია და ეს უმთავრესად აიხსნება იმით, რომ კონტრაქტაციის პირობები თავის დროზე არ არის სათანადოთ განმარტებული. ამ ნაკლს უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

ამხ. ქუჩიაშიძე
(ზესტაფონი)

ჩვენი რაიონის ქალთა მასა ამჟამად ენერგიულ მონაწილეობას ღებულობს კოლექტივის მშენებლობაში. ქალმა შეაფასა კოლმეურნეობათა მნიშვნელობა. ჩვენ კი ვიცით, რომ ამ დროს კულაკობამ გამოიყენა ქალთა ჩამორჩენილი ნაწილი იმისათვის, რომ დაერაზმა ის ჩვენს წინააღმდეგ. მან ნაწილობრივ ეს შესძლო ზესტაფონის რაიონშიაც, დღეს არავითარ ამის მსგავსს ადგილი არა აქვს. დღეს ზესტაფონის რაიონის ღარიბი და საშუალო გლეხი ქალები მხარში უდგანან ჩვენს ორგანიზაციებს და მათთან ერთად მუშაობენ სოფლის სოციალისტურად გარდაქმნისათვის.

ამხ. ლეალაძე
(სამტრედია)

საკოლმეურნეო მშენებლობას დიდად უშლიდა ხელს ზოგიერთების პანიკიორობა. იყო შემთხვევა, როდესაც კომუნისტი ეუბნებოდა უპარტიო გლეხს: გადით თქვენ კოლექტივიდან, ამისათვის ვერავინ პასუხს ვერ მოგთხოვს და მეც მარტო დავრჩებიო. წელს გავაცხრილეთ კოლექტივები, მათში აღმოჩნდნენ საეჭვო ელემენტები, ყოფილი სტრაჟნიკები, რომლებიც გაძევებული იქნენ.

მომხსენებელმა აქ განაცხადა, რომ კოლექტიური მეურნეობანი ტრაქტორებს მიზანშეწონილად ვერ იყენებენ, ამიტომ უკეთესი იქნება, თუ მათ გადავცემთ სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს. ეს სწორი აზრია, იარაღ - მანქანების მოვლას მართლაც ნაკლები ყურადღება ექცევა, მაგრამ მიღებულ უნდა იქნას ზომები იმისათვის, რომ ისეთი მნიშვნელოვანი სასოფლო - სამეურნეო რაიონი, როგორიც არის სამტრედია, არ იქნას დატოვებული ისე, რომ იქ არ მოეწყოს სამანქანო - სატრაქტორო სადგური.

ორიოდე სიტყვა დარაიონებაზე. რა თქმა უნდა, დარაიონებამ გამოიღო შესაფერი ნაყოფი, მაგრამ ყველგან ის არ გამართლდა. მაგალითად, ჩვენს რაიონში არსებობს ორი უდიდესი სოფლის საბჭო კულაშში და დიდ ჯიხაიშში. თვითეული მათგანი რამდენიმე ათასეულ კომლს აერთიანებენ. საბჭო ვერ უვლის ასეთ დიდ სოფლებს, ჩვენ რამდენიმეჯერ აღვძარით ამის შესახებ საკითხი, მაგრამ მდგომარეობა ჯერ-ჯერობით უცვლელია.

სამტრედიის რაიონში, კერძოდ კულაშში 800 მოსახლე ღარიბი ებრაელია, მეტად ძნელია მათი კოლექტიურ მეურნეობებში შეყვანა, რადგან ისინი ჯერ კიდევ არ არიან შეჩვეული სოფლის მეურნეობას, ამიტომ ღარიბ ებრაელობას უნდა მიეცეს მიწა, თუნდაც მცირედი ნაჭერი იმისათვის, რომ მათ შესძლონ სოფლის მეურნეობის მუშაობის შეთვისება.

საგაზაფხულო სასოფლო - სამეურნეო კამპანიას აფერხებს ის გარემოება, რომ ჩვენ გვაკლია თესლი. მიწადმოქმედების კომისარიატი გვპირდებოდა თესლით მომარაგებას, დღეს კი ამაზე უარს გვეუბნებიან.

ამხ. არუთინიანი
(ახალქალაქი)

ჩვენს რაიონში არის კომუნა, რომელსაც დაპირება ჰქონდა მიცემული — რომ დახმარებას აღმოუჩენდნენ კრედიტების მიცემით, ეს ასე არ მოხდა. კომუნა ამჟამად დიდ დაბრკოლებებს განიცდის. კომუნას აქვს 1 ტრაქტორი და ისიც არ მუშაობს, რადგან აკლია სათადარიგო ნაწილები.

ახალქალაქის რაიონში მეტად მწვავე საკითხს წარმოადგენს წყლის საკითხი. გლეხები უდიდეს გაჭირვებას განიცდიან იმის გამო, რომ მთელი რიგი სოფლები რამდენიმე კილომეტრით არიან დაშორებული წყალს. მიღებული უნდა იქნას ენერგიული ზომები იმისათვის, რომ ახალქალაქის რაიონის ეს მტკივნეული საკითხი დროზე მოგვარდეს.

ამხ. დანელია
(ზესტაფონი)

ზესტაფონის რაიონში საქონლის საკვების დიდი ნაკლებობაა. თუ არ იქნა მიღებული გადამწყვეტი ზომები, საქონელს საფრთხე მოელის. ჩვენს რაიონში კოლექტიურ მეურნეობებს აკლიათ აგრეთვე სიმინდი, და ეს იმიტომ, რომ ზესტაფონის რაიონი უმთავრესად მევენახეობა - მეღვინეობის რაიონია.

ზესტაფონის რაიონში მხოლოდ 2 ტრაქტორია, რასაკვირველია, ეს სრულიად არ კმარა, კოლმეურნეობათა მშენებლობა ჩვენს რაიონში იზრდება და ეს მოითხოვს უფრო მეტ ყურადღებას.

ხშირია შემთხვევა, როდესაც ცენტრიდან გამოგზავნილი მუშაკები ვერ ამართლებენ თავიანთ მოვალეობას. ისინი უცნობნი არიან [illegible] ადგილობრივ საჭიროებათა საკითხებს. ამას მომავალში ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს.

ორიოდე სიტყვა აჯამეთის არხის შესახებ. ეს არხი უკვე დიდი ხანია დაიწყო. მასზე დიდძალი ფული დაიხარჯა, ხოლო საქმე დამთავრებული არაა. ასეთი მდგომარეობა დიდ ხანს ვერ გაგრძელდება. მიღებულ უნდა იქნას ზომები იმისათვის, რომ ახლო მომავალში აჯამეთის არხი დამთავრებულ იქნას, რაც დიდათ შეუწყობს ხელს ზესტაფონის რაიონის სოფლის მეურნეობის გამაგრებას.

ამხ. ისაკაძე
(სიღნაღი)

ზოგიერთი ორგანიზაციები არ უწევენ ანგარიშს იმას, რომ დარაიონება მოხდა და ძველებური სამაზრო მაშტაბით განაგრძობენ მუშაობას. ისინი ხშირად ერთ რაიონში ზის და იქიდან სურთ აწარმოონ მუშაობა სხვა რაიონებშიაც, სადაც უფრო საგასტროლოდ დაიარებიან, ვიდრე საქმის გასაკეთებლად. ასეთ ორგანიზაციას ეკუთვნის მაგალითად, წყალთა მეურნეობა, რომელიც ზის თელავში და იქიდან „ხელმძღვანელობს“ საქმეს სიღნაღის რაიონში. ასევე უნდა ითქვას „სოიუზშერსტის“ შესახებ, რომელიც დიდ უყურადღებობას იჩენს საქმისადმი. საქონლის დამზადება ჩვენში ადვილად მიმდინარეობს, გლეხობას დიდი ხალისით მოჰყავდა საქონელი, სიღნაღში თავს იყრის რამოდენიმე ასეული სული ძროხა და ხარი, მაგრამ მათი მომვლელი არავინაა, საქონელი შიმშილით ავადდება და ფუჭდება.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საძოვრების საკითხს, რომელიც ჯერ კიდევ მოუგვარებელია. ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მესაქონლეობის განვითარების დარგში.

ამხ. ცარციძე
(ჭიათურა)

ჭიათურა ბევრს ისე წარმოუდგენია, თითქოს იქ მხოლოდ მარგანეცის წარმოებაა, არ ღებულობენ მხედველობაში იმას, რომ ჭიათურა აგრეთვე ტიპიური სასოფლო - სამეურნეო რაიონია, თუნდაც ისეთი რაიონი, როგორიც არის საჩხერე. ამის გამო კრედიტების და მანქანა - იარაღების განაწილების დროს ჭიათურა კოლექტივების უკანა ნაბიჯში რჩება. ასეთ გარემოებას გადაჭრით უნდა მოეღოს ბოლო. მიწადმოქმედების კომისარიატმა ყოველთვის უნდა მიიღოს მხედველობაში ჭიათურის რაიონის სასოფლო-სამეურნეო მოთხოვნილება.

ჩვენს რაიონში მეტად მტკივნეული საკითხს წარმოადგენს მიწადმოწყობის საქმე, ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. ჩვენ აგრეთვე მეტად ღარიბი ვართ მანქანა - იარაღებით. წარსულ შემოდგომაზე არც ერთი სასოფლო - სამეურნეო იარაღი არ მიგვიღია.

ჭიათურის რაიონისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს მებოსტნეობის განვითარებას, ვინაიდან ამაზე დიდათ არის დამოკიდებული ჭიათურის მაღაროების მუშათა მომარაგება. ამავე დროს თესლს ბოსტნეულისათვის ვერ გვაწვდიან. პირველად მოგვცეს საამისო დაპირება, დღეს კი უარს გვეუბნებიან. ჩვენ რომ სოფლად დავიწყოთ ბოსტნეულის თესლის შეგროვება, ეს საქმეს დიდად დააყოვნებს და არც ის გვეცოდინება, თუ რამდენად სამედო იქნება ეს თესლი.

ამხ. შაბუკაიძე
(თელავი)

ჩვენში ამხანაგებო, მეტად ცოტა სახნავ-სათესი მიწა გვაქვს, არა გვაქვს აგრეთვე ცოცხალი გამწევი ძალა, მთელს ზემო ალვანში 5 გუთნეული საქონელი თუ იქნება. ამიტომ ტრაქტორს აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნებოდა.

წარსულ წელში ქვემო და ზემო ალვანის სოფლებში კოლექტივები ჩამოვაყალიბეთ, კულაკებმა ენერგიულად შეუტიეს მათ, ყოველი ღონე იხმარეს იმისათვის, რომ კოლექტივები ჩაეშალათ დღესაც მდგომარეობა მეტად გამწვავებულია იმის გამო, რომ კულაკები დევნიან კოლმეურნე გლეხებს და სიკვდილით ემუქრებიან მათ. ამ გარემოებას განსაკუთრებული ანგარიში უნდა გაეწიოს. საჭიროა სასტიკი ზომების მიღება კულაკებისა და ყაჩაღების ასალაგმავად.

ამხ. ლოგუანიძე
(ქვემო - სვანეთი)

ქვემო-სვანეთის რაიონში მეტად მცირეა სასოფლო-სამეურნეო იარაღები. მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ ქვემო-სვანეთის საჭიროებებს. წარსულ წელს ადგილი ჰქონდა ასეთ შემთხვევას. გამოგზავნილი თესლი გლეხობამ დიდი ხალისით მიიღო, დათესეს კიდეც, მაგრამ მოსავალი მეტად მცირე აღმოჩნდა, ზოგიერთ შემთხვევაში თესლი სრულიად არ ამოვიდა. ეს ხელს უტეხს ჩვენს მუშაობას და სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს გლეხებში.

ამიტომ, სანამ რაიონებში თესლებს დავუგზავნიდეთ საჭიროა წინასწარ შევისწავლოთ თავისებური ბუნებრივი პირობები და ისე შევარჩიოთ თესლი.

სვანეთი კარჩაკეტილ მდგომარეობაშია და ეს იმიტომ, რომ ჩვენში არ არის გზები. დაწყებული გზის მშენებლობას მეტად აბრკოლებს ტეხნიკურ ძალების უქონლობა. ეს ნაკლი დაჩქარებით უნდა გამოსწორდეს. ჩვენ მზად ვართ ყოველგვარი შრომა გავუწიოთ გზის გაყვანას. ქალაქიდან კი [illegible] გზების სამუშაოზე. საჭიროა ამას ანგარიში გაეწიოს და ცენტრალურმა ხელისუფლებამ შესაფერი დახმარება აღმოგვიჩინოს გზების მშენებლობაში.

18 თებერვლის საღამოს სხდომა

თავმჯდომარეობს ამხ. **თენგიზ ჟღენტი.** გრძელდება კამათი ამხ. შ. მათიკაშვილის მოხსენების გარშემო.

ამხ. უზნაძე
(სამთავისის კომუნა)

აღნიშნავს, რომ ადგილებზე არ იშოვება ტრაქტორების სათადარიგო ნაწილები, სარემონტო სახელოსნოები ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნილებას. [illegible], რაც აფერხებს მუშაობას. კოლმეურნეობების მუშაობას ხელს უშლის მოანგარიშეების ნაკლებობა. კერძოდ, მოანგარიშეების უყოლობის გამო შეფერხებულია სამთავისის კომუნის მუშაობა. ადგილებზე მოუგვარებელია ტყეების ხარჯვის საკითხი. ტყეების დაცვას ყურადღება არ ექცევა. მიწადმოწყობის დაგვიანების გამო ადგილებზე მრავალ გაუგებრობას აქვს ადგილი. აუცილებელია მიწადმოწყობის დაჩქარება.

ამხ. მხეიძე
(სიღნაღი)

ეხება სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მუშაობის მნიშვნელობას და ამბობს, რომ ერთი სამანქანო-სატრაქტორო სადგური უნდა გაიხსნას სიღნაღის რაიონში, კერძოდ ქიზიყის მხარეში, სადაც არის [illegible] საბჭოთა მეურნეობა და ფართო ასპარეზი სადგურის მუშაობისათვის. სიღნაღის რაიონში გეგმით უნდა დაითესოს 7,000 ჰექტარი ბამბა და 3,000 ჰექტარი თამბაქო; ამას გარდა ითესება სხვა ტეხნიკური კულტურებიც. ყველაფერი ეს ქმნის პირობებს სამანქანო-სატრაქტორო სადგურის გახსნისათვის. რაიონში ახლად იზრდება ბამბის კულტურა, ამიტომ აუცილებელია ყურადღება მიექცეს იმას, რომ ბამბის კულტურის განვითარება თავიდანვე ნორმალურ პირობებში იქნეს ჩაყენებული. საჭიროა ამ კულტურის უზრუნველყოფა წყლით და მუშა ხელით.

ამხ. მ. პირველი
(სვანეთი)

ზოგიერთი ამხანაგები ფიქრობენ, რომ სვანეთში არ არის საჭირო თესვის კამპანიის ჩატარება, რადგან სვანი არც ერთ ნაჭერ მიწას არ ხტოვებს დაუთესავს. მაგრამ ეს არ არის მართალი. სვანეთში აუცილებელია თესვის კამპანიის ჩატარება, რადგან თესვის კამპანია მარტო თესვას ხომ არ გულისხმობს, არამედ ის ითვალისწინებს მთელ რიგ აგრონომიულ ღონისძიებების ჩატარებას მოსავლიანობის გასადიდებლად. ამას კი ვერ იცნობს სვანი გლეხი. სწორედ ამიტომ საჭიროა იქ ფართოდ იქნეს ჩატარებული სასოფლო-სამეურნეო კამპანია. სვანეთი მესაქონლეობის რაიონია. აუცილებელია იქ მოეწყოს მესაქონლეობის რამდენიმე საბჭოთა მეურნეობა, რომლებიც შეასწავლიან გლეხებს კულტურულ მესაქონლეობას.

ამხ. სეფიაშვილი
(ქუთაისი)

ეხება მშრომელ ებრაელთა მდგომარეობას და ამბობს, რომ მოუგვარებელია ებრაელთა მიწადმოწყობა. მიწაზე გადასვლის სურვილი ბევრია, მაგრამ დღემდე ვერ მოუხერხდა მათთვის მიწების გამოყოფა. ამას უნდა მიექცეს ყურადღება.

ამხ. საჯაია
(ზუგდიდი)

ეხება სასილოსე მშენებლობას და აღნიშნავს, რომ ზუგდიდის რაიონში სასილოსე ორმოების გათხრა არ შეიძლება, რადგან იქ დაბლობი ადგილია და ორი მეტრის სიღრმიდან უკვე წყალი ამოდის. ამიტომ ორმოების მაგივრად იქ უნდა მოეწყოს სასილოსე კოშკი. ერთი ასეთი კოშკი გამოგზავნილი იყო ჩვენთვის სტალინგრადიდან, მაგრამ ამ კოშკის ზოგიერთი ნაწილები მივიღეთ, ზოგი კი დღესაც მიუღებელია. ამიტომ ამ კოშკის დადგმა ვერ ხერხდება. საჭიროა გამოირკვეს, თუ სად დაიკარგა ამ კოშკის ნაწილები და დამნაშავე პასუხისგებაში იქნეს მიცემული.

ამხ. ეკა მალაზონია
(გურიანთის თემი)

ესალმება ყრილობას გურიანთის თემის მთლიანი კოლექტივის სახელით და ამბობს, რომ მთელი თემის მშრომელი გლეხობა დარაზმულია პარტიის და ხელისუფლების ამოცანების შესრულების გარშემო და მედგრად იბრძვის კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციისათვის მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე.

ამხ. გერ. ლომთათიძე
(თბილისი)

აღნიშნავს გაზაფხულის სას. სამეურნეო კამპანიის მოსამზადებელი მუშაობის ნაკლოვანებებს და ამბობს, რომ მთელ რიგ რაიონებში მოსამზადებელი მუშაობა ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე. თესლის შეგროვება, მანქანების შეკეთება დღემდე ვერ გაიშალა საჭირო ტემპით. თესლის პრობლემა ერთერთი სერიოზული პრობლემაა ამჟამად, ამიტომ სათესლე ფონდის დაგროვებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

წელს დიდი ყურადღება ექცევა ბოჭკოვან კულტურებს, როგორიც არის: კენაფი, რამი და სხვ. საჭიროა ამ კულტურების მეტი პოპულარიზაცია გლეხთა მასებს შორის, რომ გლეხობამ ფართოდ მოჰკიდოს ხელი მათ გაშენებას.

წელს დიდი ყურადღება ექცევა აგრეთვე სოიას კულტურას. სულ საქართველოში უნდა დაითესოს 100.000 ჰექტ. სოია. მწვავედ სდგას ამ კულტურის საკითხი, რადგან სოიას თესლს ვერც ერთ რესპუბლიკიდან ვერ მოვიტანთ რადგან საბჭოთა კავშირში სოია უმთავრესად საქართველოში ითესება. ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა თესლის ადგილობრივ დაგროვებას. ამ მხრივ კი მუშაობა სუსტად მიმდინარეობს. დღემდე შეგროვილია თესლის მხოლოდ 40 პროცენტი. აუცილებელია ამ საქმეში გადამწყვეტი გარდატეხის მოხდენა, რადგან თუ თესლის შეგროვება არ დაჩქარდა გათვალისწინებული სივრცის დათესვა შეიძლება დაბრკოლდეს.

შემდეგ საკითხი — კონტრაქტაციის საკითხია. ჩვენ გვაქვს საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების დარღვევის მთელი რიგი შემთხვევები, მაგრამ ადგილობრივი ორგანიზაციები არ იღებენ ზომებს დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად.

ამხ. თოფურია
(აბაშის რაიონი)

შარშან გაზაფხულზე კოლექტივიზაციის პირველ პერიოდში ჩვენს რაიონში კოლექტივებში ჩაება გლეხობის 95 პროცენტი, მაგრამ მშრომელ გლეხებთან ერთად კოლექტივებში შეეპარა [illegible], კულაკები და მენშევიკები, რომლებმაც დაიწყეს [illegible] და შესძლეს ზოგიერთი წევრების გადაბირება. ამის შედეგად კოლექტივიზაციის პროცენტი შემცირდა 60-დე. ამჟამად კოლექტივები განმტკიცდნენ და ენერგიულად მუშაობენ სოფლის სოციალისტურად გარდაქმნისათვის.

ამხ. მექვაბიშვილი
(ოზურგეთის რაიონი)

მიწსახკომის მიერ ჩვენი რაიონისათვის მოცემული ტეხნიკური კულტურების გაშენების გეგმა გადასინჯვას მოითხოვს, რადგან გეგმით გათვალისწინებული სივრცე რაიონში არ მოიპოვება. საერთოდ კი რაიონის ორგანიზაციები ესალმებიან ტეხნიკური კულტურების განვითარებაზე აღებულ კურსს და იმედოვნებენ, რომ მიწსახკომი მიიღებს ზომებს, რომ რაიონი უზრუნველყოფილი იქნეს საჭირო თესლეულით.

შემდეგ ორატორი აღნიშნავს, რომ ყურადღება არ ექცევა სასოფლო-სამეურნეო იარაღების შერჩევას რაიონების ნიადაგის პირობების მიხედვით. მაგ. ოზურგეთის რაიონს ესაჭიროება № 8 გუთანი, მიწსახკომი კი გვიგზავნის № 4-ს. ჩვენს პირობებში დიდი მნიშვნელობა აქვს მოძრავ სამზარეულოების მოწყობას კოლექტივებისათვის. ოზურგეთის რაიონში კოლექტივებში გაერთიანებულია მშრომელი მოსახლეობის 75 პროცენტი და მთელი სახნავი მიწების 68 პროცენტი. ოზურგეთის რაიონი მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონია, ამიტომ მას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. ჩვენ სიტყვას ვაძლევთ ყრილობას, რომ მთლიანად შევასრულებთ გაზაფხულის კამპანიის გეგმას.

ამხ. ა. ურუშაძე
(თბილისი)

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-6 ყრილობა პირველი საბჭოთა ყრილობაა, რომელზედაც დასმულია სასოფლო-სამეურნეო კამპანიის საკითხი. ეს იმას ნიშნავს, რომ ყრილობა იხილავს ჩვენი მშენებლობის უმნიშვნელოვანეს პრაქტიკულ საკითხს.

რაც შეეხება გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გეგმას, უნდა ითქვას, რომ წელს ჩვენ გეგმით ტეხნიკური კულტურები უნდა გავაშენოთ 112.0000 ჰექტარზე, ე. ი. 175 პროცენტით მეტი, ვიდრე გასულ წელში. აქედან 15.000 ჰექტარი უნდა დაითესოს მარტო ჩაი. ამას გარდა 100,000 ჰექტარზე დაითესება სოია. იბადება კითხვა, როგორ უნდა შევასრულოთ ჩვენ ეს უდიდესი გეგმა? რომ ეს გეგმა უნდა შესრულდეს, ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ჩვენ უნდა დავძლიოთ მთელი ძალ-ღონე, რომ გადაჭარბებით შევასრულოთ ეს გეგმა. ჩვენი კლასობრივი მტრები, კულაკები და მათი პოლიტიკური იდეოლოგები—მენშევიკური პარტიის ნაშთები მოიკრებენ უკანასკნელ ძალ-ღონეს, რომ ჩაშალონ სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის გრანდიოზული გეგმა. ამიტომ კლასობრივი სიფხიზლის და ბრძოლის გაძლიერება კულაკების და მათი აგენტების წინააღმდეგ ჩვენს უპირველეს ამოცანას უნდა შეადგენდეს.

სოფლად ამჟამად მიმდინარეობს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა ნაწარმოების დამზადების კამპანია. მე მინდა აქ მივუთითოთ იმ მავნებლობაზე, რომელიც შეუძლია მოგვიტანოს თვითდინებაზე მინდობამ ამ საქმეში. კლასობრივ მტრებს აქაც სასტიკი წინააღმდეგობა უნდა გაუწიოთ.

ამხ. ვ. იტრიევი
(თბილისი)

ეხება კოლმეურნეობების ხელმძღვანელობის საკითხს და აღნიშნავს, რომ კოლექტივიზაციის დაჩქარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სწორედ ამ ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას. ამ დროს ჩვენ გვაქვს შემთხვევები, როცა ადგილებზე ზოგიერთი კომუნისტი და კომკავშირელი უარს ამბობენ კოლექტივებში შესვლაზე. ამას შეუძლია ცუდი გავლენა მოახდინოს უპარტიო გლეხებზე, ამიტომ ასეთი „კომუნისტების“ წინააღმდეგ მიღებული უნდა იქნეს გადამჭრელი ზომები.

ამჟამად ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს გრანდიოზული სოციალისტური მშენებლობა. მთელ რიგ რაიონებში შეიმჩნევა მუშა-ხელის ნაკლებობა, ამავე დროს ზოგიერთ რაიონებში და კოლმეურნეობებში ადგილი აქვს მუშა-ხელის სიჭარბეს. აუცილებელია ამ ჭარბი მუშა-ხელის რაციონალურად განაწილება იმ რაიონებსა და სამუშაოებს შორის, რომლებიც მუშების ნაკლებობას განიცდიან.

ამხ. კ. ჩხენკელი
(თბილისი)

სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ტეხნიკურ კულტურებს. ზოგიერთი ეს კულტურები, სრულებით ახალია ჩვენთვის. დასავლეთ საქართველოში განზრახულია რამდენიმე დიდი საბჭოთა მეურნეობის მოწყობა, უმთავრესად რამის, კენდირის და კენაფის. ამ კულტურებს დღემდე არ ექცეოდა სერიოზული ყურადღება, მაშინ, როდესაც მათი განვითარებისათვის ჩვენში არის ყოველგვარი პირობები. წელს რამი დაითესება 2.000 ჰექტარზე, კენაფი—9,000 ჰექტარზე, აქედან 8 ათასი ჰექტარი კოლმეურნეობებში, სელი—950 ჰექტარზე, მათ შორის—700 ჰექტარი კოლექტიურ მეურნეობებში და სხვა კულტურები—500 ჰექტარზე; სულ სხვადასხვა ტეხნიკური კულტურები გაშენებული იქნება 18.100 ჰექტარზე. შეიძლებოდა ამ კულტურების უფრო ფართოდ გავრცელება, მაგრამ ამას ხელს უშლის თესლის ნაკლებობა.

ამხ. ს. ბუაჩიძე
(წითელი არმია)

წითელი არმიის როლი არ გამოიხატება მარტო სოციალისტური მშენებლობის იარაღით დაცვაში. წითელი არმია აქტიურ და უშუალო მონაწილეობას იღებს თვით ამ მშენებლობაში, ჩვენი მუშაობის ყველა დარგებში. დიდია წითელი არმიის როლი სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საქმეში. წითელი არმია სოფლისათვის ამზადებს მრავალ მუშაკს, რომლებიც სამხედრო სამსახურის დამთავრების შემდეგ აქტიურად ებმებიან სოფლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში და სათავეში უდგებიან საკოლმეურნეო მოძრაობას. წითელი არმიელებისაგან არსდება სპეციალური კოლექტივები, მაგ. ვოროშილოვის სახელობის კომუნა გორის რაიონში, რომელიც კარგად მუშაობს და დიდი გავლენითაც სარგებლობს ახლო-მახლო გლეხობაში, ვერ ნახავთ ისეთ სოფელს, სადაც აქტიურად არ იბრძოდნენ ახალი ცხოვრებისათვის ჩვენი წითელარმიელები ან ცვალებადელები. საჭიროა ეს ამხანაგები უფრო მიზანშეწონილად გამოიყენონ ადგილობრივმა ორგანიზაციებმა.

ამხ. ა. კაჭარავა
(„საქართველოს ჩაი“)

ამჟამად საბჭოთა კავშირში ჩვენ სხვა სახელმწიფოებიდან შემოგვაქვს რამდენიმე ათეული ათასი მანეთის ჩაი, მაშინ, როდესაც შეიძლება საბჭოთა კავშირის ერთ კუთხეში, სახელდობრ საქართველოში, გაშენდეს იმდენი ჩაი, რომელიც არა მარტო დააკმაყოფილებს მთელ საბჭოთა კავშირს, არამედ შეიძლება მისი საზღვარგარეთ გატანაც. ამჟამად ჩვენ ჩაით დათესილი გვაქვს 15 ათასი ჰექტარი. გეგმით წელს უნდა დაითესოს კიდევ 15.000 ჰექტარი და ამას გარდა მომზადდეს ნიადაგი ჩაისათვის 5.000 ჰექტარზე. ამ გეგმის შესრულებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. გეგმა [illegible]. მისი შესრულება შეიძლება, საჭიროა მხოლოდ ენერგიული მუშაობა. ჩვენ უნდა მივიღოთ ყოველგვარი ზომები, რომ 1933 წელში ჩაით დათესილი გვქონდეს 75.000 ჰექტარი, რაც გაანთავისუფლებს საბჭოთა კავშირს ჩაის საზღვარ-გარეთიდან შემოტანისაგან.

ამხ. შ. მათიკაშვილის საბოლოო სიტყვა

აქ ამხანაგებმა წამოაყენეს მრავალი პრაქტიკული საკითხი, რომლებიც გათვალისწინებული იქნება ჩვენს შემდგომ მუშაობაში. მე მინდა შევჩერდე მხოლოდ რამდენიმე საკითხზე. ერთმა ამხანაგმა გორის რაიონიდან აღნიშნა, რომ კოლექტივებში ჯერ კიდევ არიან დარჩენილი მავნე პირები, რომლებიც შიგნიდან შლიან კოლექტივებს. ეს მართალია. ამას ადგილი აქვს არა მარტო გორის რაიონში. ამჟამად კოლმეურნეობებში მიმდინარეობს საგადარჩევო კამპანია და ეს კამპანია გამოყენებული უნდა იქნეს კოლექტივების ასეთ პირებისაგან გაწმენდისათვის.

მეორე საკითხია—ტრაქტორის საკითხი. აქ ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ ტრაქტორების ნაკლებობა ზოგან აფერხებს კოლექტივიზაციის საქმეს. ტრაქტორს, რასაკვირველია, უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოფლის სოციალისტურად გარდაქმნისათვის, მაგრამ არ შეიძლება საკოლმეურნეო მოძრაობის დამყარება მარტო ტრაქტორის ბაზაზე. ჩვენ ვიცით, რომ კოლექტივიზაცია დიდ შედეგებს იძლევა არსებული იარაღების უბრალო შეერთების პირობებშიაც. ამიტომ ამ გარემოებას ამხანაგებმა სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ.

აქ აღნიშნავდნენ აგრეთვე, რომ ჩაუტარებელია მიწადმოწყობა. ეს მუშაობა გაადვილდება, თუ ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ კოლექტივებმა ცალ-ცალკე გამოჰყონ მიწები სხვადასხვა კულტურებისათვის.

აღნიშნული იყო აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო დარაიონების ჩატარების აუცილებლობა. ყრილობა, ალბად, ამ საკითხზე მიიღებს სათანადო დადგენილებას და დაავალებს შესაფერ ორგანიზაციებს ამ მუშაობის ჩატარებას.

დასასრულ, ხელმძღვანელობის შესახებ. ოლქების გაუქმების შემდეგ ხელმძღვანელობის საქმე გართულდა. პარტ. და ხელისუფლების ორგანოების დადგენილებით ოლქი და მაზრა ზედმეტი რგოლია. ეს რგოლი უკვე გაუქმებულია, ჩამოყალიბდა რაიონები, რომლებმაც ფართო მუშაობა გაშალეს. მაგრამ ამ რაიონებს ესაჭიროებათ ხელმძღვანელობა. ჯერ ყველა ცენტრალურ ორგანიზაციებს არ გარდაუქმნიათ თავისი მუშაობა ახალი დარაიონების ამოცანებთან შეფარდებით. ჩვენ უნდა მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ ყოველ მნიშვნელოვან დირექტივას ცენტრიდან თან გავაყოლოთ ორგანიზატორი, რომელიც დარაზმავს ადგილობრივ ორგანიზაციებს ამ ამოცანის შესრულების გარშემო. თუ ჩვენ ასე მოვაწყობთ მუშაობას, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ კარგი ორგანიზატორები ვართ. (ტაში).

—:—

ამხ. მათიკაშვილის მოხსენების გარშემო რეზოლუციის შესამუშავებლად გამოყოფილი იქნა კომისია ამხ. ქართველიშვილის, მამულიას, აფციაურის, თანდილაშვილის, გვასალიას, ხოშტარიას, აბაევის, ბლუაშვილის, კაჭარავას, ურუშაძის, ჩხენკელის, ლორთქიფანიძის, ჟღენტის, კვირიკაძის, დოლიძის, ლაკობას, ანდრიაძის და მექვაბიშვილის შემადგენლობით.

(გაგრძელება იხ. მე-3 გვერდზე)

მისალმებები ყრილობას

სომხეთის საბჭოთა მე-7 ყრილობისაგან

მებრძოლი დამკვრელი მუშების, მშრომელი გლეხობის, კოლექტიური მეურნეობების, გმირული წითელი არმიისა და ფლოტის საუკეთესო წარმომადგენელთა ყრილობას—ქვეყნის ნამდვილ ბატონ - პატრონს — სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-6 ყრილობას საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ათი წლისთავის დიადი დღის წინ ძმური მხურვალე სალამი სომხეთის საბჭოთა მე-7 ყრილობისაგან. თქვენ, რომელნიც ამთავრებთ ძლევამოსილ ათ წელს, ახლა იხილავთ და სწყვეტთ შემდგომი სოციალისტური გარდაქმნისა და მომავალი ბრძოლების საკითხებს. დარწმუნებულნი ვართ, რომ ძალთა დაძაბვით, ბოლშევიკური შეუპოვრობით, გზაზე გადაღობილი ყოველგვარი დაბრკოლების გადალახვით, კლასობრივი მტრის ყოველგვარი ჩარევის უკუგდებით და ამიერ - კავკასიის ფედერაციის საფუძველთა უფრო განმტკიცებით, ამავე დროს შეურიგებელი ბრძოლის წარმოებით ლენინური ხაზის ყოველგვარი დამახინჯების წინააღმდეგ მრავალათასიანი მებრძოლი ენტუზიასტი დამკვრელი მუშები და კოლმეურნეები წარმატებით დაამთავრებენ ხუთწლედს ოთხ წელიწადში, ხოლო უფრო გადამწყვეტ დარგებში — სამ წელშიაც. ბოლშევიკური შეუპოვრობით ისინი შესძლებენ დაეუფლონ ტეხნიკას — სოციალიზმის მშენებლობის ამ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს იარაღს, წარმატებით დაამთავრებენ საბჭოების განმტკიცების საქმეს სოფლად, აგრეთვე სოციალისტური სექტორის გაშლა-გაძლიერებას სოფლადვე, მოახდენენ კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციას მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე. პროლეტარული დაჟინებით გავემართოთ საიერიშოდ, ვიბრძოლოთ, ვაშენოთ და გავიმარჯვოთ, ვინაიდან არ არსებობს ისეთი ციხე-სიმაგრე, რომლის დაპყრობაც არ შეეძლოთ ბოლშევიკებს.

ყრილობის პრეზიდიუმი

საქ. საბჭოთა მწერლების ფედერაციის დელეგაციის მისალმება

18 თებერვლის საღამოს სხდომაზე ყრილობას მიესალმა საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის დელეგაცია. დელეგაციის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა არ. შუმბაძემ.

— ამხანაგებო, მე მოგიტანეთ წრფელი სალამი საქართველოს პროლეტმწერალთა ასოციაციის და საბჭოთა მწერლების ფედერაციის სახელით. ამხანაგებო, იმ დროს, როდესაც ჩვენი საბჭოთა კავშირის განუსაზღვრელ სივრცეზე მუშები და მშრომელი გლეხობა მკლავებ დაკაპიწებული გაასკეცებული ენერგიით იბრძვიან და აშენებენ ახალ ცხოვრებას, იმ დროს, როდესაც მუშები და გლეხები ახალი, კაცობრიობისათვის ჯერ უცნობი ფორმებით ცდილობენ შეასრულონ 5-წლედის დიდი და უდიდესი გეგმა, იმ დროს, როდესაც საბჭოთა კავშირის ყოველი პატიოსანი მოქალაქე მზრუნველი ფუტკარივით ფუსფუსებს, რომ თავისი წვლილი შეიტანოს ამ საერთო სალაროში, ამ დროს დნესტრიდან მოკიდებული ატლანტის ოკეანეს იქითა ნაპირებამდე სულთმობრძავი, მაგრამ მაინც სიცოცხლის მწყურვალი კაპიტალიზმი კბილებამდე შეიარაღებული უთვალთვალებს ყოველ ჩვენს ნაბიჯს, სწონის და საზღვავს ყოველ ჩვენს მოქმედებას და ეძებს სუსტ ადგილს, რომ დრო იხელთოს და დაგვეცხოს.

თქვენ იცით, ამხანაგებო, ამისათვის მათ მრავალი ნაცადი ხერხი და საშუალება აქვთ. შინაგანი მავნებლობა, სხვადასხვა გვარი თვალთმაქცობა ღალატით დაგვირგვინებული, გარეთ პოლიტიკური და სამხედრო ბლოკები, აგრარული კონფერენციები და ამასთანავე მშვიდობიანობაზე ლაქლაქი. აი ამ დროს, ამხანაგებო, ზედმეტია აღფრთოვანებული დეკლარაცია, პათოსით ნათქვამი სიტყვები, რადგან ამის დრო წავიდა, თუ კი ოდესმე იყო ამის დრო. დღეს, როგორც მოგეხსენებათ, თვით უმცირეს საქმეს, საერთო საქმის ნაწილს და წვლილს გაცილებით მეტი მნიშვნელობა და ფასი აქვს, ვიდრე ტომებად დაწერილ მშრალ და ლიტონ სიტყვებს. აი, ამხანაგებო, ამიტომ ნება მომეცით მოგახსენოთ აქ ის, თუ რას პირდება დღეს საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაცია—მე-6 მოწვევის საბჭოთა ყრილობას. ჩვენ გვესმის, ამხანაგებო, მარტივი, მაგრამ დიდი თქმა პარტიის ბელადის, ამხ. სტალინისა, რომელიც ამბობს **„სხვისი მიწის არც ერთი მტკაველი არ გვინდა, მაგრამ ჩვენსას არც ერთ გოჯს არავის დავუთმობთ“**-ო. ამიტომ ჩვენ ვაარსებთ წითელ არმიელ მწერალთა ორგანიზაციას, მათთან ერთად ჩავებმებით ამ ორგანიზაციაში და ვიმუშავებთ სოციალისტური სამშობლოს თავდაცვისათვის. ეს ერთი. მეორე—მომავალი გაზაფხულის მეორე ბოლშევიკური თესვის კამპანიისათვის ჩვენ გამოვყოფთ აქტივს მწერლებისას 30 კაცის შემადგენლობით, რათა მათ ადგილებზე ხელი შეუწყონ ამ დარგში მომუშავე ამხანაგებს.

მესამე—მწერალთა ბრიგადების მუშაობას, რომელიც ამჟამად გვაქვს თბილისის სამრეწველო ცენტრში, ჩვენ ისე გავაფართოვებთ, გავაძლიერებთ, რომ მათ მოქმედებას გადავიტანთ სხვა სამრეწველო ცენტრებში.

მეოთხე—საყოველთაო - სავალდებულო სწავლების გატარებაში მივიღებთ აქტიურ მონაწილეობას და ამ მიზნით შესაფერის სახელმძღვანელოებს დავამზადებთ. თუ ვერ დავამზადებთ, დახმარებას გაუწევთ იმას, ვისაც ეს საქმე აბარია და აგრეთვე შევქმნით სათანადო ლიტერატურას მათთვის, ვინც უკვე ისწავლა წერა-კითხვა.

მეხუთე—ისევ აქტიურად, შეუდრეკელად განვაგრძობთ ბრძოლას მემარჯვენე რეაქციონურ მწერლების და მწერლობის წინააღმდეგ.

და ასე ამხანაგებო, ჩვენ, მწერლები თქვენთან ერთად ვიბრძოლებთ და ვიშრომებთ, რათა წარჩინებულად, წარმატებით და სასიხარულოთ შევასრულოთ 5 წლედი, ეს დიდი გეგმა დიადი მუშაობისა და არამც თუ მარტო თვალი მოვთხაროთ, ის თვალი, რომლითაც კაპიტალიზმი ჩვენ გვიცქერის, არამედ გულიც გაუპოთ, სასიცოცხლო ნერვები მოუკლათ მას, რომ მის ნაოხარზე ავაგოთ წითელი შარავანდედით მოსილი შენობა, რომელსაც ეწოდება სოციალიზმი. (ტაში).

ლანჩხუთის სამანქანო - სატრაქტორო სადგურის მუშა-მოსამსახურეებისაგან

ლანჩხუთის სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მუშა-მოსამსახურეები ესალმებიან საქართველოს უზენაეს ორგანოს—საბჭოების სრულიად საქართველოს ყრილობას.

ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წელი მოითხოვს დიდ მუშაობას სოფლის სოციალისტურად გარდაქმნისათვის. სამანქანო-სატრაქტორო სადგური კისრულობს ვალად შეასრულოს პარტიისა და მთავრობის ყველა დავალებები, განდევნოს ლანჩხუთის რაიონიდან სიმინდი და შეცვალოს იგი ძვირფასი ტეხნიკური კულტურებით, როგორიც არის რამი, ჩაი, სოია, კენაფი და ხელი შეუწყოს საბჭოთა საქართველოს გადაქცევას საბჭოთა ფლორიდად.

200 კურსანტ-ტრაქტორისტის და სადგურის თანამშრომლების საერთო კრებამ ერთხმად დაადგინა სოცშეჯიბრებაში გამოიწვიოს მეორე ბოლშევიკური გაზაფხულის წარმატებით ჩატარებაზე ზუგდიდის და აბაშის სამანქანო-სატრაქტორო სადგურები.

გაუმარჯოს სოციალიზმის მშენებლობის ბოლშევიკურ ტემპებს!

გაუმარჯოს სრულიად საქართველოს საბჭოთა მეექვსე ყრილობას!

გაუმარჯოს ლენინურ საკავშირო კომპარტიას და მის ბელადს—ამხ. სტალინს!

19 თებერვლის დილის სხდომა

კამათი ამხ. გ. დევდარიანის მოხსენების გარშემო

თავმჯდომარეობს ამხ. აბაკი

ამხ. დანელია

(ზესტაფონის რაიონი)

კომკავშირმა, რომელმაც იკისრა შეფობა საყოველთაო - სავალდებულო სწავლებაზე, დღემდე სათანადოთ ვერ გაშალა მუშაობა. ძალზე ჭიანურდება თანხების შეგროვება საყოველთაო სწავლების გატარებისათვის. კერძოდ, ზესტაფონის რაიონში ამ საქმისათვის სხვადასხვა ორგანიზაციებისაგან შეგროვილი უნდა ყოფილიყო ასი ათასი მანეთი, მაგრამ დღემდე არაფერი არ არის შეგროვილი. მოუგვარებელია სკოლების პოლიტექნიზაციის საკითხი, სკოლებთან მოწყობილი არ არის სახელოსნოები, უამისოდ კი პოლიტექნიზაციის გატარება შეუძლებელია. ერთმა სკოლამ მიიღო ხელოსნობის მოწყობა, რისთვისაც საჭირო იყო 10 ათასი მანეთი. ეს თანხა სკოლამ ვერ იშოვა. შემდეგ კოოპერაციამ იკისრა ამ თანხის გაღება, მაგრამ მას ზევიდან უბრძანეს — არ გაიღო ფული, თორემ პასუხისგებაში მიგეცემით. ასე აფასებენ საყოველთაო - სავალდებულო სწავლებას ზოგიერთი სამეურნეო ორგანიზაციები. ამ დღეებში ჩვენ ზესტაფონის ტექნიკუმიდან გამოუშვით რამდენიმე ახალგაზრდა პედაგოგი. განათლების კომისარიატმა მოგვთხოვა გამოგვეგზავნეთ ეს ახალგაზრდები აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში გასანაწილებლად. ჩვენ მობილიზაცია უყავით 17 ამხანაგს, გამოვგზავნეთ ისინი თბილისში, მაგრამ რას ვხედავთ, მათ გაგზავნას რამდენიმე დღე დააგვიანდა, მათ არ მისცეს არც ბინა, არც ფული და ეს ახალგაზრდები რამდენიმე დღე დახეტიალობდენ ქუჩებში. ასეთი მოპყრობა არ ვარგა.

ამხ. ნაზიაშვილი

(ყვარელი)

აღნიშნავს, რომ სკოლებს არა აქვთ სახელმძღვანელოები, სასწავლო ნივთები და პროგრამები. უამისოდ კი საყოველთაო-სავალდებულო სწავლების გატარება არ შეიძლება, არ არის მეთოდიური ხელმძღვანელობა, ადგილებზე არ იცნობენ პოლიტექნიზაციის მნიშვნელობას. ეროვნულ უმცირესობათა სკოლების ხელმძღვანელობა სუსტია. არ ხერხდება მუშაობის გამოკვლევა, მიღწევების და ნაკლოვანებების შესწავლა. ყვარლის რაიონში ცხოვრობენ ლეკები, უდიები და სხვ. მოუგვარებელია მათთვის სკოლების გახსნის საკითხი, რადგან გამორკვეულიც კი არ არის, თუ რომელ ენაზე უნდა ასწავლონ, მაგალითად, უდიებს, რომელთაც არა აქვთ თავიანთი ანბანი.

ამხ. კუპატაძე

(ჭიათურა)

საყოველთაო სწავლების გატარებაში ადგილებზე სამეურნეო ორგანიზაციები და პროფკავშირები სუსტად არიან ჩაბმული. მათ დღემდე ვერ გაშალეს მუშაობა ამ უდიდესი ამოცანის განხორციელების გარშემო. მოუგვარებელია მასწავლებელთა მომარაგების საკითხი. კოოპერაცია ამარაგებს მხოლოდ მასწავლებლების ნაწილს, მეორე ნაწილი კი ვერ ღებულობს იმას, რაც მას კანონით ერგება. ამას ყურადღება უნდა მიექცეს. ცეკავშირმა უნდა გააძლიეროს მასწავლებლების მომარაგება კანონით გათვალისწინებულ ნორმების ფარგლებში.

ჭიათურის რაიონში აგებულია 16 ახალი სასკოლო შენობა, 82 შენობას კაპიტალური რემონტი გაუკეთდა, ზაფხულში მზად იქნება კიდევ 15 შენობა, მაგრამ ეს მაინც ვერ დააკმაყოფილებს მოთხოვნილებას. ჩვენ დღემდე ვერ შევძელით სკოლების შენობების განთავისუფლება სხვადასხვა ორგანიზაციებისა და კერძო პირებისაგან, რომლებიც იქ ცხოვრობენ. კოლმეურნეობათა სკოლებში არა გვყავს აგრონომები, უამისოდ კი მოუხერხებელია მუშაობის გაშლა. ჭიათურის რაიონში ჩვენ გვყავს 8 ათასი წერა-კითხვის უცოდინარი, ესენი არ არიან ჩაბმული სალიკვიდაციო სკოლებში. მე ვფიქრობ მიზანშეწონილი იქნება, თუ ყრილობა გამოსცემს დადგენილებას, რომლითაც წერა - კითხვის შესწავლა სავალდებულოდ იქნება მიჩნეული.

ამხ. საბახტარაშვილი

(მარტვილი)

ეხება მასწავლებლების კომუნალურ სახსრებით დაკმაყოფილების საკითხს და ამბობს, რომ ადგილებზე ეს არ ტარდება, რადგან არ არის სათანადო ბინები. მოუგვარებელია მასწავლებელთა მომარაგების საკითხი. ჩვენს რაიონში ადგილი ჰქონდა მასწავლებლების ამოშლას ზოგიერთი კოოპერატივების წევრთა სიიდან, მაგრამ ეს გათავისუფლებული კოოპერატივები სათანადოდ ვერ ისარგებლეს. მოუგვარებელია ასეთი მდგომარეობა. მასწავლებლობა აქტიურ მონაწილეობას იღებს სოფლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ეხმარება პარტიის და ხელისუფლების ორგანოებს სხვადასხვა კამპანიების ჩატარებაში.

დასასრულ, ორატორი აღნიშნავს სახელმძღვანელოების და სასწავლო ნივთების ნაკლებობას, რაც საგრძნობლად აფერხებს საყოველთაო სწავლებისა და წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეს.

ამხ. მიქაშავიძე

(ქუთაისის რაიონი)

მასწავლებლების ბინები სოფლად ძალიან ცუდ მდგომარეობაშია, არ მოიპოვება სასწავლო ნივთები, რის გამო საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელების საქმე ვერ მიმდინარეობს საჭირო ტემპით. საყოველთაო სწავლებასთან დაკავშირებით უნდა გავაძლიეროთ მუშაობა გლეხ ქალთა შორის, უნდა ავწიოთ მათი კულტურული დონე, რადგან ჩვენი კლასობრივი მტრები ცდილობენ თავისი მავნე მუშაობის იარაღად სწორედ ისინი გამოიყენონ. ამას ყურადღება უნდა მიექცეს.

ამხ. ბასილაშვილი

(გარე-კახეთი)

გარე-კახეთის რაიონში არის სოფლები, სადაც ორი-სამი წელიწადია დაწყებულია სასკოლო შენობები, მაგრამ დღემდე ვერ მოხერხდა მათი დამთავრება. ამის მიზეზია საშენებელი მასალის ნაკლებობა, მასწავლებლები ადგილებზე ცუდ მდგომარეობაში არიან იმ მხრივ, რომ მათ დროზე არ აძლევენ ხელფასს. ხშირია შემთხვევა, როცა მასწავლებელს ორი-სამი თვით უგვიანებენ ჯამაგირს. ეს საკითხი უნდა მოგვარდეს, რადგან ასეთ პირობებში მასწავლებლის მუშაობა ვერ იქნება ნაყოფიერი.

ამხ. ბაბლიანი

(ქვემო-სვანეთი)

მიუხედავად იმისა, რომ ქვემო-სვანეთში, როგორც ჩამორჩენილ რაიონში, წელს ჩვენ არ უნდა შემოგვეღო საყოველთაო - სავალდებულო სწავლება, მოსახლეობის ინტერესი სწავლა - განათლებისადმი იმდენად დიდია, რომ ჩვენ შევძელით წელსვე გაგვეტარებინა ნაწილობრივ საყოველთაო სწავლება. ჩვენ ჩავატარეთ სკოლის მასაკი ბავშვთა აღრიცხვა და მათი უმრავლესობა ჩაბმულია სკოლებში.

ამხ. ქაცარავა

(თბილისი)

თბილისში საყოველთაო-სავალდებულო სწავლება ჩვენ შემოვიღეთ ჯერ კიდევ 1928 წ. მიუხედავად ამისა, მრავალი ბავშვი ჯერ კიდევ არ არის ჩაბმული სკოლაში, უმთავრესად ჩამორჩენილ ნაცუმცირესობებიდან. ამის მიზეზია ის, რომ ამ ეროვნულ უმცირესობათ არა აქვთ შეგნებული სწავლის მნიშვნელობა და ზოგიერთი მშობლები არ უშვებენ ბავშვებს სკოლაში. ამიტომ ჩვენ გვმართებს გავაძლიეროთ კულტურული მუშაობა ამ ეროვნებათა შორის. ასეთივე მდგომარეობას აქვს ადგილი ზოგიერთ სხვა რაიონებშიაც.

მეორე საკითხია — სკოლების პოლიტექნიზაცია. სწორედ ამ პოლიტექნიკურმა სკოლამ უნდა მოგვცეს ჩვენ სახალხო მეურნეობისათვის ნამდვილი კადრები. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტექნიზაციის მნიშვნელობა არა აქვთ შეგნებული ზოგიერთ სამეურნეო ორგანიზაციებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან მასწავლებლების საწარმოებში შესვლას, რადგან „ეს ხელს შეგვიშლის მუშაობაში“, რითაც აფერხებენ ამ მეტად მნიშვნელოვან ამოცანის განხორციელებას.

საყოველთაო - სავალდებულო სწავლების გატარების შემაფერხებელი მიზეზია აგრეთვე სახელმძღვანელოების ნაკლებობა. სახელგამმა ვერ შესძლო სკოლების დროზე მომარაგება ამ მხრივ. სახელმძღვანელოები, რომლებიც ამჟამად უკვე ხმარებაში უნდა იყოს, ეხლაც დაუბეჭდავია. დამაკმაყოფილებელი ვერ არის იდეოლოგიის მხრივ არსებული სახელმძღვანელოებიც. მათ საფუძვლიანი გადახედვა ესაჭიროება. სამეურნეო ორგანიზაციები უყურადღებოდ ეკიდებიან კულტურულ მშენებლობის საკითხებს. ამას მიუთითებს თუნდაც ის გარემოება, რომ ჩვენ დღემდე ვერ ჩამოვაყალიბეთ კულტურული მშენებლობის საბჭო, თუმცა მრავალჯერ ვთხოვეთ სხვადასხვა ორგანიზაციებს გამოეგზავნათ თავიანთი წარმომადგენლები.

ამხ. ოგოლაძე

(ქუთაისი)

ქუთაისში სასკოლო ბინების დიდი ნაკლებობაა, რის გამო ბავშვებს ორ ცვლად უხდებათ მეცადინეობა. ამავე დროს მთელი რიგი სამეურნეო ორგანიზაციებს აქვთ საშუალება აიშენონ თავისთვის სახლები და გაანთავისუფლონ ბინები სკოლებისათვის.

ამხ. ნინა მახარაძე

(თბილისი)

თუ ცუდი მდგომარეობაა საყოველთაო-სავალდებულო სწავლების გატარების მხრივ ზოგიერთ ქართულ რაიონებში, რაღა უნდა ითქვას ნაცუმცირესობათა რაიონების შესახებ, სადაც არც სკოლები გვაქვს საკმარისი და არც მასწავლებლები გვყავს საკმაო. ნაცუმცირესობათა პედაგოგების მოსამზადებლად ჩვენ თბილისში გავხსენით კურსები 70 კაცისათვის, მაგრამ ჯერ არც ერთ რაიონს არ გამოუგზავნია წარმომადგენლები ამ კურსებზე. ძალზე ცუდათაა დაყენებული მასწავლებლების მომარაგების საქმე. რაიონები ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევენ. ასეთ პირობებში ძნელია მუშაობა და ამით აიხსნება, რომ მასწავლებლები ზოგან გარბიან სკოლებიდან. კოოპერაციამ არ უნდა პირი იბრუნოს მასწავლებლისაკენ. ამას უნდა მიექცეს იმიც, რომ ბავშვების რიცხვი მცირდება ჯგუფებში. სახელმძღვანელოებს ნაცუმცირესობათა სკოლებისათვის ჩვენ ვღებულობთ უმთავრესად სომხეთიდან და აზერბეიჯანიდან, მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ეს სახელმძღვანელოები ცოტა იბეჭდება და ჩვენც მცირე რაოდენობით ვღებულობთ.

ამხ. ს. გუაჩიძე

(წითელი არმია)

წითელი არმიის საბრძოლო მზადყოფნის ამოცანა მოითხოვს ჩვენი პოლიტგანმანათლებელი ორგანიზაციების გაძლიერებულ ყურადღებას არმიისადმი. ჩვენ უნდა მოვსპოთ წითელ არმიაში წერა - კითხვის უცოდინარობა. თუ 1929 წელში ჩვენ არმიაში გვყავდა წერა - კითხვის უცოდინარი ცვალებადები 13,4 პროც-ი, 1930 წელში ეს პროცენტი შემცირდა 8-მდე. ამჟამად ყველა ძალები უნდა მივმართოთ იქითკენ, რომ სავსებით აღმოვფხვრათ წერა - კითხვის უცოდინარობა წითელარმიელთა შორის. ეს დიდი სირცხვილია, არმიაში გვყავდეს წერა-კითხვის უცოდინარნი, რადგან წერა - კითხვის უცოდინარი არმიელი ვერ შეითვისებს ბრძოლის იმ მაღალ ტექნიკას, რომელიც საჭიროა მისთვის. უნდა ითქვას, რომ ცვალებადთა შორის წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის მხრივ ადგილებზე საქმე სათანადო რიგზე ვერ არის. მიუხედავად იმისა, რომ ამ მიზნით ჩვენ ჩავატარეთ სპეციალური ლაშქრობა, ზოგიერთ რაიონში, მაგალითად, სენაკის რაიონში, ჯერაც არ გაუშლია მუშაობა ამ მიმართულებით.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე ტექნიკურ უცოდინარობის და მცირე მცოდნეობის ლიკვიდაციას ცვალებადთა შორის. მცირემცოდნეთა რიცხვი არმიაში ჯერ კიდევ დიდია. ასე მაგალითად, 29 წელში მათი რიცხვი აღწევდა 47,6 პროც-ს, 1930 წელში კი 38 პროც-ს. ამას სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს. აღსანიშნავია წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის სუსტი მსვლელობა ნაცუმცირესობათა შორის. ქართული წითელი არმიის რიგებში იმყოფებიან არა მარტო ქართველი მშრომელები, არამედ მშრომელები საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვა ეროვნებიდანაც, მათი კულტურული დონე უნდა გაუთანასწორდეს ქართველ მშრომელების კულტურულ დონეს, რომ წითელ არმიელი ეროვნულ უმცირესობიდან შორით არ უცქეროდეს მის ამხანაგს, რომელმაც გაზეთის კითხვა იცის.

ამხ. გიორგაძე

(თბილისი)

საყოველთაო - სავალდებულო სწავლების გატარების დროს სუსტი იყო განსაკუთრებით ხელმძღვანელობა ადგილებზე, არ იყო ყოველდღიური ცოცხალი კავშირი. იმ დროს, როდესაც მთელ რიგ რაიონებს აკლია მასწავლებლები, თბილისში გამოუყენებლად სხედან მასწავლებლები, რომლებიც ამას წინად მოვამზადეთ სპეციალურად ამ კამპანიისათვის. ამას ყურადღება უნდა მიექცეს. საჭიროა მასწავლებლების უფრო რაციონალურად განაწილება. ზოგიერთ რაიონში, ზოგან ერთ თანამდებობაზე იგზავნება რამდენიმე მასწავლებელი მაშინ, როდესაც სხვაგან მასწავლებლების ნაკლებობას აქვს ადგილი. მწვავე საკითხია სახელმძღვანელოების შედგენისა და გამოცემის საკითხი, პროგრამები დროზე არ მუშავდება და იგზავნება სკოლებში. ზოგიერთი სახელმძღვანელო ძალიან ცუდია. მასში მოყვანილი ცნობები აღარ შეეფერება ჩვენს სინამდვილეს. საჭიროა მათი გადასინჯვა და შესწორება.

ამხ. ქიქორია

(კომკავშირი)

მომხსენებელს არ აღუნიშნავს კომკავშირის მონაწილეობა საყოველთაო - სავალდებულო სწავლების გატარებაში, მაშინ, როდესაც კომკავშირმა, როგორც საყოველთაო-სავალდებულო სწავლების შეფმა, ბევრი რამ გააკეთა ამ დარგში. კომკავშირმა მობილიზაცია უყო 298 კომკავშირელ მასწავლებელს (8 რაიონში), რომლებიც გადაისროლა საყოველთაო სწავლების გატარების ფრონტზე. კომკავშირი აქტიურ მონაწილეობას იღებს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში. წელს კომკავშირმა იკისრა წერა კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია 40 ათას კაცს შორის, შარშან კი კომკავშირმა წერა - კითხვა შეასწავლა 30 ათას კაცს.

კომკავშირის ცეკა ამჟამად ატარებს ესტაფეტას კულტურული მშენებლობის საკითხებზე. ამ საქმეში მონაწილეობა უნდა მიიღოს მთელმა საბჭოთა საზოგადოებრიობამ, რაც გაადვილებს ყველა იმ საკითხების გადაწყვეტას, რომლებიც ამჟამად დასმულია ჩვენს წინაშე კულტურული რევოლუციის ამ ძირითადი ამოცანის განხორციელების დარგში.

ამხ. იმედაძე

(თბილისი)

ეხება მასწავლებლების მომარაგებას და ამბობს, რომ პარტიის და ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების დადგენილებით მასწავლებლები მომარაგების მხრივ გათანასწორებული არიან ინდუსტრიალურ მუშებთან. ეს მოწმობს, თუ რაოდენ ნდობით ეპყრობა ჩვენი ხელისუფლება მასწავლებლობას. სამწუხაროდ, ეს დადგენილება ყველგან არ ტარდება ცხოვრებაში. ადგილი აქვს ამ დადგენილების აშკარად დამახინჯების ფაქტებსაც. ამავე დროს არის რაიონები, მაგალითად, აჭარისტანი და ბორჯომი, სადაც მასწავლებლობას დიდი მზრუნველობით ეპყრობიან. ბორჯომში მასწავლებლებისათვის გახსნეს სპეციალური დახურული განაწილებელი, ასეთი მუშაობით ჩვენ რასაკვირველია, წინ წავწევთ საყოველთაო-სავალდებულო სწავლების გატარების საქმეს. საჭიროა ამას მიბაძონ სხვა რაიონებმაც.

დასასრულ, ორატორის საჭიროდ მიაჩნია აზერბეიჯანის მსგავსად მოწვეულ იქნეს საქართველოში მასწავლებელთა ყრილობა.

ამხ. არღულიანი

(ზემო-სვანეთი)

ზემო - სვანეთში არ არის არც ერთი სოფელი, სადაც სკოლა არ იყოს დაარსებული, ეს იმას ნიშნავს, რომ სვანი გლეხი დაინტერესებულია სწავლა - განათლებით. მაგრამ საყოველთაო სწავლების გატარების საქმეს აფერხებს ის გარემოება, რომ მასწავლებლები არ არიან უზრუნველყოფილი და ზოგი მათგანი გარბის სვანეთიდან. ამის მიზეზია ის, რომ კოოპერაციამ ვერ მოაგვარა მასწავლებლების მომარაგება.

ამხ. პაქსაშვილი

(გორი)

გორის რაიონში ჩვენ სკოლის მასაკის ბავშვთა 92 პროც-ი ჩავაბით სასწავლებლებში. სკოლები კი გავხსენით, მაგრამ ვერ უზრუნველვყავით იქ ნორმალური მუშაობა, რადგან სკოლები სივიწროვეს განიცდიან ბინების მხრივ, არ გვაქვს საჭირო მოწყობილობა, სასწავლო ნივთები და სხვ. პოლიტექნიზაციის გასატარებლად ჩვენ განზრახული გვქონდა სახელოსნოების მოწყობა სკოლებთან, რისთვისაც ვვარაუდობდით 10 ათასი მანეთის დახარჯვას, მაგრამ ეს თანხა საქართველოს ფინანსკომის მუშაკებმა შეგვიმცირეს 10 მანეთამდე თითოეულ სკოლაზე, ასეთ პირობებში ძნელია რაიმეს გაკეთება სკოლის პოლიტექნიზაციისათვის.

ამხ. ისაენკო

(აფხაზეთი)

ტყვარჩელში მუშაობა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის მუშებს შორის სუსტად მიმდინარეობს, რადგან არა გვაქვს საჭირო მოწყობილობა—მაგიდები, სკამები, სასწავლო ნივთები და სხვ. ამას ყურადღება უნდა მიექცეს. ტყვარჩელში ამჟამად 4 ათასი მუშაა, მათ შორის ბევრია წერა-კითხვის უცოდინარი, ამიტომ ამ უცოდინარობის ლიკვიდაციას სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს.

ამხ. ლორთქიფანიძე

(აჭარისტანი)

აჭარისტანის რაიონებში ამჟამად ჩვენ გვაქვს 186 პირველდაწყებითი სკოლა. სკოლების რიცხვი უკანასკნელი წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა. მთავრობის დადგენილებით საყოველთაო-სავალდებულო სწავლება ჩვენში გატარებული უნდა იქნეს მომავალი წლიდან. ამასთან დაკავშირებით მე მინდა ერთ გარემოებაზე მივაქციო განათლების კომისარიატის ყურადღება, ეს არის მასწავლებელთა ნაკლებობა აჭარისტანში. მასწავლებლები ადგილობრივ მკვიდრთაგან ძალიან ცოტაა. სხვა რაიონებიდანაც ნაკლებათ მოდიან მასწავლებლები ჩვენთან სამუშაოდ. ამიტომ ამას ამთავითვე უნდა მიექცეს ყურადღება, რომ არ შეფერხდეს საყოველთაო სწავლების გატარების საქმე. ამისათვის კი საჭიროა აჭარელ მასწავლებელთა მეტი რაოდენობით მომზადება და შეღავათების მინიჭება სხვა რაიონებიდან ჩამოსულ მასწავლებელთათვის. ეს შეღავათები დაწესებული უნდა იქნეს განსაკუთრებული დეკრეტის საშუალებით.

ამხ. ტარიელაშვილი

(სამხრეთ-ოსეთი)

აღნიშნავს, რომ სამხრეთ-ოსეთი კულტურულად ჩამორჩენილი კუთხეა. იქ ცოტაა სკოლები, კულტგანმანათლებელ დაწესებულებები, რაც არის ისინიც ვერ მუშაობენ რიგიანად, რადგან სუსტია ხელმძღვანელობა ცენტრიდან, სუსტია ცოცხალი კავშირი ადგილებთან.

ამხ. გ. დევდარიანის საბოლოო სიტყვა

აქ ზესტაფონელი ამხანაგი უსაყვედურებდა განათლების კომისარიატს, რომ ჩვენ გამოვითხოვეთ ზესტაფონიდან მასწავლებლები, ბიუროკრატიულად მოვეპყარით მათ და ეხლა ისინი ქუჩებში ხეტიალობენ. ეს ცნობა არ შეეფერება სინამდვილეს. ჩვენ ზესტაფონის კომკავშირის რაიკომს მივწერეთ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონებში საჭიროა მასწავლებელთა განსაზღვრული რაოდენობა და ვითხოვდით გადაეგზავნა იქ მსურველები. სამისიო თანხები ჩვენ ზესტაფონს მივაწოდეთ. ასე რომ, საგზაო ფული მასწავლებლებს იქვე უნდა მიეღოთ. როგორც ვხედავთ, აქ დანაშაული მიუძღვის არა ჩვენ, არამედ ზესტაფონის კომკავშირის ორგანიზაციას.

რამდენიმე სიტყვა სკოლების მოწყობილობის შესახებ. ჩვენი სკოლების უმეტესობას პარტებიც კი არა აქვს. არ არის აგრეთვე სხვა მოწყობილობაც. ეს, რა თქმა უნდა, აფერხებს მუშაობას, მაგრამ მთავრობას ამჟამად არა აქვს საშუალება ერთბაშად დააკმაყოფილოს ყველა რაიონები საჭირო ნივთებით. აქ თვით ადგილებმა უნდა გამოიჩინონ თვითმოქმედება.

ჭიათურელი ამხანაგი აქ აყენებდა საკითხს—გამოცემული იქნეს დეკრეტი, რომელიც აიძულებს წერა-კითხვის უცოდინარებს შეისწავლონ წერა-კითხვა. ეს წინადადება მიუღებელია, რადგან ეს იქნებოდა ბიუროკრატიული მიდგომა ამ საკითხისადმი, მის მაგივრად, რომ გავაჩაღოთ ცოცხალი მუშაობა და დავაინტერესოთ წერა-კითხვის უცოდინარები სწავლა-განათლებით. ეს იმას ნიშნავს, რომ ზოგიერთ ამხანაგებს ადმინისტრატიული ღონისძიებებით უნდათ მოსპონ წერა-კითხვის უცოდინარობა. ეს არაფრად არ ვარგა.

ამხ. გიორგაძე აღნიშნავდა, რომ განსახკომს არა აქვს ყოველდღიური ცოცხალი კავშირი ადგილებთან, მაგრამ მას არ უთქვამს რაში უნდა გამოიხატოს ეს ყოველდღიური ცოცხალი კავშირი. მისი სიტყვიდან ისე გამოდის, რომ ჩვენ უნდა დავხუროთ განათლების კომისარიატი და ყველა მუშაკები გადავისროლოთ რაიონებში. ეს რასაკვირველია, არ შეიძლება. ჩვენ რაიონებთან გვაქვს კავშირი. ჩვენი ინსტრუქტორები თვეობით რჩებიან რაიონებში და ადგილობრივ ხელმძღვანელობენ მუშაობას. შეიძლება ეს მუშაობა არ არის საკმარისი, ჩვენ მივიღებთ ზომებს, რომ ის უფრო ფართოდ გავშალოთ.

ამხ. გიორგაძე აღნიშნავდა, რომ თბილისში უსაქმოდ არის 200 მასწავლებელი, მაშინ როდესაც სხვაგან მასწავლებელი აკლიათ. ეს მართალია, მაგრამ ეს მასწავლებლები არიან უმაღლესი განათლებით, სხვაგან კი ესაჭიროება მასწავლებლები პირველდაწყებითი სკოლებისათვის. ასე რომ ამ მასწავლებლების იქ გადაგზავნა შეუძლებელია. ეს მასწავლებლები განაწილებული იქნებიან ტექნიკუმებს შორის.

როდესაც მე ვლაპარაკობდი მასწავლებლების მომარაგებაზე, მე მხედველობაში მქონდა სამრეწველო საქონლის ფონდი, რომელიც გამოყოფილია მასწავლებელთათვის. მე აღვნიშნავდი, რომ ეს ფონდი არ არის სათანადოთ გამოყენებული, საერთოდ კი ჩვენ არ შეგვიძლია ეხლა ვთქვათ, რომ მთელი 100 პროც. დავაკმაყოფილეთ მასწავლებლობა, რადგან სამრეწველო საქონლის ის ნაკლებობა, რომელსაც ამჟამად ადგილი აქვს საერთოდ მთელ საბჭოთა კავშირში, შეუძლებელს ხდის მასწავლებლობის მთლიანად დაკმაყოფილებას. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ არ უნდა მივიღოთ ზომები მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამ მხრივ პირველ რიგში თვალყური უნდა ვადევნოთ იმას, რომ მასწავლებლებისათვის გამოყოფილი ფონდი თანაბრად იქნეს განაწილებული ყველა მასწავლებლებს შორის.

აქ კომკავშირის წარმომადგენელმა საყვედური გამოთქვა იმის გამო, რომ მე არაფერი ვთქვი კომკავშირის მონაწილეობაზე საყოველთაო-სავალდებულო სწავლების გატარებაში მაგრამ, ამხანაგებო, მე მიზნად არ მქონია გამეშუქებინა ცალკე ორგანიზაციების მონაწილეობა ამ საქმეში. ამიტომ არ აღმინიშნავს კომკავშირის მოღვაწეობა. კომკავშირმა, რასაკვირველია, ბევრი გააკეთა, მაგრამ მისი მუშაობა მაინც ვერ არის დამაკმაყოფილებელი, როგორც ვერ არის დამაკმაყოფილებელი პროფკავშირების მუშაობაც. უნდა ითქვას, რომ პროფკავშირებს თითქმის არაფერი გაუკეთებიათ საყოველთაო - სავალდებულო სწავლების ერთთვიურის წარმატებით ჩატარებისათვის. ეს ნაკლი უნდა გამოსწორდეს. ყველა ორგანიზაციამ უნდა გააცხოველოს მუშაობა და ხელი შეუწყოს ამ უდიდესი პოლიტიკური ამოცანის განხორციელებას. ბოლო უნდა მოეღოს საყოველთაო-სავალდებულო სწავლების ოპორტუნისტულ შეუფასებლობას, საყოველთაო სწავლება ნაწილია ჩვენი საერთო შეტევისა კაპიტალისტურ ელემენტების წინააღმდეგ, ამიტომ კულტურული მშენებლობის გამოყოფა ამ საერთო შეტევიდან არის მემარჯვენე ოპორტუნიზმი, რომელსაც მწვავედ უნდა დავარტყათ. პირველი მარტიდან ჩვენ ვატარებთ ფართო კულტესტაფეტას, რომელშიაც აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ყველა ორგანიზაციებმა.

დასასრულ, მე მოვუწოდებ ყრილობის დელეგატებს ადგილებზე დაბრუნებისთანავე ფართო მუშაობა გააჩაღონ საყოველთაო-სავალდებულო სწავლების გატარების გარშემო და შექმნან ყველა პირობები იმისათვის, რომ ეს უდიდესი ამოცანა წარმატებით იქნეს შესრულებული. (ტაში).

—:—

ამხ. გ. დევდარიანის მოხსენების გარშემო რეზოლუციის შესამუშავებლად ყრილობამ გამოჰყო კომისია, რომელშიაც შედიან შემდეგი ამხანაგები: დევდარიანი, მახარაძე ნინა, აბაკი, ლაკობა, გოგებია, ქაცარავა, ბუდუაშვილი, საბახტარაშვილი, ბასილაშვილი, ბუაჩიძე, ღრუბაძე, ანდრიაძე, პაქსაშვილი, კუპატაძე, მიქაშავიძე, იმედაძე, ჯაფარიძე ვარო, ლორთქიფანიძე და ვანო ბოლქვაძე.

ყრილობის დახურვა

19 თებერვლის საღამოს სხდომა

19 თებერვლის საღამოს სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. ს. თოდრიას მოხსენება ზოგიერთ ცვლილებათა შეტანის შესახებ საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციაში.

ამხ. ს. თოდრია

ამხანაგებო, საბჭოთა საქართველოს კონსტიტუცია მიღებული იყო მე-4 ყრილობაზე 1927 წელს. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ მშენებლობის დიდი ტემპები განვავითარეთ. ხდება სათანადო ცვლილებები კანონმდებლობაში სოციალისტური რეკონსტრუქციის ამოცანებთან შეფარდებით. აუცილებელია საქართველოს კონსტიტუციაშიაც შევიტანოთ ახალი რამ, რასაც ცხოვრება მოითხოვს და ზოგი მუხლები, რომელთაც დაკარგეს თავიანთი მნიშვნელობა, ამოვშალოთ.

თქვენ იცით, რომ საბჭოთა საქართველოს ფარგლებში შემოდის აჭარისტანის ავტონომიური რესპუბლიკა, სამხრეთ - ოსეთის ავტონომიური ოლქი და საკავშირო ხელშეკრულებით საბჭოთა აფხაზეთი. ცხოვრებამ წამოაყენა საკითხი იმის შესახებ, რომ აფხაზეთიც ავტონომიური რესპუბლიკის საფუძველზე შემოვიდეს საქართველოს რესპუბლიკაში. ამის შესახებ უკვე იქონია მსჯელობა აფხაზეთის საბჭოთა ყრილობამ, რომელმაც დროულად და მიზანშეწონილად სცნო ამ ღონისძიების გატარება. საჭიროა ეს დადგენილება დადასტურებული იქნას საქართველოს საბჭოთა ყრილობის მიერ. ამის მიხედვით სათანადო ცვლილებები უნდა იქნას შეტანილი საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციის მე-9 და მე-23 მუხლში.

ამხ. თოდრია მოახსენებს ყრილობას სხვა შესწორებათა შესახებ კონსტიტუციაში.

ყრილობა ერთხმად ღებულობს ყველა შესწორებებს.

ამხ. ს. თოდრიას მოხსენების შემდეგ ყრილობამ ერთხმად მიიღო რეზოლუციები ამიერ - კავკასიის მთავრობის და საქართველოს მთავრობის მოხსენებათა გარშემო, საგაზაფხულო სასოფლო - სამეურნეო კამპანიის შესახებ და საყოველთაო განათლების შესახებ.

დასასრულ მოსმენილი იქნა სამანდატო კომისიის მოხსენება.

სამანდატო კომისიის მოხსენება

ყრილობაზე სულ არჩეული იყო 602 დელეგატი, აქედან გადამწყვეტი ხმით 450 კაცი, გამოცხადდა 96,3 პროც.

წელს დელეგატების რიცხვი 22 კაცით მეტია, ვიდრე იყო საქართველოს საბჭოთა მე-5 ყრილობაზე.

ქალების რიცხვი დელეგატთა შორის უდრის 74-ს, ე. ი. 13 პროცენტს. წარსულ ყრილობასთან შედარებით ქალთა რიცხვი გაიზარდა 1 პროც.-ით.

ეროვნების მიხედვით — ქართველების რიცხვი შეადგენს 71,9 პროც., სომხების 11 პროც., თურქების 4,8 პროც., რუსების 5,7 პროც. და სხვ.

ყრილობა ამტკიცებს სამანდატო კომისიის მოხსენებას.

მისალმებანი

ამის შემდეგ ყრილობას ესალმებიან ფაბრიკო - საქარხნო სკოლათა დელეგაციის სახელით ამხ. ცხოვრებაშვილი, დამკვრელ მეჩაიეთა დელეგაციის სახელით ამხ. მ. გოგუაძე, შრომის გმირების ძველი მუშების სახელით ამხ. ს. დოლიძე. ყრილობაზე პროლეტარულ მწერალთა სახელით გამოვიდა პოეტი ალიო მაშაშვილი, რომელმაც წაიკითხა თავისი ლექსი „დამკვრელი“.

ყრილობამ აირჩია საქართველოს ცაკ-ის წევრები და კანდიდატები, დელეგატები საბჭოთა საკავშირო ყრილობაზე და ეროვნებათა საბჭოში.

დასასრულ ყრილობას მოკლე დასკვნითი სიტყვით მიმართა თავმჯდომარემ ამხ. ფ. მახარაძემ, რომლის შემდეგაც საქართველოს საბჭოთა მე-6 ყრილობა დახურულად იქნა გამოცხადებული.

დელეგატების ჯგუფი სხდომის შესვენების დროს კითხულობს გაზ. „კომუნისტს“

უმუშევრობის არაჩვეულებრივი ზრდა გერმანიაში

სამრეწველო პროლეტარიატის უმრავლესობა უმუშევარია

ბერლინი, 18 თებერვალი. პროფკავშირთა რეფორმისტულმა გაერთიანებამ გამოაქვეყნა ცნობები შრომის ბაზრის მდგომარეობის შესახებ 1930 წლის იანვრის დამლევისათვის. ამ ცნობების თანახმად, საწარმოო პროცესში ჩაბმულია გერმანიის პროლეტარიატის ნახევარზე ნაკლები. უმუშევრობამ გერმანიაში მიაღწია ჯერ კიდევ არნახულ ციფრს და ბევრად გადააჭარბა 1923 წლის დამლევის, 1926 წლის ზაფხულის და 1929 წლის ზამთრის უმუშევართა რიცხვს. რეფორმისტულ პროფკავშირთა წევრებს შორის იანვრის დამლევისათვის ირიცხებოდა 34,5 პროცენტი უმუშევარი, ნაცვლად 1930 წლის დეკემბრის 31 პროცენტისა და 1930 წლის იანვრის 22,2 პროცენტისა.

ნაწილობრივი უმუშევრობის მდგომარეობაშია წევრების 18,8 პროცენტი (1930 წლის დეკემბერში—16,3 პროც., იმავე წლის იანვარში—10,6 პროც.) (ადს).

თურქეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა

„მილიეთ“-ი თურქეთის საგარეო პოლიტიკის შესახებ

სტამბოლი, 18 თებერვალი. ოფიციოზი „მილიეთ“-ი ეხება საგარეო საქმეთა მინისტრის ტევფიკ რუშდი-ბეის სიტყვას, წარმოთქმულს საბერძნეთ-თურქეთის ხელშეკრულების გამო და აღნიშნავს, რომ ამ ხელშეკრულებით თურქეთმა დაამთავრა მეგობრული ურთიერთობის დამყარება ყველა მეზობლებთან. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს მეგობრულ ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან. ეს მეგობრული ურთიერთობა დამყარდა თურქეთის რევოლუციის პირველ დღეებიდანვე. „საბჭოთა კავშირთან მეგობრობის ეს პოლიტიკა,—სწერს გაზეთი,—გვიკარნახა ჩვენი ბრძოლის ისტორიამ და დღესაც, ისევე, როგორც გუშინ იყო, იგი რჩება თურქეთის საგარეო პოლიტიკის ძირითად პრინციპად“.

ვაჭრობის დაცემა შეერთებულ შტატებში

ვაშინგტონი, 18 თებერვალი. ვაჭრობის სამინისტროს ცნობით, ექსპორტი 1931 წლის იანვარში უდრიდა 250 მილ. დოლარს, რაც ყველაზე დაბალ ციფრად უნდა ჩაითვალოს 1922 წლის იანვრის შემდეგ. იმპორტი იანვარში უდრიდა 183 მილ. დოლარს—ყველაზე დაბალ ციფრს 1921 წლის სექტემბრის შემდეგ.

მიწადმოქმედების სამინისტროს ცნობებით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასების ინდექსი დავიდა ყველაზე დაბალ დონემდე 1912 წლის იანვრის შემდეგ. ფასები კვლავ ეცემა (ადს).

გრძელდება ლაყბობა განიარაღებაზე

ჰენდერსონის განცხადება საბჭოთა წინადადებების შესახებ განიარაღების კონფერენციისათვის მზადებასთან დაკავშირებით

ლონდონი, 18 თებერვალი. კონსერვატორმა მაკდონალდი თემთა პალატაში შეეკითხა ჰენდერსონს—შემოიტანა თუ არა საბჭოთა მთავრობამ, განიარაღების კონფერენციისათვის მზადებასთან დაკავშირებით, რაიმე წინადადება.

ჰენდერსონმა უპასუხა, რომ ერთა ლიგის საბჭოს უკანასკნელ სესიამდე არ ყოფილა გამოტანილი დადგენილება კონფერენციის მოწყობის შესახებ. საბჭოთა მთავრობის ის აზრი, რომ კონფერენციის თავმჯდომარე არჩეულ იქნას თვით კონფერენციაზე, გაიზიარა ერთა ლიგის საბჭოს ზოგიერთმა წევრებმა, მაგრამ ამ საკითხის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანა გადადებულ იქნა. საბჭოთა მთავრობა წინააღმდეგია იმის, რომ კონფერენცია შედგეს ჟენევაში. მიუხედავად ამისა, ერთა ლიგის საბჭომ დაადგინა, რომ ჟენევა აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც საჭიროა კონფერენციის

ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა

#როგორც ხარბინიდან იტყობინებიან, 14 თებერვალს შეიარაღებული ხუნხუზები თავს დაესხენ ჩინეთ - აღმოსავლეთის რკინიგზის დასავლეთის ხაზის სადგურს და გაძარცვეს ჩინეთ - აღმოსავლეთის რკინის გზის მოსამსახურენი (ადს).

#ოფიციალური ცნობებით, 1 თებერვლისათვის იტალიაში ითვლებოდა 721,000 უმუშევარი, რომელთაგან დახმარებას ღებულობდა მხოლოდ 180.000 კაცი (ადს).

#„სიმბუნ რენგო“-ს სააგენტოს ცნობით, იაპონიაში 1929 წლის სექტემბერსა და ოქტომბერში, „ჩინეთის ელჩთან შეთანხმებით, დაპატიმრებულ იქნა 330 ჩინელი კომუნისტი, რომლებიც დაარსეს „საიდუმლო საზოგადოება“ სახელწოდებით „იაპონიის კომპარტიის იაპონური სექცია“.

წინასწარი დაკითხვის შემდეგ 34 კომუნისტი სატუსაღოში ჩასვეს, ხოლო 40 გადასახლეს (ადს).

#რურის ოლქში გაიმართა რევოლუციონური პროფოპოზიციის 20 კონფერენცია, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა მრავალი ათასი დელეგატი. მიღებულ იქნა მოქმედების პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს რევოლუციონურ პროფოპოზიციაში ახალი 60.000 მუშისა და მოსამსახურის ჩაბმას (ადს).

#მუშათა პარტიის კომიტეტის ხელმძღვანელობით, ლონდონის მუშათა რაიონებში ემზადებიან 25 თებერვლის დემონსტრაციისათვის. შრომის ბირჟებში იმართება მიტინგები, ტროტუარებზე, მიუხედავად პოლიციის აკრძალვისა, იწერება ლოზუნგები და ვრცელდება ფურცლები.

ასეთივე ენერგიული მზადებაა შოტლანდიაში (ადს).

#სალონიკის ოლქში (საბერძნეთი) სენატის ნაწილობრივ არჩევნებში კომპარტიამ მიიღო 4000 ხმაზე მეტი, ორჯერ მეტი, ვიდრე წინა არჩევნებში. არჩევნების დამთავრების შემდეგ 1500 მუშამ მოაწყო დემონსტრაცია, რომელიც მიესალმა კომპარტიას, რევოლუციონურ პროფკავშირებსა და საბჭოთა კავშირს (ადს).

#ბესარაბიის სოფლებში, კომუნისტური ფურცლების გავრცელებასთან დაკავშირებით, დაპატიმრებულ იქნა მრავალი გლეხი. ზოგიერთ სოფელში ჟანდარმთა ძლიერი რაზმები გაგზავნეს (ადს).

#ფიშის კომისიის წევრმა ბიმინმა წარმომადგენელთა პალატაში წარმოთქმულ სიტყვაში მოითხოვა კომუნისტების გაძევება ჩრდ.-ამერიკის შეერთ. შტატებიდან და რევოლუციონურ გამოცემების აკრძალვა. (ადს).

ტექნიკური სწავლების სესხი

მოსკოვი, 19 თებერვალი. ელექტროქარხნებმა ამხ. სტალინის ლოზუნგზე—„ბოლშევიკები უნდა დაეუფლონ ტექნიკას“—უპასუხეს ტექნიკური სწავლების სესხის გამოშვებით. სესხი გამოშვებული იქნება მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. ყოველმა მუშამ და ინჟინერ-ტექნიკოსმა, რომელიც ჯერ კიდევ არ ჩაბმულა სწავლების საქმეში, ხელი უნდა მოაწეროს სესხს, რომელიც გამოდის ობლიგაციების სახით. ობლიგაცია შეიცავს 25, 50 და 100 საათს, რომლის გასტუმრებაც მოხდება არა მანეთებით, არამედ სწავლების საათებით. ობლიგაცია გაიცემა ხელზე და მისი გაბათილება მოხდება კუპონების ჩამოხევით, ტექნიკური სწავლების საათების გავლის მიხედვით.

სესხს აქვს მოგება, რომელიც მიეცემა სწავლის საუკეთესოდ ჩატარებისა და ტექნიკის დაუფლებისათვის ცალკე მოსწავლე ბრიგადების სოც.შეჯიბრების წესით. (ადს).

„დაზოგვის ერთთვიურის“ შედეგები

არაა დამაკმაყოფილებელი

იანვრისათვის გათვალისწინებული დაზოგვის კამპანია, საკონტროლო დავალების შეუსრულებლობის გამო, უმაღლესი სადირექტივო ორგანოების დადგენილებით, მთელი თებერვლისათვის იქნა გაგრძელებული. თებერვლის დამლევისათვის საქართველოს შემნახველმა სალაროებმა უნდა შეასრულონ საკვარტალო დავალების 100 პროც., რაც 1,459,000 მანეთს შეადგენს.

1 თებერვლისათვის არსებული ცნობებით, საქართველოს შემნახველმა სალაროებმა, როგორც ეს მოყვანილი ციფრებიდან სჩანს, შეიტანეს 1,179,000 მანეთის ახალი ანაბარები, რაც საკვარტალო დავალების 81 პროცენტს შეადგენს.

თუ საკონტროლო დავალებათა შესრულებას რაიონული მასშტაბით მივუდგებით, დავინახავთ, რომ მაშინ, როდესაც ზოგიერთი რაიონული სალაროები წარმატებით ასრულებდნენ თავიანთ დავალებებს, სხვები თვით გაჩაღებული კამპანიის დროსაც კი ანაბარების დაკლებას იძლეოდნენ, რამაც, გამოიწვია მათი საზოგადოებრივ ბუქსირზე აყვანა. ამ მეთოდმა ხელი შეუწყო ანაბარების გატანის პროცესის შეჩერებას.

ეს რაიონები, რომლებიც წინად ანაბარების შემცირებას განიცდიდნენ, ამჟამად ასრულებენ საკონტროლო დავალებებს, თუმცა მეტად სუსტი ტემპით.

ანაბარების შემცირებისათვის მაშინ, როცა სპეციალური კამპანია ტარდება არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს შემნახველი სალაროების სისტემის ხელმძღვანელ ორგანოებს. მათ გამოარკვიეს, რომ ანაბარების გატანა ერთი რაიონული სალაროებიდან და სამარცხვინო ჩამორჩენა სხვა სალაროებისა იმის პირდაპირი შედეგია, რომ ადგილობრივმა საბჭოთა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა სათანადოდ არ შეაფასეს „დაზოგვის ერთთვიურის“ მნიშვნელობა, აგრეთვე რაიონული შემნახველი სალაროების მუშაკები თვითდინებაზე დაეყრდნენ.

ერთთვიურის არასაკმაო შეფასებამ და თვითდინებაზე განწყობილებამ ჩამორჩენილ რაიონებში იმდენად ღრმად გაიდგა ფესვები, რომ რაისალაროებმა, მიუხედავად არა ერთხელ მიცემული ზუსტი დირექტივისა, საჭიროდ არ დაინახეს საკონტროლო ციფრების მიყვანა ქვედა სადეპოზიტო სალაროებამდე. მხოლოდ შემნახველი სალაროების სამმართველოს ინსპექტორებმა მოახდინეს ამ საკითხის ჩატარება.

ეს მოვლენა უნდა ჩაითვალოს „დაზოგვის ერთთვიურის“ სამეურნეო - პოლიტიკური მნიშვნელობის არასაკმაო შეფასებად. ამ არასაკმაო შეფასების შედეგი აშკარაა.

„ერთთვიურის“ დამთავრებამდე 2 კვირა კიდევ დარჩა. ეს დრო სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ ჩამორჩენილ რაიონებში მდგომარეობა გამოსწორდეს.

სამმართველოში არ უნდა დარჩეს ისეთი რაისალარო, რომელიც არ შეასრულებს საკონტროლო ციფრს — ეს ლოზუნგი უნდა დაედოს საფუძვლად რაიონული შემნახველი სალაროების სამოქმედო პროგრამას.

ძირითად საორგანიზაციო ღონისძიებად, რომლებიც უზრუნველყოფენ საკონტროლო ციფრების შესრულებას სოფლად, უნდა ჩაითვალოს შემნახველი სალაროების გახსნა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხაზით და გლეხთა რწმუნებულების ინსტიტუტის ყოველმხრივ განვითარება მეანაბრეთა მისაზიდავად.

ერთი გლეხი - რწმუნებულის მიერ 700 მეანაბრის შეძენა ლანჩხუთის რაიონში მოწმობს ამ ინსტიტუტის ცხოველმყოფელობას.

გლეხი - რწმუნებულების გაძლიერების შემდეგ სოფლის სალაროებმა მათ შორის უნდა განაწილონ საკონტროლო ციფრები ანაბარებისა და მეანაბრეთა შესახებ. ეს ღონისძიება გააძლიერებს რწმუნებულებს შორის შეჯიბრებას იმისათვის, რომ მათ მთელი 100 პროცენტით შეასრულონ საკონტროლო დავალებანი.

გლეხი - რწმუნებულებისათვის საღი ხელმძღვანელობის გაწევა უზრუნველყოფს გლეხური სექტორის მაქსიმალურ ჩაბმას შემნახველ სალაროებში და ამით დახმარებას გაუწევს საკონტროლო დავალების შესრულებას არა თუ მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც.

ქალაქის სექტორში კი საკონტროლო დავალებათა შესრულებას დაეხმარება ხელშემწყობი კომისიების მიმაგრება შემნახველ სალაროებზე და ამ კომისიებს შორის სათანადო შემნახველი სალაროების საკონტროლო ციფრების განაწილება.

ამ ღონისძიებათა გატარება როგორც ქალაქში, ისე სოფლად უეჭველ დადებით შედეგს გამოიღებს, თუ ანაბარებისა და მეანაბრეთა მიზიდვის საქმეს ყურადღებას მიაქცევენ ადგილობრივი საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. პრაქტიკა გვარწმუნებს, რომ შემნახველი სალაროები წარმატებით ასრულებენ თავიანთ ამოცანებს იქ, სადაც მათ ადგილობრივი ორგანიზაციები ეხმარებიან. ამ დახმარების უზრუნველსაყოფად შემნახველი სალაროების მუშაკებმა არ უნდა დაუცადონ იმას, თუ როდის დაინტერესდებიან ადგილობრივი ორგანიზაციები მათი მუშაობით. პირიქით, თვით სალაროს მუშაკებმა თავიანთი ინიციატივით ადგილობრივ ორგანიზაციებში უნდა დასვან საკითხები და სთხოვონ დახმარება მათ განხორციელებაში.

შემნახველი სალაროების მუშაკები მხოლოდ ამ გზით დააინტერესებენ ადგილობრივ ორგანიზაციებს შემნახველი სალაროების საქმით.

მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ მხოლოდ აპარატის სრული კონტაქტი საზოგადოებრიობასთან წარმოადგენს იმის გარანტიას, რომ წარმატებით გადაიჭრას ის ამოცანები, რომლებიც სოციალისტურმა მშენებლობამ შემნახველ სალაროებს დააკისრა.

ი. ნიკოლაიშვილი

როგორ სრულდება ანაბარების შეგროვების გეგმა

შესდგა „დაზოგვის ერთთვიურის“ ჩამტარებელი რესპუბლიკანური შტაბის სხდომა, რომელზედაც მოსმენილ იქნა ცნობა სხვადასხვა რაიშემნახველი სალაროების მიერ ანაბარების შეგროვების გეგმის შესრულებაზე 10 თებერვლისათვის.

მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულ იქნა, რომ 10 თებერვლამდე 1-ლი კვარტალისათვის გათვალისწინებული საკონტროლო ციფრის 81 პროცენტით შესრულება არ შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად. შტაბმა აღნიშნა ბორჩალოს, ბაზალეთის, გარე-კახეთის, დუშეთის, ერწო-თიანეთის, ლიახვ-მეჯუდის, მცხეთის, წალკის, ხევის, სტალინისის, კასპის, ახალციხის, ხობის, ონის, ოკრიბის, ბაღდადის, ვანის, ჩხარის, ხარაგოულის, ჭიათურის, სიღნაღის, მარტვილის; ზუგდიდის და წალენჯიხის რაიშემნახველი სალაროების სამარცხვინო ჩამორჩენილობა მიცემული საკონტროლო ციფრების შესრულების საქმეში.

1-ლი კვარტალისათვის მიცემული საკონტროლო ციფრების შესრულებაში სამარცხვინოდ ჩამორჩენილი რაისალაროები რესპუბლიკანური შტაბის დადგენილებით, შეტანილი არიან შავ დაფაზე. ცნობების თავის დროზე წარმოუდგენლობისათვის ხულოს რაიშემნახველი სალარო შეტანილ იქნა შავ დაფაზე, ხოლო სალაროს გამგეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური.

1-ლი კვარტალის საკონტროლო ციფრების, 10 თებერვლამდე გადაჭარბებით შესრულებისათვის წითელ დაფაზე იქნენ შეტანილი—თბილისის, ბორჯომის, სამტრედიის, ცაგერის, ლანჩხუთის, გურჯაანის, ყვარელის, ლაგოდეხის, სოხუმის, ფოთის; სენაკის და ზემო-სვანეთის რაიონული შემნახველი სალაროები.

გომელის პარტორგანიზაციის მუშაობის შესახებ

საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან

მოსკოვი, 19 თებერვალი. ცენტრალური კომიტეტი, აღნიშნავს რა გომელის პარტორგანიზაციის მთელ რიგ მიღწევებს რაიონის ინდუსტრიალიზაციის და თავისი რიგების პარტიის გენერალური ხაზის ირგვლივ შემჭიდროების საქმეში, ამასთან მიუთითებს:

გომელის პარტორგანიზაციამ ვერ შესძლო სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულება რაიონის უდიდეს საწარმოებში, აგრეთვე გომელის რკინის გზის კვანძზე.

გომელის პარტორგანიზაციამ, განსაკუთრებით პარტიის საქალაქო კომიტეტმა, ვერ გარდაქმნეს თავიანთი მუშაობა მათ წინაშე დასახულ ამოცანებთან შეფარდებით.

ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს გომელის საქალაქო კომიტეტს და ხელმძღვანელ რესპუბლიკანურ ორგანიზაციებს — დაუყოვნებლივ და გადაჭრით აღმოფხვრან დეფექტები და უზრუნველყონ მრეწველობის და ტრანსპორტის 1931 წლის ფინ. გეგმის პროგრამების შესრულება, რისთვისაც მათ უნდა დარაზმონ პარტორგანიზაცია და მუშათა ფართო მასები.

ბელორუსიის კ.პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა უშუალო მეთვალყურეობა უნდა გაუწიოს გომელის კვანძის მუშაობას და სამი თვის შემდეგ შეამოწმოს გომელის პარტორგანიზაციის მუშაობა იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად შეასრულა მან ცენტრალური კომიტეტის დირექტივები ტრანსპორტის შესახებ.

საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს ნაციონალურ-კულტურული მშენებლობის არასაკმაო ტემპს გომელში და წინადადებას აძლევს საქალაქო კომიტეტს—ერთი წლის ვადაში დაამთავროს ძირითად პარტიული, საბჭოთა და პროფესიონალური აპარატების და კულტურულ საყოფაცხოვრებო დაწესებულებების (სკოლა, ბიბლიოთეკა, კლუბი) ბელორუსიზაცია.

პარტორგანიზაციამ უფრო გადამწყვეტი ბრძოლა უნდა აწარმოოს ველიკორუსულ შოვინიზმთან, მთავარ საფრთხესთან პარტიის ნაციონალური პოლიტიკის გატარებაში (ხელოვნური „ბელორუსიზაციის“ თეორია), ამავე დროს უნდა გააძლიეროს ბრძოლა ბელორუსის ნაციონალ-დემოკრატიზმის წინააღმდეგ, აგრეთვე ებრაული და პოლონურ ნაციონალ-შოვინიზმის წინააღმდეგ და ამ ბრძოლაში უნდა აღიზარდონ პარტორგანიზაცია და მუშათა ფართო მასები ლენინური ნაციონალური პოლიტიკის საფუძველზე.

დაიწყო საბჭოთა კავშირის შრომისა და თავდაცვის საკავშირო ესტაფეტა

მოსკოვი, 18 თებერვალი. დაიწყო საბჭოთა მე-6 ყრილობისადმი მიძღვნილი საბჭოთა კავშირის შრომისა და თავდაცვის საკავშირო ესტაფეტა.

კოლონა „ახალი მშენებლობა“ გამოვიდა კუზნეცსტროიდან და მიემართება ჩელიაბინსკისაკენ. კოლონას თან მოაქვს პატაკი მუშაობის მსვლელობის შესახებ.

კოლონა „ბამბა და ხორცი“ ტაშკენტიდან გამოვიდა თავდაცვა-ავიაქიმელთა და ფიზკულტურელთა საუკეთესო დამკვრელების ესტაფეტას თან მოაქვს ბამბის ქარხნებისა და საბჭოთა მეურნეობების 36 პატაკი. ესტაფეტა არალის სადგურზე გადაეცა კაზაკსტანს. ამავე დროს იქ მივიდა თურქსტან-ციმბირის რკინის გზის ესტაფეტა. ესტაფეტა მოდის აქლემებით და ცხენებით, ზოგჯერ ქვეითადაც. კაზაკსტანის ველებით ესტაფეტა კიზილ-ორდისაკენ გაემართა.

კოლონა „მანქანათმშენებლობა და ქიმია“ გამოვიდა მურმანსკიდან. 17 თებერვალს ესტაფეტა მოვიდა ხიბინში. ესტაფეტამ დიდის გაჭირვებით გაიარა გზა მურმანსკიდან ბოლოტომდე. ამჟამად ესტაფეტა პეტროზავოდსკისაკენ მიემართება (ადს).

პირველი გრაგნილ-ჯაჭვიანი ტრაქტორის გამოშვება საბჭოთა კავშირში

ჩელიაბინსკი, 19 თებერვალი. ამხ. სტალინის სახელობის ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხანამ გამოუშვა საბჭოთა კავშირში „კატერპილერ“-ის ტიპის პირველი გრაგნილ ჯაჭვიანი ტრაქტორი, რომელსაც ექნება 60 ცხენის ძალის სიმძლავრე. ტრაქტორის დეტალები დამზადებულია საბჭოთა მასალისაგან. ქარხნის მუშების დადგენილებით, ტრაქტორს მიეკუთვნება „სტალინელი“-ს სახელწოდება. გამოცდამ გვიჩვენა ტრაქტორის კარგი მუშაობა. 25 თებერვალს დამთავრდება მეორე ასეთივე ტრაქტორის აწყობა. (ადს).

ფაბრიკა-სამზარეულოების მშენებლობა

მოსკოვი, 19 თებერვალი. მიმდინარე წელს მსხვილ სამრეწველო რაიონებში დამთავრდება 114 ფაბრიკა-სამზარეულოს აგება, გარდა ამისა, ამავე წელს დაიწყება და დამთავრდება 85 ფაბრიკა. 194 ფაბრიკა-სამზარეულო დღეში გამოუშვებს 7.649.000 კერძს. ფაბრიკა-სამზარეულოების კაპიტალურ მშენებლობაზე დაიხარჯება 125 მილიონ მანეთამდე. (ადს).

ამხ. სტალინის სახელობის შაქრის ქარხანა ქ. ლახვიცში (უკრაინა)

შაქრით სავსე ტომრების მექანიკურად მიწოდება საწყობის შენობაში დასალაგებლად. 20.000 შაქრიანი ტომრის დალაგებაზე მუშაობს 16 მტვირთავი. ისინი ორ წყებად მუშაობით 16 საათის განმავლობაში აწარმოებენ ვაგონების დატვირთვა-გადმოტვირთვას.

ვემზადოთ 25 თებერვლისათვის

პროფკავშირების მონაწილეობა

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან 10 წლის თავის აღსანიშნავ ზეიმის ჩასატარებლად პროფკავშირები გაცხოველებით ემზადებიან.

კავშირები აქტიურ მონაწილეობას იღებენ გამოფენა „საბჭოთა მიღწევები“-ს მოწყობაში. გარდა ამისა პროფსაბჭო აწყობს მოძრავ გამოფენას რაიონებისათვის. აგრეთვე გამოფენები გაიმართება თვითეულ საწარმოებში. ამ გამოფენებზე გამოფენილი იქნება როგორც მთელ სოციალისტურ მშენებლობის ფრონტზე მოპოვებული მიღწევები, ისე თვით სათანადო საწარმოოს გეგმის შესრულების მაჩვენებლები, დეფექტები და სხვ.

დღესასწაულთან დაკავშირებით უკვე მიმდინარეობს კამპანია სოც.შეჯიბრების და დამკვრელობის კიდევ უფრო გასაშლელად, შეხვედრ გეგმების წარმატებით შესასრულებლად და ძლიერ ბრძოლა ნაწარმოების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

25 თებერვლისათვის პროფსაბჭო აწყობს საუკეთესო დამკვრელთა ექსკურსიას საბჭოთა კავშირის მთავარ სამრეწველო ცენტრებში, სადაც დამკვრელები გაეცნობიან და თავიანთ საწარმოებში გადმოიტანენ იქაურ მუშების შრომის მეთოდებს და ღონისძიებებს ტემპების კიდევ უფრო გაძლიერების მიზნით.

გარდა ამისა მუშების ექსკურსიები გაიგზავნებიან კოლმეურნეობებში. პროფსაბჭოს კადრების სექტორს დაევალა პროფკურსებისა და პროფსკოლებში შემოიღოს სპეციალური სამეცადინო დღე დღესასწაულის მნიშვნელობის შესასწავლად.

თეატრებსა და კლუბებში ამ დღისათვის მოეწყობა საწარმოთა გამოფენა და მუშებისათვის გაიმართება საღამო-წარმოდგენა. ფოიეში გამოფენილი იქნება როგორც საწარმოს მიღწევები, ისე შავი დაფები გამცდენლების და სხვა ხელისშემშლელთა გვარებით. იქვე გამოფენილი იქნება საუკეთესო დამკვრელთა სურათები.

ხელოვნების მუშაკთა კავშირს დავალებული აქვს შეიმუშაოს თეატრებისა და კლუბებისათვის შესაფერი რეპერტუარი და დასვენების დროს საწარმოებში გამართოს კონცერტები. ამ მიზნით ტარდება კონსერვატორიის და მუსიკალურ სკოლების ძალების მობილიზაცია. დღესასწაულთან დაკავშირებით ჩატარდება თვითმოქმედ წრეების მუშაობის შემოწმება და იმავე დროს წრეები გამოყენებული იქნება საწარმოებში კულტსამუშაოს გასაძლიერებლად.

პროფსაბჭომ შეიმუშავა განსაკუთრებული ღონისძიებები წითელი არმიის არსებობის 13 წლის თავთან დაკავშირებით ყაზარმებში 25 თებერვლის დღესასწაულის ჩასატარებლად.

საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტებში დღესასწაულებზე მოაწყობენ საშეფო წითელ ყაზარმებში ექსკურსიებს და მუშებისა და წითელ არმიელთა საუბარს ქარხნების მიღწევების შესახებ. აგრეთვე საშეფო სოფლებში გაიგზავნებიან კულტ-ბრიგადები, სამხატვრო წრეები, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებთან გაიხსნება საბავშვო მოედნები, წითელი კუთხეები და სხვ.

გაძლიერებული იქნება მუშაობა ქარხნების შეფობის ქვეშ მყოფ სკოლების და საბავშვო ბაღების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

გაიმართება სპეციალური საღამოები დიასახლისებისათვის, საბავშვო დილები, ექსკურსიები და სხვ. 25 თებერვალს გაიმართება მასიური მხატვრული ოლიმპიადა და კარნავალი. გამოშვებული იქნება სპეციალური პლაკატები. მათ გამოფენილი იქნება ქარხნების მიღწევების მაჩვენებელი პლაკატები და სხვ.

მეტეხი—მუზეუმი

საქართველოს უმაღლესი ორგანოების გადაწყვეტილებით, 25 თებერვლის დღესასწაულთან დაკავშირებით, გამოქვეყნებული იქნება უძველესი ციხის—მეტეხის დაცლის აქტი.

მეტეხში, რომელიც თვითმპყრობელობის და მენშევიკების დროს წარმოადგენდა სოციალიზმისათვის მებრძოლთა ცოცხალ სასაფლაოს, ამჟამად მოთავსებულია გამასწორებელი სახლი, სადაც პატიმრები იმყოფებიან არა მარტო საპყრობილეში, არამედ გამოსასწორებლადაც. შეიძლება ითქვას, რომ მეტეხი ახლა უფრო სკოლაა, ვიდრე საპატიმრო: წ.-კ. უცოდინარ პატიმრებს ასწავლიან წერა-კითხვას, ხელობას, არსებობს პატიმართა სხვადასხვა კულტწრეები, სისტემატიურად იმართება კონცერტები და საღამოები ოპერის და დრამის მსახიობთა მონაწილეობით, გამოდის კედლის გაზეთი მხოლოდ პატიმართა მონაწილეობით და სხვ.

მეტეხიდან პატიმრები გადაყვანილნი იქნებიან უფრო ნათელ და გამასწორებელ სახლის მიზნის შესაფერ ბინაში, ხოლო მეტეხში მოეწყობა ძველი ქართული ხელოვნების ძეგლთა და რევოლუციის მუზეუმები.

თბილისის საბჭოს დავალებული აქვს გამასწორებელ სახლისათვის გამოინახოს სხვა შენობა.

25 თებერვალს მოხდება აგრეთვე სახელმწიფო მუზეუმის და საჯარო ბიბლიოთეკის გახსნა.

ძეგლები რევოლუციის გმირებს

25 თებერვლის დღესასწაულის ჩამტარებელმა თბილისის ცენტრალურმა კომისიამ გადაწყვიტა ძეგლები დაუდგას ცნობილ რევოლუციონერს არკადი ელბაქიძეს და სახალხო გმირს არსენ ჯორჯიაშვილს.

ელბაქიძემ მენშევიკების ბატონობის დროს ვერის ბაღ.-ზე ბომბი ესროლა დენიკინელ გენ. ბარათოვს, რომელიც მძიმედ დაიჭრა. აგრეთვე იქვე მოკლულ იქნა მისი რამდენიმე მხლებელი თეთრგვარდიელი. გენ. ბარათოვის საქართველოში ჩამოსვლის მიზანი იყო მენშევიკურ მთავრობასთან ერთად შეედგინა ბოლშევიკების წინააღმდეგ საერთო ბრძოლის გეგმა.

არსენ ჯორჯიაშვილმა თვითმპყრობელობის დროს მოკლა გენ. გრიაზნოვი, რომელიც სისხლში ახრჩობდა მუშათა რევოლუციონურ მოძრაობას.

24 თებერვალს, საღამოს 5 საათზე, ელბაქიძის ძეგლს საძირკველი ჩაეყრება მისივე სახელობის ბაღში, ხოლო ჯორჯიაშვილის ძეგლი დადგმული იქნება „26“-ის კომუნარების ბაღში.

ორივე ძეგლის საძირკვლის ჩაყრისას გაიმართება მიტინგები მუშათა მასიური მონაწილეობით.

მიტინგებზე მონაწილეობას [illegible] ძველი ბოლშევიკები.

თბილისის საბჭოს საზეიმო სხდომა

24 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, სახ. საოპერო თეატრში საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან 10 წლის თავის აღსანიშნავად გაიმართება თბილისის საბჭოს საზეიმო სხდომა. სხდომას დაესწრებიან პროფკავშირის და მუშათა სხვა ორგანიზაციების წევრები.

ამავე სხდომაზე მოწვეულნი არიან სტუმრებად უცხო ქვეყნების წარმომადგენლები.

ეროვნული

ქრონიკა

საქართველოს ახალი რუკა

გამოვიდა საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის რუკა, რომელიც შედგენილია ჩვენი ქვეყნის ახალი ადმ.-ტერიტორიალური დაყოფის საფუძველზე. რუკა დაამუშავა საქ. ცაკის საორგანიზაციო განყოფილების კარტოგრაფიულმა ნაწილმა და გამოსცა ცაკმა.

წიგნი დამკვრელ მუშებს

სტალინის სახელობის სარემონტო ქარხანაში დაარსდა დამკვრელ მუშათა სალიტერატურო წრე, რომელშიაც გაერთიანებულ ა 50 კაცი. უკვე თვეა, რაც დაიწყო სისტემატიური მუშაობა და მზადდება მასალები „სალიტერატურო ფურცლების" გამოსაშვებად.

სალიტ. წრისთვის სამკითხველოს დასაარსებლად შემოგვიქვს 50 ცალი წიგნი და ამ მიზნით გამოწვეულნი არიან შემდეგი ამხანაგები:

ირაკლი აბაშიძე, ბენიტო ბუაჩიძე, ვალერ. გაფრინდაშვილი, რ. გვეტაძე, ს. ეული, პაოლო იაშვილი, სერ. კლდიაშვილი, კ. ლორთქიფანიძე, ვ. ლუარსამიძე, ი. მაშაშვილი, ნ. მიწიშვილი, შ. მღვიმელი, ე. პოლუმორდვინოვი, შალვა რადიანი, ბ. ხიმშიაძე, პ. საყვარელიძე, ა. სულავა, გალ. ტაბიძე, ტიც. ტაბიძე, ლ. ქიაჩელი, გ. ქუჩიშვილი, სანდრო შანშიაშვილი, დემნა შენგელაია, ს. ჩიქოვანი, ა. ჭუმბაძე, გ. ხეჩუაშვილი.

სტალინის სარემონტო ქარხნის სალიტერატურო წრის ხელმძღვანელები:

სიმონ ჭვერავა,
გიორგი ლეონიძე.

დინამიტის აფეთქება

აბხანაურის საბჭოთა მეურნეობაში

ქუთაისი, 19 თებერვ. აბხანაურის საბჭოთა მეურნეობაში (ბაღდათის რაიონი) კუნძების ამოთხრა ხდებოდა დინამიტის საშუალებით. ხარდაფში შენახული დინამიტი იყინებოდა და რათა შესაძლებელი ყოფილიყო მისი გამოყენება, აშრობდნენ ცხელ თუნუქის ღუმელზე. მუშებმა არა ერთხელ განაცხადეს გადაჭრილი უარი დინამიტის ამგვარად გაშრობაზე. უფროსი მუშა ვარდანიძე კი ამტკიცებდა, რომ ეს საშიში არ არის. 17 თებერვალს, დილის 9 საათზე მუშათა ბარაკში მორიგი გაშრობის დროს აფეთქდა 5 გირვანქამდე დინამიტი, მოკლულ იქნა ერთი მუშა, რომელიც აფეთქების დროს ღუმელის მახლობლად იყო. მძიმედ დაიჭრა 7 კაცი. გარდა ამისა, 5 მუშას მძიმედ დაშავებული აქვს თვალები და ფეხები. დაჭრილნი 40 წუთის შემდეგ მიიყვანეს „სოიუზტრანს"-ის ავტობუსებით ქუთაისის საავადმყოფოში. ასაფეთქებელი სამუშაოები და დინამიტის გაშრობა სწარმოებდა დაუდევრად, სპეციალისტებისა და ტექნიკური მეთვალყურეობის გარეშე. ქუთაისის შრომის ინსპექციამ იცოდა ეს. მაგრამ საბჭოთა მეურნეობას მაინც მისცა ნებართვა ასაფეთქებელი სამუშაოების წარმოებაზე. ამჟამად სწარმოებს საქმის სასწრაფო წესით გამოძიება. დაპატიმრებულ იქნა საბჭოთა მეურნეობის გამგე ხაჩკოვი და მისი მოადგილე თერბერიძე.

ასაფეთქებელი სამუშაოები შეჩერებულია. (ადს).

ბიტუმის ქარხნის მშენებლობა

დაიწყება მიმდინარე კვარტალში

საქ. ს.მ.უ. საბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა იმ კომისიის მოხსენება, რომელიც გამოყოფილი იყო ბიტუმის ქარხნის საამშენებლოდ მიწის ნაკვეთის ამოსარჩევად და გამოსაყოფად. მიუხედავად იმისა, რომ ქარხნის მშენებლობის დასაწყებად საჭირო წინასწარი სამზადისი თითქმის უკვე დამთავრებულია და თვით საქარხნო შენობების აგება მიმდინარე წლის 1-ლ კვარტალშივე უნდა იქნეს დაწყებული, ჯერ-ჯერობით ქარხნის ასაგები ადგილი კიდევ არაა საბოლოოდ ამორჩეული, რითაც ბრკოლდება მშენებლობის დაწყება.

ბიტუმის ქარხანა, როგორც ცნობილია, აგებულ უნდა იქნეს ნატანების რაიონში, იმ ადგილების მახლობლად, სადაც მოიპოვებიან ბიტუმის ბუდობები.

ქარხნის ასაგებ პუნქტად დასახელებულია ორი ადგილი—საკუპრია და ნარუჯი. იმის მიხედვით, თუ რომელი ადგილი იქნება ამორჩეული, გაყვანილი იქნება რკინის გზის შტო მაგისტრალური ხაზიდან ქარხნის საამშენებლო ადგილამდე.

რკინის გზის გაყვანა უნდა იქნეს დაწყებული ქარხნის მშენებლობის დაწყებასთან ერთად, რადგან ამით გაადვილდება ქარხნის აგება (საამშენებლო მასალების დაუბრკოლებლივ მიზიდვა და სხვ.).

ს.მ.უ.ს. პრეზიდიუმმა დაავალა იმავე კომისიას უახლოესი სამი კვირის განმავლობაში საბოლოოდ ამოირჩიოს ქარხნის ასაგები ადგილი და გაგზავნოს შეკვეთები ქარხნის მოწყობილობის დასამზადებლად.

ქარხნის მშენებლობა უნდა დამთავრდეს 1 წელიწადში.

საქ. პარტორგანიზაციების საყურადღებოდ

დაიბეჭდა და იყიდება

„საბჭოთა საქართველოს ათი წელი"

(მასალები მომხსენებელთათვის)

ფასი 10 კაპ.

იყიდება „სოიუზპეჩატის" კიოსკებში (რკინის გზაზე) და გაზეთების გამყიდველებთან; ბითუმად—„კომუნისტი"-ს მთ. კანტორაში (რუსთაველის პროს. 34).

დროებითი ინსტრუქცია *)

ამიერ-კავკასიის შრ. სახ. კომ. არსებულ სოცდაზღვევის მთავარ სამმართველოსი 1931 წ. 30 იანვრის

ე) გაზეთების, ჟურნალების და სხვა პერიოდულ გამოცემათა მუდმივ თანამშრომლებს, რომლებიც არ ითვლებიან გამომცემლობათა შტატში და არ იღებენ განსაზღვრულ ხელფასს (ქრონიკიორები, რეპორტიორები, რეფერენტები, ინტერვიუერები და სხვა), დახმარების გამოანგარიშების დროს ხელფასში არ ჩაეთვლებათ სალიტერატურო ნაწარმოებისათვის მიღებული საავტორო გასამრჯელო, თუ მათ მოვალეობას არ შეადგენს ლიტერატურული მუშაობა.

15. დახმარების რაოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს თვეში 180 მან., 1,2 და 3 ზოლებში და 150 მან. მე-4,5 და 6 ზოლებში.

დღიური დახმარების უდიდესი რაოდენობა (მაქსიმუმი) ყოველი თვისათვის გამოანგარიშებული უნდა იქნეს ამა თუ იმ თვეში სამუშაო დღეების რიცხვის მიხედვით თანდართული ცხრილის თანახმად.

თუ დაზღვეული შრომის უნარის დროებით დაკარგვის დროს იმყოფება მუდმივ სამუშაოს ადგილის გარეშე, აღებული უნდა იქნეს მუდმივი სამუშაოს ადგილისათვის დაწესებული მაქსიმუმი.

16. დახმარება დღიური განაკვეთის სრული რაოდენობით, მაგრამ არა უმეტესი მაქსიმუმისა) შრომის უნარის დაკარგვის პირველი დღიდან ეძლევა.

ა) ყველა დაზღვეულებს, რომელთა შრომის უნარის დაკარგვა გრძელდებოდა განუწყვეტლივ 15 დღეზე მეტი;

ბ) ფეხმძიმობის, მშობიარობის ან შრომითი დასახიჩრების შრომის უნარდაკარგულ ყველა დაზღვეულებს;

ყველა წარმოების მუშებს და რკინის გზის და წყლის ტრანსპორტის მუშებს, რომელთაც აქვთ სულ შეერთებით სამი წლის წარმოებაში მუშაობის სტაჟი;

დ) წარმოების, რკინის გზის. და წყლის ტრანსპორტის დაწინაურებულ მუშებს, რომელთაც აქვთ სამი წლის წარმოებაში მუშაობის სტაჟი. თუ დაწინაურება მოხდა არა უგვიანეს ხუთი წლისა დახმარებისათვის მიმართვამდე;

ე) იმ პირებს, რომელთა თვიური ხელფასი აღემატება 240 მ. 1,2 და 3 ზოლებში და 200 მან. 4,5 და 6 ზოლებში.

ვ) საინჟინრო-სატექნიკო მუშაკებს, რომლებიც უშუალოდ ჩაბმულნი არიან წარმოებაში.

წარმოებაში უშუალოდ ჩაბმულ საინჟინრო-სატექნიკო მუშაკებს მიეკუთვნებიან საწარმოო, სატრანსპორტო და საამშენებლო წარმოებაში მომუშავენი იმ პირობით: ა) თუ ისინი მიკუთვნებულნი არიან საინჟინრო-სატექნიკო მუშაკების განსაკუთრებულ სატარიფო ცხრილზე თანახმად სპეციალურ ცნობარისა. ბ) ან თუ ისინი ხელფასს იღებენ კოლექტიური ხელშეკრულებით დაწესებულ მტკიცე თანამდებობითი განაკვეთით იმ თანამდებობის მიხედვით, რომელიც გათვალისწინებულია საინჟინრო-სატექნიკო მომუშავეებისათვის სპეციალურ ცნობარში.

შენიშვნა: ეს წესი არ ვრცელდება წარმოებათა ადმინისტრატიულ პირებზე, თუ მათ მიერ შესასრულებელი სამუშაო არ მოითხოვს სპეციალურ საწარმოო ან ტექნიკურ მომზადებას და სამმართველოს აპარატში ჩაბმულ საინჟინრო-სატექნიკო მუშაკებზედ (სახ. კომისარიატებში, გაერთიანებათა სამმართველოებში, ტრესტებში, კომბინატებში, რკინის გზის დირექციებში და სარაიონო სამმართველოებში და სხვ.)

დანარჩენ შემთხვევებში დახმარება დღიური განაკვეთის სრული რაოდენობით გაიცემა მხოლოდ შრომის უნარის დაკარგვის მეექვსე დღიდან, ხოლო დღეები, რომლებიც ანაზღაურებული უნდა იქნენ დახმარებით (მუხ. 18) შრომის უნარის დაკარგვის პირველი ხუთი დღის განმავლობაში, ანაზღაურდებიან სრული დღიური განაკვეთის სამი მეოთხედის რაოდენობით. წარმოებაში სამი წლის მუშაობის სტაჟის დამადასტურებელ საბუთად შეიძლება მიღებულ იქნეს როგორც წარმოებების ცნობები, საანგარიშო წიგნაკები და სხვა, ისე პროფკავშირის საწევრო წიგნაკები.

17. დაზღვეულებს, რომელთათვისაც მათი მუშაობის პირობების მიხედვით დაწესებულია შრომის სხვადასხვა ნაირი ანაზღაურება წლის სხვადასხვა პერიოდში (მაგალითად: ნავიგაციის და ზამთრის სეზონები წყლის ტრანსპორტზე) დღიური დახმარება გამოიანგარიშება იმ ხელფასის მიხედვით, რომელიც დაზღვეულს ეძლეოდა, სამსახურში ყოფნის დროს. თუ ერთ პერიოდში მომხდარი შრომის უნარის დაკარგვა გრძელდებოდა მეორე პერიოდშიაც დახმარება მეორე პერიოდის ხელფასის მიხედვით გაიცემა იმ ვადიდანვე, რომელ ვადიდანაც შეიცვალა ხელფასი მომუშავეთათვის.

18. დახმარება გაიცემა სამუშაო დღეების, რომელ დღეებშიაც დაზღვეულ არ უმუშავნია შრომის უნარის დროებით დაკარგვის გამო.

დაზღვეულებს, რომელთათვის რაოდენობა და სამუშაოზე გასასვლელი დღეები წინასწარ გათვალისწინებული არ არიან, შრომის უნარის დაკარგვის არა სრული თვეების დახმარება მიეცემათ ისეთი რაოდენობით, რომ ეს დახმარება თვის დანარჩენ დღეების ხელფასთან ერთად არ აღემატებოდეს იმ ხელფასს, რომლის მიხედვითაც გამორკვეული იქნა დღიური დახმარება.

19. თუ შრომის უნარის დაკარგვა მოხდა წარმოების დროებითი შეჩერების პერიოდში, შეჩერების დროის განმავლობაში დახმარება არ გაიცემა.

თუ წარმოების დროებით შეჩერებამდე მომხდარი შრომის უნარის დრ. დაკარგვა, გრძელდება შეჩერების პერიოდშიაც, დახმარება შეჩერების დროის განმავლობაში გაიცემა იმ ხელფასის მიხედვით, რომელიც ეძლევათ იმავე პროფესიის და კვალიფიკაციის მომუშავეებს შეჩერების დროის განმავლობაში. თუ შრომის უნარის დაკარგვა რომელიც მოხდა შეჩერებამდე ან შეჩერების დროს, გრძელდება წარმოების ამუშავების შემდეგაც ან მისი ლიკვიდაციის შემდეგ, დახმარება გაიცემა წარმოების შეჩერებამდე ხელფასის მიხედვით.

20. გამოცდის პერიოდის განმავლობაში შრომის უნარ დაკარგულ დაზღვეულებს, დახმარება მიეცემათ საერთო წესით გასამრჯელის მიხედვით, რომელიც გათვალისწინებული იყო გამოცდაზე მიღების დროს.

21. დაზღვეულის ხელფასში შრომის უნარის დროებით დაკარგვის პერიოდში მომხდარი ცვლილებები, დახმარების გამოანგარიშების დროს მხედველობაში არ მიიღება, გარდა მე-17 და 19 მუხლებში გათვალისწინებულ შემთხვევებისა, მაგრამ თუ დაზღვეულს გაუდიდდა იმ თვეების ხელფასი, რომლის მიხედვითაც იანგარიშებოდა დღიური დახმარება (ე. ი. გადიდდა იმ თვეების ხელფასი, რომლებიც წინ უძღოდა შრომის უნარის დაკარგვის თვეს) დახმარება სათანადოთ გადიდებული უნდა იქნეს.

22. განსაკუთრებული წესი შრომის უნარის დრ. დაკარგვის გამო დახმარების გამოანგარიშებისა შემოღებულია იმ პირთათვის, რომლებიც მკურნალ ექიმების და საექიმო კონსულტაციის დასკვნით ავადმყოფობის დროს გადაყვანილი უნდა იქნეს სხვა სამუშაოზედ.

ამ შემთხვევებში შრომის უნარის დრ. დაკარგვის გამო დახმარების გამოანგარიშება სწარმოებს შემდეგ საფუძვლებზედ:

იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეული თანახმად მკურნალ ექიმის ან საექიმო-საკონტროლო კომისიის დასკვნისა ავადმყოფობის დროს გადაყვანილი იქნება სხვა სამუშაოზედ—დახმარება გამოანგარიშებული უნდა იქნეს საერთო წესით, მხოლოდ უნდა გაიცეს იმ თანხის გამოკლებით, რასაც დაზღვეული მიიღებს სხვა სამუშაოზე.

მაგრამ, თუ დაზღვეული სხვა სამუშაოზე ვერ იქნა გადაყვანილი შრომის უნარის დროებით დაკარგვის პირველ დღიდან ან უახლოეს დღეებში ან სულ ვერ უშოვეს სამუშაო, დახმარება სრული რაოდენობით უნდა იქნეს გაცემული ყველა იმ დღეების, რა დღეებშიაც დაზღვეული სხვა სამუშაოზე არ იყო გადაყვანილი.

იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეული უარს ამბობს მიწოდებულ სხვა სამუშაოზე საპატიო მიზეზების გარეშე, გაცდენილ დღეების დახმარება უნდა გაიცეს შრომის უნარის დროებით დაკარგვის დახმარების და მიწოდებულ სამუშაოზე მოსალოდნელ ხელფასის შორის განსხვავების რაოდენობით. თუ შეუძლებელია მიწოდებულ სამუშაოზე მოსალოდნელი ხელფასის გამორკვევა დაზღვეულს უნდა მიეცეს შრ. უნარის, დრ. დაკარგვის გამო 50 პროცენტი. იმ შემთხვევაში, როდესაც დაზღვეული არ ეთანხმება მკურნალ ექიმის დასკვნას სხვა სამუშაოზე გადაყვანის შესახებ, შეუძლია არ შეუდგეს მუშაობას და გაასაჩივროს ექიმის დასკვნა საექიმო საკონტროლო კომისიაში.

მაგრამ თუ საექიმო საკონტროლო კომისიამ უსაფუძვლოდ სცნო მისი საჩივარი, გაცდენილი დროის დახმარება მას მიეცემა შრომის უნარის დროებით დაკარგვის დახმარების და მიწოდებულ სამუშაოს შორის განსხვავების რაოდენობით ან თუ შეუძლებელია მიწოდებულ სამუშაოზე მოსალოდნელ ხელფასის რაოდენობის გამორკვევა—შრომის უნარის დროებით დაკარგვის დახმარების 50 პროცენტი.

ყოველგვარი აღნიშვნები: სხვა სამუშაოზე გადასვლის, სათანადო სამუშაოზე [illegible] ვადის გაგრძელებისა და აგრეთვე განკურნების შემდეგ თავის სამუშაოზე დაბრუნების შესახებ უნდა გაკეთდეს საავადმყოფო ფურცელზე.

23. დაზღვეულთათვის ავადმყოფობის გამო შვებულების მიცემის შემთხვევაში მუდმივ საცხოვრებელ ადგილის გარეშე სასანატორო საკურორტო მკურნალობის დანიშვნით—შვებულების მთელი დროის დახმარების ორი-მესამედი გაცემული უნდა იქნეს წინასწარ მკურნალობისათვის გამგზავრებამდე, ხოლო დანარჩენი ერთი მესამედი კი—დახმარების შემდეგ დისპანსერის ან დ. კასის ვიზის შემდეგ, რის გამო დაზღვეული ვალდებულია სანატორიუმიდან დაბრუნებისთანავე გამოცხადდეს დისპანსერში თუ ასეთზე მიმაგრებულია ან დ. კასაში.

24. რესპუბლიკის სოც. დაზღვევის კომიტეტებს და სატრანსპორტო დ. კასებს უფლება აქვთ მომუშავეთა ცალკე კატეგორიებისათვის დააწესონ დახმარების გამოანგარიშების სპეციალური წესები, რაც გათვალისწინებული არ არის ამ ინსტრუქციით, მაგრამ ამ წესით აუცილებლად დაზღვეულს უნდა შეუნარჩუნდეს მისი სრული ხელფასი, შრომის უნარის დროებით დაკარგვამდე. თავის დადგენილებებს ამ საკითხის შესახებ დამზღვევი კასები ატარებენ ცხოვრებაში მხოლოდ ა.-კ. შრომის სახ. კომთან არსებულ სოცდაზღვევის მთავარ სამმართველოს მიერ დამტკიცების შემდეგ.

25. დაზღვეულს შეუძლია მიმართოს დახმარების მისაღებად არა უგვიანეს 6 თვისა შრომის უნარის დროებით დაკარგვის უკანასკნელ დღიდან. გაშვებულ ხანდაზმულობის ვადის აღდგენას აწარმოებენ რესპუბლიკის სოც.დაზღვევის კომიტეტები, ა.-კ. გ. დ. კასა და მხარის წყლოსანთა დ. კასა.

26. შრომის უნარის დროებით დაკარგვის გამო დანიშნული, მაგრამ თავის დროზე გამოუთხოვნელი წარსული დროის დახმარებანი, გაიცემიან შრომის უნარის დროებით დაკარგვის მხოლოდ იმ ხნის, რომელსაც შეიცავს უკანასკნელი ერთი წელი დახმარების მიღების შესახებ დამზღვევ ორგანოში მოთხოვნილების წარდგენის დროის.

დახმარების მოსპობა

27. დაზღვეულებს ეკარგებათ უფლება შრომის უნარის დროებით დაკარგვის გამო დახმარების მიღებისა შემდეგ შემთხვევებში:

ძლიერ სიმთვრალით ან ძლიერ სიმთვრალით გამოწვეულ მოქმედებით (ჩხუბი, დაჭრა და სხვა) მომხდარ შრომის უნარის დროებით დაკარგვის გამო დახმარება პირველი ხუთი დღის გაცემული არ უნდა იქნეს, თუნდაც ეს შრომის უნარის დაკარგვა გაგრძელდეს ხუთ დღეზე მეტს.

შრომის უნარის დაკარგვის პირველი დღიდან დახმარება გაცემული არ უნდა იქნეს იმ შემთხვევაშიც, თუ რომელიმე პირის მიერ დახმარების მიღების მიზნით განზრახ მიყენებულია ზიანი თავის ჯანმრთელობისათვის.

თუ დახმარება უკვე გაცემული იქნა ზიანის განზრახ მიყენების ფაქტის გამორკვევამდე, ის შეიძლება უკანვე გადახდევინებულ იქნეს დამზღვევ კასის მიერ.

ამას გარდა დახმარება არ გაიცემა ისეთ შემთხვევაში, როდესაც შრომის უნარ დაკარგული პირი ხელოვნურად აუარესებს თავის ავადმყოფობის მდგომარეობას ან გამოიყენებს სამკურნალოდ მიცემულ შვებულებას არადანიშნულებისამებრ ან არ გამოცხადდება, არასაპატიო მიზეზის გამო. ხელახალ შემოწმებაზე საექიმო—კონტროლის ორგანოების გამოძახებით.

ყველა ასეთ შემთხვევებში დახმარების გაცემა სწყდება დღიდან აღნიშნულ გარემოებათა გამორკვევისა.

ამ დღემდე დამზღვევ კასის მიერ გაცემული დახმარება უკანვე გადახდევინებულ არ უნდა იქნეს.

(გაგრძელება იქნება)

---

*) გაგრძელება. იხ. „კომუნისტი" № 42.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— საქ. კ.პ. (ბ) ლენრაიკომი 20 თებერვალს, ნაშუადღევის 4 საათზე, ლენრაიკომის სადგომში იწვევს უჯრედთა მდივნების თათბირს, უჯრედებთან მიმაგრებულ პასუხისმგებელ მუშაკებთან ერთად. დღის წესრიგი: უჯრედთა ბიუროების საანგარიშო საარჩევნო კამპანიის გეგმა. სავალდებულოა უჯრედთა ყველა მდივნების და ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგების დასწრება:

პ. კოზაევი (გზათა კომისარიატის დამცველი რაზმი), რუხაძე (თამბაქოს ფაბრიკა), თანანაშვილი (კომკავშირის ცეკა), გრიცენკო (ყაიკეთ. ქარხანა), ვოიკინი (გზების დირექცია), ცარევოვი (გზათა ინჟენ. ამიერკავკ. ინსტ.), კიკნაძე (რაიკომი), პერუშინი (საამშ. სასწავ.), სტარჩოვი (გზ. პოლიტსამმართველო), ბურეში (ლითონტრესტი), პალატნიკოვი (ტრამვაი), მაჩიტაძე (რაიკომი), სარქისოვი („26"-ის ქარხ.), გამრეკელი (პროფსაბჭო), ვოლსკი (გზათა დირექცია), ფაჩულია (გზ. ინჟ. ამიერ-კავკ. ინსტ.), ჟუნეუკოვი (გზ. დირექცია), ბოგდანოვი (ამიერკავკ. ქვ. სკოლა), რუხაძე (მაუდის ფაბრიკა). ზაგოროვსკი (რკინისგზელთა რაიკომიტეტი), გ. ზეიცი (გზ. დირექცია), კულიჯანოვი (საღამოს კომუნივერს.), ბახტაძე (რაიკომი), ბურცევი (გზ. დირექცია), უსტიევი (საგზაო კომიტეტი), ვაჭარაძე (გზ. დირექცია), ძიძიგური (საამშენებლო ტექნიკ.), სირაძე (თბ. აღმასკომი), ტინტიკოვი (შემკ. ქარხ.), გ. საკაიანი (საქ. [illegible]), გიორგაძე ([illegible] ქარხანა), ჭანკვეტაძე (საამშენებლო ინსტიტუტი), ჯაში (რაიკომი). კოჭლამაძე (რაიკომი).

— : —

—20 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, „რაბის კლუბში" (რიყის ქ.) შესდგება სოფ. ამბროლაურის რაიონის სოფ. ხიმშის სას.-სამ. არტელის იმ წევრთა კრება, რომლებიც თბილისში იმყოფებიან. დღის წესრიგი: აღნიშნულ არტელის თავმჯდომარის ამხ. ავ. სირაძის მოხსენება. არტელის ხსენებულ წევრებს სთხოვენ კრებას დაესწრონ.

— საქ. კომკავშირის ცეკას საკონფლიქტო კომისია იუწყება, რომ 20 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, საქ. კომკავშირის ცეკას სადგომში (რუსთაველის პრ., № 20) შესდგება ცეკას საკონფლიქტო კომისიის სხდომა.

— სას.-სამ. ინსტ. და სუბტროპიკულ კულტურათა ინსტიტუტის სტუდენტობა ვალდებულია 20 თებერვალს, დილის 9 საათზე გამოცხადდეს ინსტიტუტის ეზოში. ვინც არ გამოცხადდება, მათ წინააღმდეგ სათანადო ზომები იქნება მიღებული.

— დღეს, საღამოს 7 საათზე, მოწვეულია საფ.-კოოპ. ინსტიტუტის ყველა ფაკულტეტების კომუჯრედების და მუშფაკის კომუჯრედის გაერთიანებული სხდომა კომკავშირთან ერთად.

— საქართველოს სახელმწიფო პედაგოგიური, საფინანსო-კოოპერატიული, სამედიცინო და საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტების ყველა ის სტუდენტები, რომელთაც გაიარეს საზაფხულო საბანკო, აგრეთვე სამკვირეული (1929 წელს) და 20 დღიანი (1930 წელს) შეკრება და ამჟამად ირიცხებიან აღნიშნული ინსტიტუტების სტუდენტებად (მათ შორის ისინიც, რომლებიც იმყოფებიან მივლინებაში, შვებულებაში, სამსახურში ან პრაქტიკაზე საქართველოს სხვადასხვა რაიონებში), ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ ა.-წ. 22 თებერვალს, დღის 10 საათზე, ყოფილი სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში სტუდენტთა კლუბში.

— : —

— ყველა ამხანაგებს, რომლებიც საქ. საბჭოების მე-6 ყრილობის მიერ არიან გაწვეულნი, მაგრამ რაიონებში არ წასულან, წინადადება ეძლევათ 20 თებერვალს, დღის 1 საათზე, გამოცხადდნენ საქ. კ. პ. (ბ) ცეკას აგიტმასიურ განყოფილებაში.

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას აგიტმასიური განყოფილება 20 თებერვალს 12 საათისათვის იწვევს შემდეგ ამხანაგებს: აზაროვი, (მუშკოოპი), ლენსკი (მშრომელ ებრაელთა მიწათმომწყობი კომიტეტი), ქურჩიშვილი, პეტინაძე. ხსენებული ამხანაგები დანიშნულ დროს აუცილებლად უნდა გამოცხადდნენ (ოთახი № 48).

— : —

— საქ. კ. პ. (ბ) ცეკას საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილება ხელმეორედ აძლევს წინადადებას ამხ. ნ. თუშმიშვილს, და ა. ფანიევს სასწრაფოდ გამოცხადდნენ საქ. კ. პ. (ბ) ცეკას საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებაში ამხ. კიზიროვთან.

— : —

— საქ. კ. პ. (ბ) თბ. ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იუწყება, რომ 21 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში შესდგება საქ. კ. პ. (ბ) თბ. ორგანიზაციის ქალაქის რაიონის გაფართოებული პლენუმი, ქ. ბ. ქალაქის რაიონის უჯრედთა ბიუროების წევრებთან ერთად.

დღის წესრიგი: ამხ. ოკუჯავას მოხსენება ქვედა პარტორგანოების გადარჩევის შესახებ.

— : —

— საქ. კ. პ. (ბ) თბ. ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იუწყება, რომ 20 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში (კოლუმბის ქ № 3), შესდგება ქალაქის რაიონის შვიდწლედების, საფაბრიკო-საქარხნო სკოლების, ოთხწლედების, საბავშვო ბაღების და ბიბლიოთეკების მუშაკ კომუნისტების და კომკავშირელების თათბირი, სკოლის კომკავშირულ უჯრედების მდივნებთან ერთად.

ყველა ზევით ჩამოთვლილი ამხანაგების დაუგვიანებლად დასწრება სავალდებულოა.

— : —

— 20 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, სუბტროპიკული ინსტიტუტის აუდიტორია № 1-ში შესდგება უჯრედის საერთო კრება, კომკავშირთან ერთად.

დღის წესრიგში დასმულ საკითხების დიდი მნიშვნელობის გამო ყველას დასწრება სავალდებულოა.

— : —

— 21 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში (ოთახი № 13) ამხ. დოლიძეშვილთან უნდა გამოცხადდნენ ამხ. ამხ. ხომერიკი (საბჭოთა აღმშ. და უფლ. ინსტ.), სვანიძე (სას.-სამ. ინსტ.), კობახიძე (ეკონომიური ინსტიტუტი).

— : —

— საქ. საამშენებლო-საინჟინრო ინსტიტუტის ორივე ფაკულტეტის კომუჯრედის [illegible] კრება შესდგება 20 თებერვალს, საღამოს 7 საათზე.

რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზი

კვირას, 22 თებერვალს

ლენინგრადის სახელმწიფო ოპერის მსახიობის

სერგეი ივანეს-ძე მიგაის

ერთადერთი კონცერტი. მონაწილეობენ ე. ვ. დობროვოლსკაია, ე. ტ. სოხაძე, დ. გ. ბადრიძე. ინსტრუმენტ. ტრიო, ა. მ. ხტუპელი, ე. ნ. კაპელნიცკი, ა. შ. მელიქ-ფაშაევი. როიალთან ა. შ. მელიქ-ფაშაევი. ბილეთები იყიდება დაწყება საღ. 8 ს. 30 წ. ნ. 407 2—1

[illegible]

19 თებერვალს
მე 3 აბონ. მე 5 წარმოდ.
სამი გლენძი

21 თებერვალს
მე-2 აბონ. მე-5 წარმოდ.
„ყვარყვარე თუთაბერი"

წარმოდგენის დღის 2 საათზე ვინც არ შემოიტანს ბილეთზე შემოსატანს წარმოდგენას ვერ დაესწრება და მათი ადგილები გაიყიდება სალაროში. ნ. 404

საქართველოს სახკინმრეწვის კინო-თეატრები

აპოლო 1 სეანსი იწყება 6 ს., II—7-30. III—9, IV—10-30.	„ვოსტოკკინო"-ს ახალი ფილმი **იგდენბუ** დადგმა სომხ. დამსახ. რეჟისორი ამო ბეკ ნაზაროვი.
სპარტაკი დღის სეანსები I 12 ს., II 1—30 ს., III 3 ს.	**მხატვრული ფილმი აბრეკ-ზაური** ვ. ბესტაევის და ნ. სანოვის მონაწილეობით
სპარტაკი საღამოს სეანსები 1 სეანსი იწყება 6 ს., II—7-30. III—9, IV—10-30.	მეორე კვირაა გრძელდება „სოიუზკინო"-ს სურათი **ბედნიერი კენტი**
საზამთრო დარბაზი 1 სეან. იწყება 6 ს. II—7-30. III—9, IV—10-30.	მხატვრული სურათი **ზ ა რ ე** მარიამ ტენაზის მონაწილეობით

თბილისის მუშკოოპის სამტრედიაში მდებარე საბჭოთა მეურნეობის დირექცია

იწვევს ყველა რაიონებიდან მუშებს

მამულის ნაკვეთის ტყის და ბუჩქნარის ამოსაყრელ და ბუჩქნარის ამოსაყრელ და გასაწმენდ **ნარდ** სამუშაოს შესასრულებლად. მოზრდილ ხეების და ბუჩქნარის რაოდენობის მიხედვით ერთ ჰექტარზე ნაკვეთის გასაწმენდი სამუშევრები გაყოფილია სამ კატეგორიად.

1. კატეგორიის სამუშაოს 1 ჰექტარის გაწმენდა ღირს . . 1000 მ.
2. „ „ „ „ „ „ . . 800 „
3. „ „ „ „ „ „ . . 600 „

მუშებს მიეცემათ უფასოდ ბინა და აგრეთვე სურსათ-სანოვაგე მომარაგების კომისარიატის დაწესებულ ნორმით დაფასებით.

ნ. 388 3—3 მეურნეობის დირექტორი ნიკოლაიშვილი.

სახელმწ. ცირკი
პროგრამის მე-2 ციკლი
დღეს და ყოველდღე

გასტროლი — სენსაციური სანახაობა კურიოზი

7—ლომი—7

უშიშარი მომთვინიერებელი ერნესტ შუ

მონაწილეობენ აგრეთვე ყველა ატრაქციონები. ნ. 402

დაიწყო მოსამზადებელი მუშაობა „საქართველოს აბრეშუმის" ცენტრალური აპარატის წმენდისათვის

ვთხოვთ ყველა ორგანიზაციებს და მოქალაქეებს, რომელთაც აქვთ აღნიშნული ტრესტის და მისი თანამშრომლების მუშაობის მიმართ დამახასიათებელი აცილება და მასალები, გადაუგზავნონ გამწმენდი კომისიის თავმჯდომარეს ამხ. დ. ი. რუხაძეს, შემდეგი მისამართით: მაუდის ფაბრიკა, ხოლო გამწმენდ საუწყებო კომისიის სახელზე—მისამართით: კოროლენკოს ქ. № 7, საქ. აბრეშუმის ტრესტის შენობა, დილის 9-დან 1 ს-მდე და საღამოს 7-დან 9 ს.-მდე.

ყველა ის მოქალაქენი, რომლებიც 1930 წელში მუშაობდნენ საქ. აბრეშუმის ტრესტში და წმენდა არ გაუვლიათ, მოვალენი არიან გაიარონ წმენდა „საქ. აბრეშუმის ტრესტის" აპარატში.

გამწმენდი კომისია.

4—3 ნ. 365

სოფლისა და სატყეო მეურნეობის მავნებელთა წინააღმდეგ მებრძოლი ამიერ-კავკასიისა და საქართველოს სააქციო საზოგადოების აპარატის გამწმენდი კომისია შეუდგა წმენდის ჩასატარებლად მოსამზადებელ მუშაობას

ვთხოვთ ყველა ორგანიზაციებსა და პირთ, რომელთაც მოეპოვებათ რაიმე მასალა, რომლითაც ხასიათდება საერთოდ აპარატისა და ცალკე მუშაკების მუშაობა, გამოგზავნონ ასეთი

ამხ. ქირაკოზოვის სახელზე მისამართით:
თბილისი, პლეხანოვის პროსპ., 115, ა/კ მავნებ. წინააღმდეგ მებრძოლ სააქციო საზოგადოებას.
ტელ. № 14—54.

3—2 ნ. 371 გამწმენდი კომისია.

გამოცდილი კალიგრაფი-ბუღალტერი საბუღალტრო კურსებზე

მსმენელებს ამეორებინებს მათემატიკაში, აგრეთვე. მოკლე ხანში ძირეულად ასწავლის არითმეტიკას და აცნობს პრაქტიკულად ბუღალტერიას.

სულ მოკლე ხანში უსწორებს ხელს წერაში და ასწავლის ლამაზ წერას

მეცადინეობა ქართ. და რუს. ენებზე. ალავერდოვის მოედანი, ახოსპირელის 1-ლი ჩიხი, № 6, ბინა № 3. (ლერმონტოვის ქუჩ. № 2-ის მახლობლად). 2—1

ა. პ. მიქაბერიძე

პარიზში 1923 წ. დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი" მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავად ძმელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და, საღამოს 5—8-დე. შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან. 15—24

საქართველოს პროლეტარული სასპორტო საზოგადოება

„დ ი ნ ა მ ო"

აცხადებს ფიზკულტურის ყველა ორგანიზაციების საყურადღებოდ,

რომ ფიზკულტურის წრეებისათვის სასპორტო, ფოტოგრაფიული და სანადირო ნივთების გეგმიანად და დაუბრკოლებლივ მისაწოდებლად საჭიროა ამ წრეების მიმაგრება „დინამო"-ს ამა თუ იმ მაღაზიაზე.

მიმაგრების წესი თბილისა და პერიფერიაში შემდეგია:

ფიზკულტურის ორგანიზაციები ადგენენ თავიანთ წრეების სიას წევრთა რიცხვის აღნიშვნით, ამოწმებენ ამ სიებს ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოში და რაიონულ საბჭოებში პროვინციაში და უგზავნიან სახ. „დინამო"-ს გეგმიან მომარაგებაში შესატანად.

თბილისში წრეების მიმაგრება ხდება „დინამო"-ს კანტორაში—პუშკინის ქ. № 2.

პერიფერიებში კი ქალ. ფოთში, ბათუმში, სოხუმში, ქუთაისში, ახალციხეში, ახალ სენაკში, ცხინვალში, ოჩამჩირეში, ზესტაფონში, ოზურგეთში, ზუგდიდში, გუდაუთაში, ქიათურაში და გორში—„დინამო"-ს მაღაზიებში.

მიმაგრება სწარმოებს ა. წ. 1 მარტამდე. აღნიშნული ვადის შემდეგ არავითარი განცხადება არ მიიღება ფიზკულტურის ორგანიზაციებისაგან.

საქართველოს ფიზკულტურის უმაღლესი საბჭო

„დინამო"-ს სავაჭრო სექტორი.

ს.ს.ს.რ. პატიმართა დამხმარე კომიტეტი

აცხადებს, რომ ხსენებული კომიტეტის კონსულტანტი, პრეზიდიუმის და ცენტრალური განმანაწილ. კომისიის წევრი (იგივე დამცველთა კოლეგიის წევრი)

ლაზარე ბეჟანის ძე მურღაია

გამოყვანილია პრეზიდიუმის და ცენტრალურ გან.-კომისიის წევრობიდან, როგორც შეუფერებელი და სახელის გამტეხი თავისი უვარგისი საქმიანობით,

რაც იმაში გამოიხატა რომ მან კომიტეტის მიერ დავალებულ პატიმართათვის უფასო დახმარების გაწევის მაგივრად ხელი მიჰყო კლიენტების და მაკლერების გაჩენას ჩარჩულ მიზნებისათვის და თავის კლიენტების ინტერესების დაცვას ცენტრალურ გან.-კომისიაში ამისათვის ცხადდება ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციების, დაწესებულებების და კერძო პირების საყურადღებოდ, რომ კომიტეტის მიერ ხსენებულ მურღაიაზე გაცემული მინდობილება და მანდატი **გაუქმებულია.**

პატიმართა დამხმარე კომიტეტის პრეზიდიუმი.

ნ. 1357

ექიმი
გ. ნ. ონანოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

სქესობრ. სისუსტის მკურნალობა: ავადმყოფთა მიღ. დილით 9—11 ს სალ. 5—8 ს. კლარა ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 3.

ტერ-ოვაკიმოვი

სპეციალურად სიფილისის და სქესობრივი ფუნქციონალური მოშლილობას, სქესობრივი ნევრასტენიას, პსიქოტერაპია. მიღ. დილით 10½—12 საათ., საღ. 6—8 საათამდე ა/კ. ფედერაციის ქ. (ყოფ. ველიამინოვისა) № 22. 2—1 392

---

25 თებერვალს, საღამოს 7 საათზე

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ათი წლის თავის აღსანიშნავად

მუშათა ახალი კლუბის (კომინტერნის ქ. 5) დასასვენებელ ოთახში გაიხსნება საქ. პროფსაბჭოს კულტსექტორისა და კინოს და თეატრის მეგობართა საზოგადოების მიერ მოწყობილი ფოტოგამოფენა.

„საბჭოთა საქ. სოციალისტური მშენებლობის 10 წელი ფოტოგრაფიაში"

ფოტოსურათების ჩაბარების უკანასკნელი ვადა—21 თებერვალი. (მუშათა სასახლე, მე-2 სართული, ოთახი 16).

ნ. 411 2—1 ს.პ.ქ.ს. კულტსექტორი.

ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები (დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს ბათილად

— კოოპერატივის საწევრო წიგნაკი № 1 57 ალექსანდრე ჟღენტის სახ.
— კოოპერატივის საწევრო წიგნაკი № 389 ბაბილინა გლაძის სახ. 1324
— კოოპერატივის საწევრო წიგნაკი № 319 ოლღა [illegible] სახ. 1324
— კოოპერატივის საწევრო წიგნ. № 18 გიორგი ძიძიგურის სახ. 1324
— დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 123 [illegible] ლომიძის სახ. 1324
— რკინის გზის კავშირის წიგნ. № 27817 ანდრო გოგუაშვილის სახ.
— კავშირის საწევრო წიგნ. № 6288/42482 ილია ფორჩხიძის სახ. 1324
— „ზაკხოპ" წიგნაკი № 51948 [illegible] სახ. 1325
— სამხედრო საადრიცხვო ბარათი პლატო ტულუშის სახ. 1325
— მ/კოოპერატივის წიგნაკი № 882 კოლია [illegible] სახ. 1325
— სამხედრო საადრიცხვო ბარათი აკაკი [illegible] სახ. 1325
— მ/კოოპერატივის წიგნაკი № 128 ექვთიმე თავაძის სახ. 1325
— მეტრიკული ამონაწერი. № 2618 სიმონ ჟორდანიის სახ. 1325
— ძველი აბაშის კოლმეურნეთა სკოლის ბეჭედი. 1325
— „ზაკტორგ" საწევრო წიგნაკი № 2943, გაცემული [illegible] ვლადიმერ ზაქარიას ძე [illegible] სახ. 1319
— მუშკოოპის საწ. წიგნაკი № 37.187 ანდრო საყვარელიძის სახ. 1307
— მიწა ტყის პარტკავშირის საწევრო წიგნაკი № 584 ალექსანდრე [illegible] სახ. 1344
— კოოპერატივის საწევრო წიგნაკი № 372 ლისა ვადაჭკორიას სახ.
— საპარეხოს თემის შრომის სკოლის 7 წლედის მოწმობა № 13 ოლია ადეიშვილის სახ. 1351
— სასწავლო წიგნაკები მათე ისაკოვის სახ 1351
— კოოპერატივის წიგნაკი № 412ა მარკოზ ვახტანგაშვილის სახ. 1351

საჩივრით „კომუნისტი"-ს მიუღებლობის შესახებ მიმართეთ საგაზეთო ბიუროს

ტელეფონი № 17-55 ან 28-10.

0—4

მოკლე ხანში ვასწავლი მათემატიკას

ალგებრა, გეომეტრია. ტრიგონომეტრია, არითმეტიკა

და ვამზადებ მოწაფეებს

უმაღლეს სასწავლებლებისათვის სამხედრო აკადემიაში ყველა [illegible] პროფ № 164 მუშფაკისათვის, მუშ. უნივერ., საბუღალტ. კურსებზე, და მეექვსე, მეშვიდე ჯგუფში შესასვლელად. ვასწორებ ჩამორჩენილ და სუსტს მოწაფეებსაც მისამართი: პლეხანოვის № 26 და ჩერნიშევსკის ქუჩის კუთხე № 5. ნახვა 1 7 საათამდე. 3—3 749

ცაგერის რაიონის ადმინისტრატიული განყოფილება ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას ამავე რაიონის პარტკომის მდივნის ამხანაგ

კაპიტონ ჯანჯღავას

გარდაცვალებას. 1355

ცაგერის რაიპროფკავშირი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს საუკეთესო პროფაქტივისტის ამხანაგ

კაპიტონ ჯანჯღავას

გარდაცვალების გამო. 1355

ცაგერის რაიონის მომხმარებელი კოოპერატივის გამგეობა ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ 17 თებერვალს, დილის 7 საათზე. ქალაქ თბილისში მოულოდნელად გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკი, ცაგერის რაიპარტკომის პ მდივანი

კაპიტონ პორფილეს-ძე ჯანჯღავა

1355

ცაგერის სასოფლო საბჭო ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს საბჭოს წევრის, საქ. კ.პ. (ბ) ცაგერის რაიონული კომიტეტის მდივნის ამხანაგ

კაპიტონ ჯანჯღავას

უდროოდ გარდაცვალების გამო. 1355

ცაგერის სარაიონო პროფსაბჭოს პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას ცაგერის რაიკომის პასუხისმგებელ მდივნის და საუკეთესო პროფაქტივისტის ამხანაგ

კაპიტონ ჯანჯღავას

უდროოდ გარდაცვალების გამო. 1355

ს.კ.პ. (ბ) და კომკავშირის ლაილაშის უჯრედები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ენერგიული მუშაკის ს.კ.პ (ბ) ცაგერის რაიკომის პასუხისმგებელ მდივნის ამხანაგ

კაპიტონ ჯანჯღავას

მოულოდნელი გარდაცვალების გამო. 1355

საქ. კ. პ. (ბ) აბაშის რაიკომი და რაიაღმასკომი მწუხარებით იუწყებიან, რომ უეცრად გარდაიცვალა მტკიცე და მედგარი მებრძოლი ბოლშევიკი, ამხანაგი

კაპიტონ ჯანჯღავა

1352

საქ. კ. პ. (ბ) მარტვილის რაიკომი და რაიაღმასკომი მწუხარებით იუწყებიან მარტვილის რაიონის ორგანიზაციის ძირითადი წევრის, აქტიური მუშაკის, მებრძოლი ბოლშევიკის, ამხანაგ

კაპიტონ ჯანჯღავას

უდროოდ გარდაცვალებას. 1352

განათლების მუშაკთა კავშირის ქუთაისის რაიკომი აუწყებს თავის წევრებს სპეტაკი რევოლიუციონერის, კოლექტივიზაციის ერთგული მუშაკის, საუკეთესო ხელმძღვანელის და მასწავლებლის ამანაგ

კაპიტონ ჯანჯღავას

გარდაცვალებას. ნ 412

ცაგერის რაიაღმასკომის პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 17 თებერვალს. დილის 7 საათზე, მოულოდნელად გარდაიცვალა რაიაღმასკომის პრეზიდიუმის წევრი, რაიკომის პასუხისმგებელი მდივანი, ძველი ბოლშევიკი ამხანაგი

კაპიტონ ჯანჯღავა

1355

მეუღლე ოლღა, შვილები: მარო, შალვა, ვალოდია. შვილიშვილი, რძალი ელენე ხასარიძეები, სიძე მიშა ხაცილიშვილი და შვილიშვილები აუწყებენ საზოგადოებას, რომ ხვალ. შაბათს, 21 თებერვალს, 4 ნახ. საათზე, კუკიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარი

ილიკო ხასარიძის

ხსოვნის აღსანიშნავად. 1351

ნარაზენის კოლმეურნეობის სკოლის და 4 წლედის მასწავლებლები: პართენი თოდუა, ლუცია ნოდია, ვანო დარასელია, კლავდია ქანტურია, მარო ფანია, პაღო ხოდია, მანგო წილღვავა, უშანგი გულუა და პეტიკო ჯანჯღავა მწუხარებას გამოსთქვამენ მათი სკოლის ყოფილი მასწავლებლის ლიდა თოდუას პატარა

მურიკოს (მ უ რ მ ა ნ ი ს)

დაკარგვის გამო. ნ. 409

ღრმად დამწუხრებული დედა თინა, მამა თეოფილე, ბაბუა ალმასხანი, ბებია ოვლიტა, ბიძები: დათიკო და დიმიტრი თელიები გულითად მწუხარებით აუწყებენ მეგობრებს და ნათესავებს, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი პატარა

ნ ე ლ ი

გამოსვენება მოხდება 21 თებერვალს, ნაშუადღევს 3 საათზე, არამიანცის საავადმყოფოდან. 1354

ძმა ექიმი ერმი, რძალი ცეცა ქართველიშვილები, თავისი ჯენიკო, დინა, ციცინო და მაყვალ-თი, ღრმა მწუხარებით აუწყებენ მეგობრებს, ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ა/წ. 16 თებერვალს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის უსაყვარლესი და დაუვიწყარი აგრონომი

მიშა გიორგის-ძე ქართველიშვილი

დაკრძალვა ს. სიმონეთში ა/წ. 22 თებერვალს 3 საათზე. 1344

უახლოესი მეგობრები: აგრონ. ვლადიმერ პუპბარია, კოლია ნიშნიანიძე, მიხეილ წულუკიძე, მიხეილ თუშმალაძე, პეტრე ჯინჯიხაძე, კოლია ჯველიძანი, ტიტიკო ქავჯაია და დავით ებრალიძე ღრმა მწუხარებით ვგლოვობთ დაუშრეტელი ენერგიით სავსე და იშვიათი ადამიანის, ახალგაზრდა აგრონომ

მიშა ქართველიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. 2—1 1343

დები: ლიზიკო და ვავრა. სიძეები ნოე ნადარეიშვილი და ექიმი ალიოშა ზუმბულიძე. დისშვილები: თინა, ნათელა და გიგა ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ 16 თებერვალს გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი ახალგაზრდა აგრონომი

მიშა გიორგის-ძე ქართველიშვილი

დაკრძალვა სოფ. სიმონეთში, 22 თებერვ. 3 საათზე. 1344

გლოვით მოცული ოჯახი მამა ივანე, დედა პელაგია, და ლიუბა ელიავები, ქმარი კოლია დავითის ძე წულუკიძე, შვილებით: ლუტუ და ოთარი, იუწყებიან, რომ ძვირფასი

ბაბი ელიავა-წულუკიძის

ორმოცი დღის ხსოვნის აღნიშვნა მოხდება შაბათს 21 თებერვალს. საღ. 5 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე. 1346

გაუბედურებული მშობლები: თამარა და ალექსანდრე, ძმები: ვატო და ცეცია, მამიდა ვერა აუწყებენ ნათესავებს და ამხანაგებს, რომ 22 თებერვალს, 5 საათზე, კუკიის სასაფლაოზე, დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი უძვირფასესი

ჟორა ჭურაძის

ხსოვნის აღსანიშნავად. 1345

ღრმად დამწუხრებული და თამარა, სიძე გერმანე, დისშვილები: ეთერი და ზურაბი ვეკუები იუწყებიან, რომ ქ. ზუგდიდში გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი

მამია მიხეილის-ძე კარტოზია

რომლის უკანასკნელი გამოსათხოვარი დღე დანიშნულია შაბათს, 21 თებერვალს, ქ. ზუგდიდში. 1349

გულდამწვარი დედა ეკა, ძმები: კალისტრატე, გრიშა, ტიტიკო და არკადი კანდელაკები ცოლშვილით, დები ვალია ჯიქია და თალიკო კანდელაკი ქმრით მწუხარებით იუწყებიან მათთვის საყვარელ

ანეტა ივანეს ასულ კანდელაკი-ჟუჟუნიას

უდროოდ დაკარგვას. დასაფლავება ქ. ბათუმში, 21 თებერვალს. გამოსვენება ბინიდან მოსკოვის ქ. № 54. 1356

დამწუხრებულნი მშობლები ლევანი და ქრისტინე, ბიცოლა იულიტა, ბიძა ნიკოლოზ ბიძაშვილები ევგენი, მარუსია, გიორგი, სერგო, ვახტანგი გაბზინაძეები, დეიდა ელისაბედი შვილებით და რძლებით და დეიდა იულიტა იუწყებიან

ელენე ლევანის ას. გაბზინაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა კვირას, 22 თებერვალს, ს. ივანდიდში. ნ. 413

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე დესპინე, შვილები: სოლომონი და ვიქტორი, რძლები: ანეტა, ოლია და ნინა მახარაძეები და შვილიშვილები: ლოლიკა, მიშა, ვალიკო, ქეთო, ლევან და კუკუნია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი ტკბილი მოხუცი

ვარლამ ნიკოლოზის-ძე ელიაძე

დაკრძალვა 21 თებერვალს, სოფელ ურხებში. 1347

გაუბედურებული სონა, ძვირფასი მეუღლე, მამის დამკარგავი ობლები თინიკო და თამარი ღრმად მადლობას უცხადებენ ყველა დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, ნაცნობებს, ნათესავებს, შაქროს უახლოეს მეგობრებს, ვინც თავის დასწრებით, ყვავილებით, დეპეშით გაიზიარეს ჩვენი თავდატეხილი გამოუთქმელი უბედურება ძვირფასი

შაქრო მიროტაძის

დაკარგვით გამოწვეული. 1345

დამწუხრებული მშობლები ვიქტორი და ანიკო სამთელაძეები, ბებია ელისაბედი და პაპა შაქრო ლეჟავაშვილები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ 18 თებერვალს გარდაიცვალა მათი საყვარელი შვილი

ელბერდი ვიქტორის-ძე სამთელაძე

გამოსვენება დღეს 20 თებერვალს, დღის 4 საათზე, ბინიდან, ნაძალადევი. მუშათა ქ. № 5. 1342

ტირაჟი—71.200 საგაზეთო გამომცემლობათა სტამბა, „კოლექტივი", კამოს ქ. № 68. მთავლიტი № 204